

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რევიზირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3(30), 2013

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალაშვილი; იური ანანიაშვილი; როზმეტა ასათიანი; თემიშორაზ ბაბუნაშვილი; ევგენი ბარათაშვილი; ელგარ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რევაზ გვალაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხიძე (ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ ბრიტოლიანი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგანგ ვენტი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვუშაბიძე; ნუზარ თოღუა; ბონა თუთუბერიძე; სერგი იაკობოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მირაბ კაკულია; ბია კვაშილაშვილი; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიპუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოლაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); კირალო კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ალექსანდრე კუპუსიძე (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ენვორ ლაბვილაშვილი; ქაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის დირექტორი); ელგუჯა მამაბიძე; ნუზარ

ნაღარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ლაშო ნარმაია (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თეოდორ ნინიძე; სოლომონ აპალიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სარტანიანი (საქართველოს საპარტნიორო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ანდრეი სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ალექსანდრე სიჭინავაძე (ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ბილა სვირიძე (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიანე ტუშუაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკის ესეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ვატილაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თემიშორაზ შენბელია; ბიორგი შინაშვილი; ომარ შუღრა; ვანა შულენბაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიაშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ანდრეი ჩუბლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარბაშვილი; მირაბ ხმალაძე; ლაშო ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამალტ ჯანჯღაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენია (ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013წ.

© გამომცემლობა „ლოი“

№3(30), 2013 წელი, year

ფასი 5 ლარი

1



the new ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №3(30), 2013

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Business Administration, Associated Professor,
Academic of the Georgian Academy of Business Sciences.
Academic of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELДАР ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ALEKSANDRE KUCHUKHIDZE (President of the Georgian Academy of Business Sciences); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasident of Caucasus University in sciences field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NA-

DARAIA (President of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Minister of Regional Development and Infrastructure of Georgia); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKENTUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, President of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAIHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAI (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.

საქართველოს ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რედაქტორის ბჰერლი

დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპები (ნაწილი II: მთელი ძალაუფლება ხალხს!) . 5

მთავარი ბჰერლი

ინტერვიუ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარესთან - ბატონ ტატო ურჯუმელაშვილითან 9

ეკო-დაიჯესტი 12

მეცნიერება

შალვა ჯულაყიძე – პერსონალის გუნდურობის უზრუნველყოფის მართვა 15

ევგენი ბარათაშვილი, მანანა მარილაშვილი - მენეჯმენტის ისტორიული ასპექტები
დინამიკურ ჭრილში 19

კაათა კოლუაშვილი, ბიორბი ზიზიბაძე – ბიბლიური შეგონებანი და ქართული რეალობა
მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სფეროში 26

თამარ ბამსახურდია – მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების პროგნოზი 2100 წლამდე 30

ემზარ ჯულაყიძე - ორგანიზაციის სასურველი მიზანი და მისი მიღწევის ეფექტური მენეჯმენტი . 34

ვასილ ხიზანიშვილი – აქციონერები და მენეჯერები კორპორაციულ მართვაში 37

რევაზ ლორთქიფანიძე – ობიექტური ნების გამოვლინება ეკონომიკურ პრაქტიკაში 41

მარინა იზორია - აფხაზეთის კონფლიქტის შეფასებისთვის – ზოგიერთი იურიდიული ასპექტი . . 47

თამაზ იმედაძე - აფხაზეთისა და ოსეთის შემორიგება უმთავრესად ქართველების საზრუნავია . . 54

Алексей Данильченко, Елена Бертош - Модели и стратегии участия стран в интернационализации трансфера технологий (на примере Республики Беларусь). 57

Л.Н. Бурлаков, Ф.А.Шуленбаева - Новый этап административной реформы: от карьерной к профессиональной государственной службе 65

Татьяна Липай, Наталья Чантуриа, Леван Гочиташвили - Интеграция отечественных вузов в мировое образовательное пространство для повышения конкурентоспособности национальной системы высшего образования и расширения экспорта образовательных услуг 71

სტუდენტური ხელვა

ნიკა სერბია - ანტიმონოპოლიური სამართალი და მისი განვითარების პერსპექტივა
საქართველოში 74

ბიზნესის გარემო

ინტერვიუ „მეღბრუა ჯორჯიას“ დამფუძნებელთან, ბატონ თამაზ მჭედლიძესთან 80

უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი 85

ამაბი 87

THE NEW ECONOMIST
სახალი ეკონომისტი



EDITORIAL PAGE

Democratic state management principles (Psrt II) 5

MAIN PAGE

Easter Epistle 9

MAIN TOPIC

Interview with the Head of Competition and State Procurement Agency of Georgia - with Mr. Tato Urjumelashvili .. 13

ECO-DIGEST 16

SCIENCE

Shalva Julakidze - Management Maintenance Personnel Teamwork 15

Evgeni Baratashvili, Manana Maridashvili - Management Historical Aspect's Dynamic Developments 19

Paata Koguashvili, Giorgi Zibzivadze - Bible Suggestions and Georgian Reality to the Land Ownership 26

Tamar Gamsaxurdia - World energy development forecast until 2100 30

Emzar Julakidze - Desirable goal of organization and efficient management of its achievement 34

Vasil Khizanishvili - "Shareholders and Managers in Corporate Governance" 37

Revaz Lordkipanidze - Manifestation of objective allow in economic practice 41

Marina Izoria - Legal aspects of evaluation of Abkhazia's conflict 47

Tamaz ImedadZe – Abkhazians and Ossetians reconcile mostly concern to Georgians. 54

Aleksey Danilchanko, Elena Bertosh - Models and strategies of participation in the internationalization of technology transfer (Republic of Belarus) 57

Burlakov L.N., Shulenbayeva F.A. - New stage of administrative reform : from a quarry to professional government service 65

Tatiana Lipay, Natalia Chanturia, Levan Gochitashvili - Integration of domestic higher education institutions into the world educational space for improvement of competitiveness of national system of the higher education and for expansion of export of educational services 71

STUDENT'S VISION

Nika Sergia - Antimonopoly Law and Prospects of its Development in Georgia 74

AROUND OF BUSINESS 80

FOREING ECONOMIC NEWS 85

HONORABLE 87

საქართველოს აკადემიური ეკონომისტი



დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპები

(ნაწილი II: მთელი ძალაუფლება ხალხს!)



ბაბრძელება,

დასაწყისი იხ. ჟურნალის 2013 წლის მე-2 ნომერში.

ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ საუბარი გვქონდა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების, საარჩევნო კომისიების წევრთა დაკომპლექტების დემოკრატიულ პრინციპებზე. ამჯერად კი, ჩვენი სურვილია, მკითხველსა და ქართულ საზოგადოებას შევთავაზოთ დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის ზოგიერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ბერკეტების შემოღება, აგხსნათ და წარმოვაჩინოთ მისი მეცნიერული საფუძვლები. თუ როგორ და რა ფორმით, რა დოზით შეიძლება, მართოს ხალხმა სახელმწიფო. საკმარისია თუ არა დემოკრატიის დღეისათვის არსებული ფრომები და საშუალებები რეალური დემოკრატიისათვის. თუ არა, მაშინ რა უშლის ხელს და როგორ შეიძლება ამ პრობლემების დაძლევა?

მოკლედ გავიმეორებთ წინა, I ნაწილში, მოყვანილ „დემოკრატიის“ განმარტებას:

თანამედროვე გაგებით დემოკრატია ესაა სახელმწიფო მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნაა – არჩევითობა და მოკლევადიანობა.

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება ტერმინ „დემოკრატიის“ განმარტებას - „სახელმწიფო მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით.“

აქ საინტერესოა უინსტონ ჩერჩილის სიტყვების მოხსენიება, რომელიც ამბობს: „დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმა არ არის, მაგრამ კაცობრიობას ჯერ უკეთესი არ მოუგონია“-ო. დიახ, დემოკრატიული მართვა შეცდომის დაუშვებლობას არ გამოორიცხავს, მაგრამ ეს შეცდომაც კი საზოგადოების ერთობლივი პასუხისმგებლობით იქნება დაშვებული. თუმცა, მეტად სავარაუდოა, რომ შეცდომები ნაკლები იქნება.

არგუმენტები:

რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რეალური ძალაუფლების ხალხის, საზოგადოების ხელში გადასვლის შემთხვევაში ნაკლები შეცდომები იქნება დაშვებული?

დავიწყოთ იმით, რომ პირადი დაკვირვებითა და მონაწილეობით ბოლო 20-23 წლის მანძილზე მივედი იმ დასკვნამდე (და ეს მარტო პიპოთეზა არ არის, არამედ გამყარებულია უამრავი უტყუარი ფაქტობრივი მასალებით), რომ ხელისუფლება უმეტეს შემთხვევაში შეცდომას კი არ უშვებს, არამედ დანაშაულს ჩადის ქვეყნის, საზოგადოებისა და პიროვნებების წინაშე. სქემა არის ასეთი: დემოკრატიის სახელით ავანტიურისტები, რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკოსებს უწოდებენ, ხელისუფლების უზურპაციას ახდენენ, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის მერე სახელმწიფოსა და და ხალხის სახელით საკუთარ თავზე ირგებენ კანონებსა და ყველა ნორმატიულ აქტებს, რათა გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი.

1992 წლიდან მოყოლებული საქართველოში ეროვნული მთავრობა არ გვეყოლია, პირველ რიგში, პირველი პირები, რომლებიც ლამის მონარქის (უცხო სახელმწიფოს მარიონეტი, მაგრამ მაინც) უფლებით სარგებლობდნენ და მოქმედებდნენ. ისინი განა შეცდომებს უშვებდნენ? არ იცოდნენ რას აკეთებდნენ? მაშინ რისი პოლიტიკოსი ხარ? არა, მათ ყველაფერი კარგად იცოდნენ, ღებულობდნენ ინსტრუქციებს უცხო ქვეყნიდან თუ ქვეყნებიდან და ყველაფერს ზედმიწევნით აკეთებდნენ გარეშე ძალების დავალებების შესასრულებლად, საკუთარი ფინანსური ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ოღონდ ამას აკეთებდნენ დემოკრატიის საფარქვეშ, ხალხის სახელით. ეს იყო უზურპატორების

სახელი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ხელისუფლება თუ არ გამოვირიცხავთ ზოგიერთ პატიოსან მაღალჩინოსანს და სახელმწიფო აპარატს, რომელსაც საარსებო საშუალების მიღების მიზნით ემსახურებოდნენ ქვეყანას, თუმცა ხშირად, ალბათ, ბრმა იარაღიც კი იყვნენ უზნეო ხელმძღვანელებისათვის.

ჩვენი მსჯელობის ობიექტი კონკრეტული პიროვნებები არ გახლავთ, არამედ არსებული სამართლებრივი ბაზის ფუნდამენტალური საფუძვლების მახინჯი ფორმებისა და პრინციპების მხილება, მისი გამოსწორებისთვის აუცილებელი საკონსტიტუციო და სხვა სამართლებრივი ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება.

რომ ყოფილიყო რეალური დემოკრატია, რომელიც იშვიათობაა დღევანდელ მსოფლიოში, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც არის სხვადასხვა დოზით, მაშინ ისინი ამას ვეღარ გაბედავდნენ, თუ გაბედავდნენ და მალევე დაკარგავდნენ თანამდებობას.

ჩვენი მოწოდებაა - „მთელი ძალაუფლება ხალხს!“, ხოლო იმისათვის, რომ მთელი ძალაუფლება გადაეცეს ხალხს, საჭიროა მას მიეცეს შემდეგი უფლება: ხალხს უნდა შეეძლოს ნებისმიერ დროს ნებისმიერი თანამდებობის პირის გადაყენების, ვინც საჯარო სამსახურში მუშაობს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, ხოლო თუ არჩეულია, მისი გადარჩევის უფლება, დაწყებული პრეზიდენტიდან და დამთავრებული დამლაგებლით. აქ იგულისხმება ხელისუფლების ყველა შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

ჩვენთან, საქართველოში, დემოკრატიის პრინციპი, ერთის მხრივ, აღიარებულია კონსტიტუციითაც კი, მაგრამ მეორეს მხრივ, დაბლოკილია იმავე კონსტიტუციით.

მაგალითად: კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1 პუნქტში ვკითხულობთ: „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი.“ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ფორმულირება. მარტო წყარო არაფერია, აქ უფლებებიც უნდა ჩანდეს. მაგალითად, ასეთი დასასრულით: „... . რომელიც ირჩევს და ბადაირჩევს, საჭიროების შემთხვევაში კი ათავისუფლებს თანამდებობიდან ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას“.

ავხსნათ სახელმწიფო მოხელეების იდეოლოგიური საფუძვლები:

რატომ ვირჩევთ ან რატომ ვნიშნავთ სახელმწიფო მოხელეებს? იქნებ არ არის საჭირო და ყველამ ვაკეთოთ რაც გვინდა? მაგრამ ეს ხომ ქაოსი

იქნებოდა! მოდით, გავაუბრალოთ ეს საკითხი, რადგან ამ სტატიის მიზანია არა მარტო მეცნიერთა და სახელმწიფო მოხელეთათვის სიტუაციის ახსნა, რომელთა დიდმა უმრავლესობამ ისედაც იცის ეს ყველაფერი, არამედ ნებისმიერი ჩვეულებრივი მოქალაქისთვისაც რომ იყოს გასაგები, თუ რაზეა საუბარი და რის ახსნას ვაპირებთ.

როდესაც ადამიანთა ჯგუფი შეიკრიბება და გადაწყვეტენ რაიმე საქმის ერთობლივად განხორციელებას, ისინი ირჩევენ დროებით ხელმძღვანელს, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ის ამ ჯგუფში ყველაზე უკეთესია. საქმისა და ადამიანთა ჯგუფის ხელმძღვანელობა დავალებაცაა, შესაბამისად, ვალდებულებაც და პასუხისმგებლობაც. შეიძლება ამ ჯგუფმა გარკვეული თანხის აკრეფვა დაავალოს აღნიშნულ დროებით ხელმძღვანელს, შეიძლება ამ ფულით სხვა ქალაქში წასვლა და რაღაცის ჩამოტანა დაავალოს, რაც ყველა ამ საქმეში მონაწილის ინტერესებშია. ანუ, აქ ხდება ამ ჯგუფის თითოეული წევრის მიერ თავიანთი უფლებამოსილების ამ ერთი პიროვნებისათვის დელეგირება, გადაცემა. სწორედ ამგვარ დელეგირებას ვახდენთ ჩვენ არჩეულ პრეზიდენტზე, დეპუტატზე და ა.შ. პირდაპირ თუ ირიბად ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეზე, რომლებმაც ჩვენი ინტერესები უნდა დაიცვან, რისთვისაც ჩვენ ვაგროვებთ გარკვეულ თანხებს სხვადასხვა გადასახადების სახით. მაგ., საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი და ა.შ.

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში, (პირველ ნაწილში ჩვენ მოტამილი გვქონდა სააქციო საზოგადოების მაგალითი) თუ გჯუფის მიერ არჩეული პირი არ შეასრულებს ჯეროვნად მისთვის მინდობილ სამუშაოს, შეიკრიბება ეს ჯგუფი და გადაირჩევს, ხოლო თუ ხარადი მიაყენა საერთო საქმეს, - აანაზღაურებინებენ მას და ა.შ. იგივე პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოს შემთხვევაშიც, უბრალოდ აქ მასშტაბებია გაცილებით დიდი და შესაბამისად, საკითხები და მიმართულებებიც განუზომლად ბევრია. ამიტომ, შემსრულებელიც და მაკონტროლებელიც ხალხის სახელით მოქმედებს. აქედან გამომდინარე, თუ ხალხი ეჭვს გამოთქვამს მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილებების მართლზომიერებაში, კეთილსინდისიერებაში, მაშინ ხალხს, ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, სრული უფლება აქვს თანამდებობის პირის მიმართ დააყენოს მინიმუმ უნდობლობის საკითხი. შემდეგი მსჯელობის საკითხია მისი დასჯა, დაჯარიმება და ა.შ.

დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპებზე საუბარი არჩევნების ჩატარების დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებით იმი-



ტომ დაიწყო (იხ. ჟურ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2013წ.), რომ სწორედ არჩევნებით იწყება ხალხის მოტყუების პირველი ეტაპი, სადაც ხელოვნურად გაჰყავთ სასურველი კანდიდატები (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები. . .), რომლებიც წერენ მათთვის სასურველ „კანონებს“ და სათითაოდ გვანადგურებენ, თუკი წინ გადავედგებით სიმართლის თქმითა და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. ამიტომ, უპირველესი მოთხოვნა უნდა იყოს კონსტიტუციური ცვლილება, სულ რაღაც ერთი მუხლის ჩასწორება და მის შესაბამისობაში სხვა მუხლისა და ნორმატიული აქტების მოყვანაა საჭირო, პირველ ეტაპზე. ესაა კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1 პუნქტი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

„მუხლი 5

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც უფლებამოსილია აირჩიოს და გააღიაროს, საჭიროების შემთხვევაში კი ბაათიავისუფლოს თანამდებობიდან ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაზინანსებას“.

პრეზიდენტი, რომელიც უარს იტყვის აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებაზე, ხალხისათვის პრეზიდენტის გადარჩევის უფლების მიცემაზე, ის პრეზიდენტი უზურპატორია.

პარლამენტარი, რომელიც უარს იტყვის საკონსტიტუციო ცვლილებაზე იმის შესახებ, რომ პარლამენტის წევრი შეიძლება გადარჩეულ იქნეს ამომრჩევლის მიერ ნებისმიერ დროს, ამომრჩეველთა უბრალო უმრავლესობით, გამოდის, რომ ისიც უზურპატორია.

იმისათვის, რომ ქვეყანაში, კერძოდ კი საქართველოში, დავამყაროთ რეალური დემოკრატია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, პირველ რიგში კონსტიტუციაში შესაცვლელია რიგი მუხლები, მხოლოდ დემოკრატიული მართვის პრინციპებიდან გამომდინარე. (საერთოდ კი ბევრი მუხლია შესაცვლელი) ესენია:

1. მუხლი 5. პუნქტი 1., რაზედაც უკვე ვისაუბრეთ;

2. მუხლი 52, პუნქტი 1. სადაც წერია: „საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.“

ჯერ ერთი საკითხავია, რას გულისხმობს „თავისუფალი მანდატი“, როცა ის ხალხის მანდატით, ხალხის რწმუნებულებით არის შესული. „თავისუფალი მანდატი“? რა, უფლის რწმუნებუ-

ლია? მეორეც, „მისი გამოწვევა დაუშვებელია“? ან, არჩევა თუ შეიძლება გადარჩევა რატომ არ შეიძლება?, მაგრამ სწორედ აქ არის „ძაღლის თავი“ დამარხული, სწორედ რომ საკუთარ ინტერესებზეა მორგებული ყველაფერი. დავაკვირდეთ ინტერესთა ჯაჭვს: საარჩევნო კომისიას ნიშნავს (ვითომ „ირჩევს“), პრეზიდენტი და პარლამენტი; საარჩევნო კომისია კი „ირჩევს“ პრეზიდენტსა და პარლამენტს, დიას საარჩევნო კომისია „ირჩევს“ ანუ პირდაპირ რომ ვთქვათ, იმდენ ქულას უწერს მისთვის სასურველ კანდიდატებს, რომ გაიმარჯვონ. ეს უკანასკნელი კი „კანონებს“ ისე „აცხობენ“, როგორც მათ აწყობთ: „თავისუფალი მანდატი“, „გაწვევა დაუშვებელია“ და ა.შ. ინიშნავენ მაღალ ხელფასებს, ღობირებენ საკუთარ ბიზნესებს და ა.შ. ამიტომაც არის მთელი 20 წელზე მეტი წლის მანძილზე ერთი და იგივე სახეები, რომლებიც სათავისოდ ირგებენ კანონსაც, ცესკოსაც, თანამდებობასაც და ა.შ. აბა დაინტერესდით და მოიკითხეთ როგორ ცხოვრობენ ისინი, სად დადიან, რითი ერთობიან. . .

ერთ-ერთ ტელე-გადაცემაში ითქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა იურისტებს დაავალა: მე არ ვარ იურისტი, მაგრამ გავალებთ, კანონები ისე დაწეროთ, რომ მინიმუმ 5 წელი ჩვენ ვიყოთ ხელისუფლებაშიო. ეს რამდენად სიმართლეა, არც უარყოფა შეგვიძლია და არც დადასტურება, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მათი ხელისუფლების ქმედებები, ცვლილებები კონსტიტუციასა და კანონებში, სწორედ ამისკენ მიუთითებს.

3. მუხლი 75.

ვნახოთ დღეისათვის (2013 წ. სექტემბერი) მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში შეიძლება პრეზიდენტის გადარჩევა ან გადაყენება.

„მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს დაღატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფო დაღატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის

ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.“

ჩვენი კომენტარი: საკონსტიტუციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო,ორივე პრეზიდენტის დანიშნულია. არც ერთი მას არ გასწირავს.

ახლა ვნახოთ ფორმულირება, რომელიც ძალაში შევა 2013 წელს ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ:

„[2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.“

ეს მუხლი ძალაში შედის 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. აღნიშნული ცვლილება შეტანილია 2010 წლის 15 ოქტომბერს.

ჩვენი კომენტარი: თუ ეს შესაძლებელია ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რატომ არ შეიძლება ეს მუხლი ამოქმედებულიყო ამ ცვლილების მიღებისთანავე? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მას (მიხეილ სააკაშვილს) არ აწყობდა. სხვა მოტივაცია არ არსებობს. მისი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ კი, ახალი პრეზიდენტის

გადაყენების უფლება აქვს პარლამენტს, თუმცა „საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს“. პრინციპში ამ მუხლთან საკამათი არ გვექნება,თუ მიღებული იქნება ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილება – მუხლი 5, პირველი პუნქტი, ზემოთ ხსენებული ფორმულირებით და ამ პუნქტის შესაბამისობაში მოვა ყველა ის მუხლი და პუნქტი, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ ფორმულირებას.

დასასრულს, დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ხალხის მიერ ძალაუფლების ხელში აღება, რადგან უნდობლობაა გამეფებული არა მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების მიმართ, არამედ მოქმედი ხელისუფლების მიმართაც და ე.წ. ოპოზიციური პარტიების მიმართაც, რაც ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. ამდენად, მკაცრად უნდა დაგვხსნოს ორი უმთავრესი საკითხი:

1. ლოზუნგით - „მთელი ძალაუფლება ხალხს“ უნდა მოვითხოვოთ საკონსტიტუციო ცვლილება (მუხლი 5 პუნქტი 1) ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულირებით;


2. საარჩევნო კოდექსი უნდა გაამარტივდეს და კომისიის წევრების არჩევა მოხდეს ალბილზე ჩვენს მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით. (ჟურ. „ახალი ეკონომისტი“, №2 2013, გვ. 5-8)

აჯერადაც „იმედი მაქვს, თქვენ მე გამიგეთ.“

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

ლოიდ ქარჩავა
29.09.2013.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



ინტერვიუ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარესთან - ბატონ ტატი ურჯუმილაშვილით

მოგესხენებათ, რომ სახელმწიფო შესყიდვების საკითხი ერთ-ერთი აქტუალურია დღეისათვის. ამიტომაც, ამჯერად ამ საკითხებზე სასაუბროდ ვესტუმრეთ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს - ბატონ ტატი ურჯუმილაშვილს. გთავაზობთ ამ საბრისას დასმულ კითხვებზე ბატონი ტატოს პასუხებს.

- 2010 წლის ბოლოდან საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მთლიანად ელექტრონიკაზე გადავიდა. ელექტრონიკაზე გადასვლა ტენდერები და ა.შ. როგორ შეფასებთ 3 წლის განმავლობაში ამ სისტემის ეფექტიანობას?

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ორგანოდ შეგვიძლია შევაფასოთ, ერთი - ციფრებით და მათემატიკურად, მეორე ემოციურად. ციფრებით ეს გამოიხატება წელიწადში 3 ათასის ნაცვლად 30 ათასი ჩატარებული ტენდერით, ანუ ჩატარებული ტენდერების რიცხვი 10-ჯერ გაიზარდა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან შესყიდვებზე ელექტრონული ტენდერებით დაზოგილმა თანხამ ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა. ემოციურ შეფასებას რაც შეეხება, ეს არის სისტემის უპრეცედენტო ღირებულება და გამჭვირვალობა, რასაც ანალოგი არ მოეძებნება მთელს მსოფლიოში - სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი ღიაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესყიდვების მიმართ დამოკიდებულება, აღქმა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუკი წლების წინ სახელმწიფო შესყიდვები ხასიათდებოდა კორუფციის მაღალი რისკოვანი პროცესის შემცველი პროცესი, დღეს, მისი უპრეცედენტო გახსნილობის, ღიაობის, სიმარტივის გამო აშკარა დადებითი ტენდენცისაკენ მიდის. ასევე, შეიცვალა საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება, კერძოდ: თუკი სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის დაწყებამდე საერთაშორისო ორგანიზაციები აფასებდნენ საქართველოს შესყიდ-

ვების სისტემას როგორც მაღალი კორუფციული რისკების შემცველ სისტემას, და ეს შეფასებები ეკუთვნოდა მსოფლიო ბანკს, OECD-ს, EBRD-ს, ევროკავშირს, დღეს ეს შეფასებები რადიკალურად 100%-ით შეიცვალა. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ გაეროს მიერ ორგანიზებულ ყველაზე პრესტიჟულ ყოველწლიურ კონკურსში გაიმარჯვა ნომინაციაში „საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია და კორუფციასთან ბრძოლა“. ეს ჯილდო ჩვენი სისტემის მართლაც მნიშვნელოვანი წარმატება და საერთაშორისო აღიარებაა.

აქვე აღვნიშნავ, რომ მსოფლიო ბანკის PEFA (სახელმწიფო ხარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულება) შეფასებით, რომელიც უკვე 4 ოქტომბერს გამოქვეყნდება, D+ რეიტინგიდან უმაღლეს A მანქვანებელზე გადავიდა. ასეთი გაუმჯობესება არავის ჰქონია, უმაღლესი ქულა დაგვეწერა. იგივე შეიძლება ვთქვათ EBRD-ს შეფასებაზეც, რომელიც თავის კლიენტ ქვეყნებს შორის საქართველოს შესყიდვების სისტემას საუკეთესო სამეულში ასახელებს. ა.შ.

- ამ ხნის განმავლობაში გვერდი სიახლე დაინერგა სახელმწიფო შესყიდვებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე კონსოლიდირებული ტენდერებია. 2012 წლის დეკემბრის ბოლოს აირევილი კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდა. თქვენი შეფასებით, რამდენად გაამართლა ამ ტიპის ტენდერმა?

- პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა. სიტუაცია მანამდე საკმაოდ რთული იყო, ზოგადად ამ ტიპის შესყიდვები თითქმის ყველა

საქართველოში THE NEW ECONOMIST

ქვეყანაში კონსოლიდირებული ტიპის ტენდერებით ან კონსოლიდირებული ტენდერის ნიშნების მქონე ტენდერებით (ე.წ. framework contracts) ხორციელდება, დაახლოებით 10-მდე სერვისზე და საქონელზე. საქართველოში პირველი კონსოლიდირებული ტენდერი საწვავის შესყიდვაზე ჩატარდა, შემდეგ ფიჭური სატელეფონო მომსახურების, A4 ტიპის ფორმატის ქაღალდის და, ასევე, სტანდარტული ნოუთბუქის შესყიდვაზე. განსაკუთრებით წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მობილური მომსახურების შესყიდვაზე კონსოლიდირებული ტენდერი, სადაც საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო ორ მიმწოდებელს შორის და ტენდერში დაფიქსირებული ფასები ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია, როგორც საუბრების ტარიფებზე, ასევე ინტერნეტ-მომსახურებაზე. იმის მიუხედავად, რომ ჯერ ერთი წელიც კი არ გასულა ტენდერის ჩატარებიდან, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ ტენდერის შედეგად შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დაზოგეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები. საკმაოდ წარმატებული იყო კონსოლიდირებული ტენდერი ნავთობპროდუქციის შესყიდვაზე, სადაც ასევე დაიზოგა საკმაოდ სოლიდური თანხა. ჩვენი სააგენტო აგრძელებს საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას ამ კუთხით, თუ რომელ საქონელზე ან მომსახურებაზე იქნება მიზანშეწონილი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება.

- მიუხედავად იმისა, რომ დღეს სისტემაში 4200-ზე მეტი შემსყიდველი ორგანიზაციაა და 15 ათასამდე მიმწოდებელია დარეგისტრირებული, აქტიური კომპანიების დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. როგორ ვიძრობთ, რატომ არ რეგისტრირდებიან მიმწოდებელი ორგანიზაციები? ეს არის წინა პერიოდის ინერცია (ქაღალდების ტენდერების მიმართ უნდობლობა ელექტრონულ შესყიდვებზე მოქმედებს), ჩართულობის დეფიციტი? მეწარმეთა შიში - სახელმწიფოსთან საქმის დაჭერას ერიდებიან, თუ რამე სხვა პრობლემა?

- ალბათ, ცოტ-ცოტა ყველაფერი ერთად. ერთი რამ შეიძლება გადაჭრით ვთქვათ - სისტემაში რეგისტრაცია არასდროს შეწყვეტილა, კომპანიების რიცხვი მატულობს, ეს არის ძალიან პოზიტიური და თვალსაჩინო დინამიკა. საქართველოში მოქმედი აქტიური კომპანიების 12 პროცენტზე მეტია დარეგისტრირებული ჩვენს სისტემაში. თუმცა, გეთანხმებით, რეგისტრირებული 15

ათასი მიმწოდებელი იდეალურთან მიახლოებული ციფრი არ არის, მაგრამ ტენდენცია პოზიტიურია.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ცალკე მდგომარეობაში არ არის, არ არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონტექსტიდან ამოგლეჯილი. ის არის ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი და კომპანიები ზუსტად ისევე მოქმედებენ, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ყველა ის პრობლემა, რაც ქართული ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი, აისახება სახელმწიფო შესყიდვებშიც.

- ჩვენი ინფორმაციით, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით არის შემთხვევები, რომ ტენდერში გამარჯვებული ვირემი ვერ ასრულებს სამუშაოს, რადგან სწორად არ იქნა მოთხოვნილი სატენდერო დოკუმენტები. კერძოდ, მათი ფინანსური შესაძლებლობები და პრაქტიკა. ხომ არ თვლით საჭიროდ, რომ სატენდერო წინადადების ფორმირებისას პრეტენდენტს სავალდებულო ვუხდეთ მოეთხოვოს ბოლო სამი წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგამისწავლენა, როგორც ეს მიღებულია სამართალში პრაქტიკაში. აღნიშნული მოთხოვნა მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს და გამორიცხავს სახელმწიფო დაკავშირების შესრულებისას შეფერხებებს. თქვენ რას ვიძრობთ ამის შესახებ?

- ვერ დაგეთანხმებით, რომ საერთაშორისო პრაქტიკაშია სავალდებულო წესით მოითხოვება ბოლო სამი წლის აუდიტირებული ანგარიშგამისწავლენა. ეს არ არის კანონით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნა და გამომდინარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებიდან მოითხოვოს მიმწოდებლის კვალიფიკაციის თუ ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების დამადასტურებელი ინფორმაციის წარდგენა შესყიდვის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. საქართველოშიც, ზუსტად იგივე ლოგიკით, როგორც საერთაშორისო პრაქტიკაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფარგლებში შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი ტიპის საკვალიფიკაციო თუ ტექნიკური მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს რისკების შემცირებას და გამორიცხავს სახელმწიფო დაკვეთების შესრულებისას შეფერხებებს: ერთადერთი შეზღუდვაა, რომ მოთხოვნა არ იყოს დისკრიმინაციული ან უქმნიდეს რომელიმე კომპანიას ხელსაყრელ პირობებს. აქვე აღსანიშნავია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება: ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომპეტენტურად შედგენილ მოთხოვნებს,

რომლებიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის შესაბამის ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ არ შეზღუდავს კონკურენციას.

- თქვენ აამოქმედეთ, ასევე, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი - ბასანიორმა. ჯაფონსური ლილაკით, როგორც თქვენ უწოდებთ ხოლმე, არც ისე ხშირად სარბიშლობან. რისი ბრალია ეს? ხომ არ გვაქვს სამოქალაქო თვითშეგნების პრობლემა - დათა თუთაშხიას "არავის საქმეში არ ვპრევი"-ს - სინდრომი?

- ნაწილობრივ გეთანხმებით. ალბათ, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა მენტალიტეტშია. დათა თუთაშხიას „სხვის საქმეში არჩარევის“ სინდრომით გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ სამართლებრივი გზით ჯერ არათუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, არამედ საკუთარი პოზიციებისა თუ ინტერესების დაცვასაც კი ვერ მივყვებით. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული გასაჩივრების სისტემა ნამდვილად ინოვაციური მექანიზმია, მაგრამ ეფექტური იქნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი ამ დილაკს თითს დააჭერს და გაუშვებს ამ პროცესს. საბედნიეროდ, ბოლო ორ წელიწადში საჩივრების რაოდენობამ მკვეთრად იმატა და უკვე 500-ზე მეტი დავა გვაქვს განხილული. საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტა დავების განხილვის საბჭოში სწრაფად და მარტივად ხდება. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ექვსი წევრიდან სამი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელია.

- საკანონმდებლო ხარვეზებზეც გვინდა გავთხროთ: საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემას ეხებოდა და, თითქმის ძვალ-ღიძვალა იყო მთლიანი სისტემის, აღნიშნული იყო ხარვეზიც: „2012 წელს პრეზიდენტისა და მთავრობის თანხმობით, აღბილი ჰქონდა ჯამში 800 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტების გაფორმებას, რაც შესყიდვების პროცედურების გვერდის ავლით და გუნდოვან ვითარებაში მოხდა.“ რა კითხვებია ამ მიმართულებით?

- პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიში უკიდურესად პოზიტიურია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიმართ. საკმაოდ ობიექ-

ტური და კარგად დასაბუთებული კვლევაა, შესყიდვების სისტემის ძალიან ბევრი პოზიტიური მომენტი კარგად ახსნილი. 800 მილიონის თემა - ესეც ფაქტია, თუმცა, შეფასებები საზოგადოებისთვის მიგვინდია. არსებული კანონმდებლობით რომელიც 1999 წლიდან არის ძალაში, ეს დაშვებულია, თუკი არსებობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელების აუცილებლობა. მთავრობა და პრეზიდენტი ამ უფლებით სარგებლობდა. ამ მიმართულებითაც, შესაბამისი ცვლილებების პაკეტი მომზადებულია, რომელიც აღნიშნული ნორმების საკმაოდ მნიშვნელოვან შეზღუდვას ითვალისწინებს.

- „კონკრეტულია და სახელმწიფო შესყიდვების სააბნტოს საქმიანობის 2012 წლის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საჭიროა სისტემის (ალბათ იბულისხმება ელექტრონული შესყიდვების სისტემა) შემდგომი გაუმჯობესება, მაშინ როდესაც ბასულ წელს OECD-ისა და ბაბროს მასპერტთა შეფასებით საქართველოს და ქართულ ელექტრონულ სატანდერო სისტემას უმაღლესი შეფასება აქვს მიღებული. შესაბამისად, საინტერესოა თქვენი აზრი თუ რის გაუმჯობესებას ესწრაფვით და რა კონკრეტულ ნაბიჯებს ღებამ ან უკვე გადაღბა სააბნტომ შესაბამისი სისტემის კიდე უფრო სრულყოფის მიმართულებით?

- იდეალური სისტემა არ არსებობს - არც სადმე მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, არც ჩვენთან. შესყიდვების ელექტრონული სისტემა საქართველოში სულ სამი წელია რაც ჩამოყალიბდა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კი არ ვამთავრებთ, არამედ მხოლოდ ვიწყებთ. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენს სისტემას არ სჭირდება განვითარება. ლოგიკა ძალიან მარტივია - თუ არ ვითარდები, ადგილზე კი არ რჩები, არამედ უკან უკან მიდიხარ, ვინაიდან სხვები ვითარდებიან.

- დიდი მაღლობა ბატონო ტატო, რომ ღრო დაჰვითმეთ ინტერვიუსთვის. კარგად ბრანდებოდეთ.

- კარგად ბრძანდებოდეთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი ლიდი ქარჩავა

02.10.2013წ.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეკონომისტი

ყველაზე მეტი აბროსისი კახეთში ბაივა

„შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში ყველაზე მეტი სესხი გაცემულია კახეთში, სადაც პროექტით 969 ბენეფიციარმა ისარგებლა. შიდა ქართლში 461 სესხი გაიცა, ქვემო ქართლში – 408, იმერეთში – 270, სამცხე-ჯავახეთში – 109 პროექტია დაფინანსებული; სამეგრელოში – 86, მცხეთა-მთიანეთში კი სესხი 58-მა ბენეფიციარმა მიიღო.

ცხვრის ექსპორტი ეცემა

მეცხვარეებს ექსპორტის კლიენტები შემოაკლდათ. თვეზე მეტია გაყიდვების სეზონი დაიწყო, თუმცა აქამდე ყველაზე ერთგული მომხმარებლები – არაბები არსად ჩანან. დაბალი მოთხოვნის გამო ცხვრის ფასმა 170-დან 150 ლარამდე დაიწია. საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელის ბატონ ბექა გონაშვილის ცნობით, არაბები რუმინეთსა და მოლდავეთზე გადაერთვნენ. ამ ქვეყნებში 1 კგ ცოცხალ საქონელს, გემზე დატვირთულს \$2,5-3-ად სთავაზობენ, ანუ თითო ცხვარი მაქსიმუმ \$90 ჯდება. ამ თანხად კი აქ ფერმერისგანაც ვერ იყიდო, რასაც ემატება ტრანსპორტირებისა და ვეტერინალური საბუთების მომზადების ხარჯები. გარდა ამისა, მაღალია საძოვრების გადასახადიც. ისინი რაიონების მიხედვით იცვლება, მაგალითად, დედოფლისწყაროში 1 ჰა-ზე 7 ლარია, ახმეტაში – 5 ლარი, საგარეჯოში – 18 ლარი. ამასთან, 1 ჰა-ზე 3-4 ცხვარი ძოვს, რაც დაუშვებელია. წესით 1 ჰა-ზე 1 ცხვარი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის ეროზია გარდაუვალია. ამოსავალი საძოვრების მორწყვასა და კულტივაციაშია, ანუ ცხვრის ბავურ, ანუ სტაციონალურ კვებაზე გადაყვანაში. ოღონდ ეს რომ რენტაბელური გახდეს, ახალი, მეხორცეული ჯიშები იქნება შემოსაყვანი.

ყურძნის შესყიდვა 85 კომპანიას სურს

ყურძნის გადამუშავების დღიურმა მანქნებელმა წლეულს 20-წლიანი მაქსიმუმი – 4 ათას ტონაზე მეტი შეადგინა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილის თქმით, 2013 წლის რთველი გარდამავალი ეტაპია მევენახეობა-მეღვინეობის სწრაფი და სწორი განვითარებისათვის. დღეის მდგომარეო-

ბით, ყურძნის სავარაუდო შესყიდვაზე განაცხადი 85-მა კომპანიამ წარადგინა, ხოლო ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 53 კომპანიას. სახელმწიფო კერძო სექტორის კონკურენტი აღარ არის. ასევე არ ხდება მცირე და დიდი ნაკვეთებიდან მიღებული ყურძნის დიფერენცირება. ა.წ. 5 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტით 22,24 მილიონი ბოთლი ღვინო იყო გასული 42 ქვეყანაში, აქედან 7 მილიონი ბოთლი რუსეთში გაიგზავნა. ღვინის ექსპორტი 43%-ით აღემატება შარშანდელი ამავე პერიოდის მონაცემებს.

დეკლარაციის ვადა 30 დღეა

საქართველოს ფიანსთა მინისტრის ბრძანებით, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენის შემთხვევაში, პირმა საქონლის იმპორტი 30 დღეში აუცილებლად უნდა მოახდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკლარაცია ძალადაკარგულად ჩაითვლება და დეკლარანტს საქონლის ხელახალი დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა. ბრძანება ძალაშია მიმდინარე წლის 30 აგვისტოდან.

დღეს გადაამხდელთა ბრუნვამ დაიკლო

დღეს გადაამხდელი საწარმოების ბრუნვამ წლეულს ივლისში 3,832 მლრდ ლარი შეადგინა. „საქსტატის“ წინასწარი ინფორმაციით, ეს შარშანდელზე 3,5%-ით ნაკლებია. ივნისში კი ბრუნვა 2,7%-ით შემცირდა.

დონორთაგან მიღებული ფინანსური დახმარება ბაზი ვლუბის მიხედვით

დონორთაგან ფიანსური დახმარების შემოსვლა საქართველოში 1991 წლიდან იწყება და წლების მიხედვით ასე გამოიყურება (შმლნ): 1991 წელი – 0.21; 1992 წელი – 20.35; 1993 წელი – 104.78; 1994 წელი – 177.32; 1995 წელი – 209.06; 1996 წელი – 309.37; 1997 წელი – 241.88; 1998 წელი – 208.52; 1999 წელი – 244.34; 2000 წელი – 169.15; 2001 წელი – 291.35; 2002 წელი – 314.44; 2003 წელი – 230.01; 2004 წელი – 313.42; 2005 წელი – 292.09; 2006 წელი – 356.14; 2007 წელი – 379.6; 2008 წელი – 887.71; 2009 წელი – 907.16; 2010 წელი – 625.19; 2011 წელი – 590.02. №3(30), 2013 წელი, year

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საბაღასახადო ზემოქმედების დაბრუნება და-
ქარღვევა

საგადასახადო ზემოქმედების ბიზნესისათვის დაბრუნებას ფინანსთა სამინისტრო დააჩქარებს. მინისტრ ნოდარ ხადურის თქმით, დღეს ბიუჯეტში ზემოქმედება გადახდილია 1.3 მილიარდი ლარი. „მთავრობის გადაწყვეტილებით, გააქტიურდება წინასწარ და ზემოქმედება გადახდილი გადასახადების დაბრუნება. მარტივი გადამოწმების შემდეგ გადამხდელებს დაუბრუნდებათ თანხა, რომლებიც ბიუჯეტში ზემოქმედება აქვთ გადახდილი“, - განაცხადა ნოდარ ხადურმა. გადაწყვეტილების მიზანია ბიზნესში რეინვესტირებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა, აგრეთვე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება.

ტრანზიტის ბაღასახადი საქართველოსთვის
შეამცირეს

2013 წლის 1-ლი სექტემბრიდან საქართველოს მოქალაქეები თურქეთის ტერიტორიაზე ფურგონის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტრანზიტისათვის შეღავათიან სატრანზიტო გადასახადს გადაიხდიან. შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ თურქულ მხარესთან მიაღწია. ტრანზიტულნიმომრანი ფურგონის ტიპის ე.წ. ანელ Vან-ები და მიკროავტობუსები, მოქმედი ტრანზიტის გადასახადის (600 ევრო და 1200 ევრო) ნაცვლად, მის ერთ მეოთხედს გადაიხდიან: 150 ევროს ცარიელი სატრანსპორტო საშუალებისათვის და 300 ევროს – დატვირთული სატრანსპორტო საშუალებისათვის. ეს გადასახადი საქართველოს მიმართ დროებით შეჩერებული იყო და წლებულს 1-ლი ივლისიდან ამოქმედდა. ამის გამო შეჩედა ევროპიდან საქართველოსკენ მოძრავი რამდენიმე ათეული ფურგონი, რომელთა მფლობელებმა დაწესებული თანხა ვერ გადაიხადეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჯერ თურქეთის მხარესთან მიაღწია გადასახადის დროებით შეჩერებას, საბოლოოდ კი ის შემცირდა.

საბანკო სექტორის მოგება 192,3 მილიონია

საქართველოს საბანკო სექტორმა 2013 წლის იანვარ-ივლისი 192,3 მლნ ლარის მოგებით დაასრულა. ივლისში მოგება 39,3 მლნ ლარით გაიზარდა (ივნისში – 20,4 მლნ-ით). მოგებაზე 13 ბანკია, 7 კი ზარალზე. კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 2013 წლის 1-ლი აგვისტოსთ-

ვის 15,1 მლრდ ლარია, აქედან 79,1% ხუთ უმსხვილეს ბანკზე მოდის. სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 8,7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც შარშანდელი 1-ლი აგვისტოს მონაცემზე 11,1%-ით მეტია.

„მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბატონ გიორგი კვიციანიშვილის თქმით, საქართველოს ეკონომიკა იზრდება. „ძალიან ბევრი ბიზნესი ელოდება საპრეზიდენტო არჩევნებს, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვაქვს რეალური ზრდა. საქართველოს ეკონომიკა იზრდება და არ მცირდება. ვფიქრობთ, წლის ბოლოსათვის 2,5-3%-მდე ზრდაა მოსალოდნელი. ჯობდა 6%-იანი მოლოდინი შესრულებულიყო, თუმცა ეს მაინც მნიშვნელოვანია“, - განაცხადა მინისტრმა. მისი განმარტებით, მომავალი წელი იქნება გაცილებით უკეთესი და ამის თქმა დანამდვილებით შეიძლება.

ახალაშენებულ ბინებზე მოთხოვნა შემცირდა

უძრავი ქონების ბაზარი აგვისტოში, შარშანდელთან შედარებით, 10,4%-ით შემცირდა. საჯარო რეესტრში აცხადებენ, რომ ბოლო სამ წელიწადში ასეთი კლება არ ყოფილა. 2011 წელს ტრანსაქციები ბინებზე წინა წელთან შედარებით 30,3%-ით გაიზარდა, 2012 წელს კი კლება მხოლოდ 1,8% იყო. შემცირება ყველაზე მეტად შეეხო პირველად ბინებს, გაყიდვები თითქმის 40%-ით (8 ათას ერთეულამდე) შემცირდა. როგორც უძრავი ქონების ექსპერტები აცხადებენ, პირველად ბინებზე ფასები ჯერ კიდევ მაღალია, განსაკუთრებით, ე.წ. პრემიუმ-სეგმენტში. მოთხოვნა შემცირდა ირანელებისა და ეგვიპტელების მხრიდანაც.

უცხოელი ვიზიტორები საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, 2010 წელს გადაადგილდა - 997 351 ვიზიტორი, 2011 წელს - 1 438 594 ვიზიტორი, 2012 წელს - 2 221 668 ვიზიტორი, ხოლო 2013 წლის მიმდინარე პერიოდისათვის - 2 797 910 ვიზიტორი. აქედან, 24 საათი და მეტი დროით იყო (ტურისტი) - 2010 წელს - 544 172 ვიზიტორი; 2011 წელს - 687 054 ვიზიტორი; 2012 წელს - 894 327 ვიზიტორი, ხოლო მიმდინარე წლის ივლისის მდგომარეობით კი მათმა რიცხვმა შეადგინა - 1 085 378.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო THE NEW ECONOMIST

საქართველოს პარლამენტმა ფინანსთა სამინისტროს ინიცირებული ცვლილებები დაამტკიცა. რომლის თანახმად მკვეთრად გამოხატული ან ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის 6000 ლარამდე წლიური შემოსავალი საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდა. ასეთივე შეღავათი იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულის ხელფასითა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულ შემოსავ-

ალზე. აგრეთვე, 2017 წლის 1-ელ იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ მიღებული მოგება, რომელიც წლის განმავლობაში არ აღემატება 200 ათას ლარს, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლდება.

„ეკო-დაიჯესტი“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა შატულაშვილმა



პერსონალის გუნდურობის უზრუნველყოფის მართვა



შალვა ჯულაყიძე
 დავით აღმაშენებლის სახელობის
 საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
 ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად მენეჯერი ხშირად ქმნის გარკვეულ სამუშაო ჯგუფს. თუ ჯგუფის თითოეული წევრი მაქსიმალურად გამოავლენს თავისი შესაძლებლობებს, მაშინ ის გუნდად გარდაიქმნება. ორგანიზაციის გუნდური მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორების მრავალგვარობის მიუხედავად, არსებობს ოთხი ძირითადი ეტაპი, რომლის სწორი აღსრულება, მის წარმატებას განაპირობებს. ესენია: მიზანი, სტრატეგია, სტრუქტურა და როლები, რომლის შედეგი უნდა გახდეს საუკეთესო პიროვნებათშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბება გუნდში. ამასთან, სისტემატიურად უნდა გადაამოწმდეს და იმართოს გუნდის ერთიანობა, ანუ გუნდის წევრთა გუნდისადმი ლოიალურობის ხარისხი და სოციალური სიზარმაცე, რომელიც ამცირებს მის ეფექტურ მუშაობას. სწორედ აქ დგება მენეჯმენტის ხელოვნება - წახალისე ინდივიდუალური შემსრულებლები და ამავდროულად შეინარჩუნე მუშა გუნდი.

როგორც წესი, გუნდის შექმნაში გადამწვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის მენეჯერს. მარტივად რომ ვთქვათ, ჯგუფი ეწოდება ორ ან მეტ ადამიანს, რომლებსაც უწევთ ერთმანეთთან ურთიერთობა გარკვეული ამოცანების შესასრულებლად, ხოლო გუნდი კი არის ისეთი ჯგუფი, რომლის წევრებიც ინტენსიურად მუშაობენ ერთად კონკრეტული საერთო მიზნის მისაღწევად. ეს განმარტება გულისხმობს, რომ ყველა გუნდი ინდივიდუალურ პირთა გარკვეული ნაკრებია, ხოლო ყველა ნაკრები გუნდი არ არის. ორი ნიშან-თვისება, რომელიც გუნდს ჯგუფისაგან განასხვავებს არის: ერთი - კონკრეტული გუნდური მიზნის არსებობა და მეორე, მათი ისეთი მართვა, რაც ერთად მუშაობის მაღალ ინტენსიურობაში გადაიზრდება.

გუნდის ძალა და მისი ეფექტიანობა გამოისახება ტერმინში - „სინერგიზმი“, რაც (ბერძნულად) ერთობლივ მუშაობას ნიშნავს. სინერგიზმის უპირატესობა მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ - „მთლიანი მისი ცალკეული ნაწილების ჯამზე მეტია“. ინტენსიური ერთობლივი მუშაობის გამო, მათი წევრები, როგორც წესი, უფრო მოტივირებულნი და კმაყოფილნი არიან, ვიდრე ინდივიდუალური მუშაობის შემთხვევაში. ენერგიული და მოტივირებული ადამიანების გვერდგვერდ მუშაობის გამოცდილება კი დიდ სტიმულს

იძლევა. ისინი უკეთ ხედავენ, როგორ უწყობს ხელს მათი ცოდნა და შრომა გუნდის წარმატებასა და ორგანიზაციული მიზნების შესრულებას. ამასთან, იზრდება პირადი პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შედეგებზეც. დადებითი სინერგიის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: გუნდის წევრების უნარი დააფიქსირონ ერთმანეთის იდეები, გამოასწორონ ერთმანეთის შეცდომები, წარმოჩენისთანავე გადაწყვიტონ პრობლემები, შეაერთონ მრავალფეროვანი ცოდნა მიზნის მისაღწევად და შეასრულონ მეტისმეტად დიდი მოცულობის სამუშაო. შესაბამისად, სინერგიის წახალისებლად მენეჯერმა თავი უნდა შეიკავოს პირდაპირი დირექტივებისა და ზედამხედველობისაგან და დაკმაყოფილდეს მხოლოდ მწვერთხელის, გზამკვლევისა და რესურსების მიმწოდებლის როლით.

ისმის კითხვა - როგორ შევქმნათ ორგანიზაციული პერსონალისაგან მოქნილი გუნდი? ორგანიზაციის გუნდური მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორების მრავალგვარობის მიუხედავად, არსებობს ოთხი ძირითადი ფაქტორი (ეტაპი), რომლის სწორი აღსრულება, მის წარმატებას განაპირობებს. ესენია: მიზანი, სტრატეგია, სტრუქტურა და როლები, რომლის შედეგი უნდა გახდეს საუკეთესო პიროვნებათშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბება გუნდში.

THE NEW ECONOMIST

ბუნების მიზანი. იმისათვის, რომ გუნდი ეფექტურად ფუნქციონირებდეს, მისი წევრები სრულად უნდა იზიარებდნენ ორგანიზაციის მისიასა და მიზნებს. ანუ, მათ ერთნაირად უნდა ესმოდათ ის, თუ რისთვის არსებობს ორგანიზაცია და რა არის მისი სასურველი შედეგი. უნდა ითქვას, რომ ეფექტური მენეჯმენტისათვის განსაკუთრებული თვისებაა წონადი, დროსთან და ადგილთან დაკავშირებული, სწორი და ძლიერი მიზნის დასახვა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზანს ძალა აქვს, მენეჯერს შეუძლია ჰკავდეს მიმდევრები და აიცილოს ისინი. მენეჯერთა გარკვეულ ნაწილს ზედმეტად მიაჩნია დაქვემდებარებულებში ორგანიზაციის მიზნებზე საუბარი. არადა, თუ მათ მიზანი სხვადასხვანაირად ესმით, ეს მკვეთრად აფერხებს საქმის კეთებას და გარკვეულ პრობლემებს უქმნის ორგანიზაციას. ორგანიზაციის მენეჯერს კარგად უნდა ესმოდათ ამ ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მეტიც - იცოდეს, რომ ამ ფაქტორის სირთულეს ისიც კი განაპირობებს, რომ მას ამ პროცესში ორი განსხვავებული როლი აქვს შესასრულებელი. ერთი, როგორც გუნდის ლიდერის და მეორე, როგორც გუნდის რიგითი წევრის. ამ ორ როლს სრულიად განსხვავებული შესრულება სჭირდება, თუმცა ორივეს ერთმანეთთან გადაჯაჭვული საერთო მიზნები უნდა აკავშირებდეს.

სტრატეგია. ცნობილია, რომ მიზანი განსაზღვრავს მართვის პროცესის შინაარსს. შესაბამისად, დღეს მენეჯერთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. თანამედროვე მენეჯმენტი ვალდებული ხდება იმუშაოს იმაზე, რომ ყველა სასურველი მიზანი შესაბამისი ევოლუციური სტრატეგიით აღჭურვოს. ამისათვის კი, მენეჯერს უნდა გააჩნდეს იმის უნარი, რომ დაინახოს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული სათანადო ცვლილებები, რომლის საფუძველზე შეძლოს სწორად დაგეგმოს ბიზნესი. ანუ, შეიმუშაოს მოქნილი სტრატეგია. სტრატეგიის დანერგვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ გუნდი შეიკრას, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. მაგალითად, ფეხბურთის კარგი გუნდი არ ნიშნავს მხოლოდ კარგ ფეხბურთელებისგან შემდგარ ნაკრებს. გუნდის თითოეული წევრის მიზანია, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის უშუალოდ გუნდში, რადგან მათი პოპულარობა და წარმატება სწორედ გუნდის წარმატებებს უკავშირდება. ფაქტიურად, გუნდის სტრატეგია ეს

არის მისი თითოეული წევრის სტრატეგიათა ერთობლიობა და გუნდის შედეგი დამოკიდებულია ამ სტრატეგიათა კოორდინაციის ხარისხზე.

სტრუქტურა. ფაქტიურად, სასურველი მიზნის ძალად და მისი მიღწევის სწორმა სტრატეგიამ უნდა ჩამოაყალიბოს ორგანიზაციის საკვანძო ელემენტი - სტრუქტურაც, ანუ ის კავშირები, რომელიც ორგანიზაციის ცალკეულ ელემენტებსა და მის კონსტრუქციას შორის არსებობს და რომლის საფუძველზეც ხდება მისი მართვა. ანუ, სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტების გარეშე ვერ იქნება შედეგიანი. ის უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის სტრატეგიას, ესმარებოდეს მას - იმუშაოს.

როლემბი. სასურველი მიზნების მისაღწევად და გუნდის მაღალი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად უნდა გააკონტროლოს მისი წევრების ქცევა. ქცევის გაკონტროლების ერთ-ერთი საშუალება როლების მინიჭებაა. როლები ქცევის ის წესებია, რომელთაც ემორჩილება გუნდის წევრები. იგი მოიცავს ქცევის წესების მთელ სპექტრს სამუშაო საათების, ინფორმაციის გაზიარების, ამოცანათა შესრულებისა და თვით ჩაცმის მანერის ჩათვლით. პიროვნებაზე გაპიროვნებული საქმიანობის ზუსტი აღწერა გარკვეულ დახმარებას გვიწევს გუნდში როლური პრობლემების გადაწყვეტაში. საქმე იმაშია, რომ ორგანიზაციათა წარმატებლობის ერთ-ერთი პრობლემა ხშირად გუნდის ცალკეულ წევრთა როლის გაურკვევლობაა. ანუ, არ იცის, თუ რას მოეღოს მეორისაგან, რაზედაც მისი სათანადო ქცევა უნდა ააწყოს.

წარმოდგენილი მოდელი იერარქიულია. ანუ, ჯერ უნდა განისაზღვროს გუნდის მიზანი, შემდეგ სტრატეგია, სტრუქტურა და ბოლოს - როლები, რასაც შესაბამისად მოყვება სათანადო პიროვნებათა შორის ურთიერთობები. ამ თანმიმდევრობის უგულვებელყოფაც კი იწვევს პრობლემებს. მაგალითად, თუ გუნდის შენებას კარგი ურთიერთობით (მეგობრობით) დავიწყებთ, მას შეიძლება არ ექნეს სათანადო ეფექტი, რადგან მის წევრებს გზადაგზა მოუწევთ მიზნის, როლებისა და პროცედურების გარკვევა, რამაც შეიძლება გუნდის მართვაში პრობლემები შექმნას და მეტიც, კარგად აწყობილ პიროვნებათა შორის ურთიერთობებშიც კი გარკვეული დაძაბულობა გამოიწვიოს.

გუნდის მართვა და მისი ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ენდობიან, მხარს უჭერენ, პატივს სცემენ, კომფორტულად გრძნობენ ერთად თავს გუნდის წევრები. როდესაც წარმოდგენილი ეტაპები აკადემიურობის სრული



დაცვით სრულდება, გუნდის წევრები შეთანწყო-ბილად მუშაობს, მიზნის მიღწევაც ადვილდება, ნდობაც ყალიბდება და მათ შორის ურთიერ-თობაც შესანიშნავია. გუნდის წევრებს ერთად ყოფნის (როგორც მუშაობის, ასევე გართობისა და დასვენების) სურვილი უჩნდებათ. ანუ, ყალიბდება საუკეთესო ადამიანური ურთიერთობები.

სამწუხაროა, მაგრამ დღესაც, არცთუ ისე ცოტა ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ საწარმოო პერ-სონალის წარმატებული საქმიანობის მთავარი და ხშირად ერთადერთი მოტივი მატერიალური დაინტერესებაა. ამ ფაქტორის ძალზე დიდი მნიშ-ვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით დღევან-დელ ქართულ სინამდვილეში, იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი დიდი მონ-დომებითა და თავდავიწყებით მუშაობს, თუმცა მას არ აკმაყოფილებს ხელფასის დონე. ასე რომ, ფული ყოველთვის და ყველაფერს არ წყვეტს და ორგანიზაციის წარმატებაც მხოლოდ მას არ უკავშირდება.

თანამედროვე მენეჯმენტი გუნდურობის მოტი-ვაციას განიხილავს როგორც მენეჯერის ისეთ უნარს, რომ თითოეულმა მათგანმა გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭი-როა იმიტომ, რომ ეს თვითონ მას სურს. თუმცა, მოტივაცია ამით არ მთავრდება. საჭიროა მისი მუდმივი შენარჩუნება. სწორედ აქ დგება მთა-ვარი პრობლემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწ-ყობს პერსონალის თვით-მოტივაციის ხანგრძლივ შენარჩუნებას და ამ მოტივაციის ორგანიზაციის მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს.

მაინც რა განაპირობებს მოტივაციას გუნდში? ჩვენი აზრით, გუნდში პერსონალის მოტივაციას იწვევს შემდეგი ძირითადი ფაქტორები. ამასთან, არა თითოეული ცალ-ცალკე, არამედ ყველა ერთ-დროულად. ეს ფაქტორებია:

- თითოეული ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მის შრომას და მონდომებას გუნდში სა-თანადოდ აფასებენ და ეს ყველაზე კარგად მის შრომის ანაზღაურებაში გამოიხატება. უნდა ითქ-ვას, რომ ორგანიზაციის გუნდური მუშაობა არა თუ გამორიცხავს, არამედ სისხლხორცეულად მოიცავს ინდივიდუალურ პირთა მოტივაციას;
- დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გუნდში თითოეულ პერსონალზე დაკისრებული მოვალეო-ბა შეესაბამება მის კვალიფიკაციას და ინტერესს აღძრავს მასში;
- გუნდის ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს მონაწილეობა გუნდის საქმი-ანობაში და გამოხატოს აზრი მის შესახებ;
- გუნდის თითოეულმა წევრმა ზუსტად

უნდა იცოდეს, თუ რას ფიქრობენ მასზე და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ამასთან, თუ მოგვწონს როგორ მუშაობს იგი, აუ-ცილებლად უნდა შევაქოთ, ხოლო თუკი რაიმე პრეტენზია გვაქვს მასთან, ესეც ვუთხრათ, თუმცა მხოლოდ პირად საუბარში და არა საჯაროდ;

- გუნდის ყველა წევრმა აუცილებლად უნდა იცოდეს თუ რას ემსახურება ორგანიზა-ცია, რა არის ორგანიზაციის მისია, როგორია მისი მიზნები, ამოცანები და შესრულების სტრატეგია, რომ დაინახოს მტკიცე კავშირი მის საქმიანობასა და ორგანიზაციის სასურველ მდგომარეობას შო-რის;

- მნიშვნელოვან მოტივატორს წარმოად-გენს პერსონალის სოციალური უზრუნველყო-ფაც. მინიმალური სოციალური გარანტიებიც კი იწვევს თანამშრომელში მოტივაციას, რადგან ადა-მიანს უჩნდება სტაბილურობის შეგრძნება, რაც კეთილსინდისიერი მუშაობისკენ უბიძგებს მას.

პერსონალის მოტივაციის აღნიშნული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება ფაქტიურად ქმნის გუნდს, რომელთაც ერთმანეთთან გადაჯაჭ-ვული საერთო მიზნები აკავშირებს. მენეჯერი ხელს უნდა უწყობდეს ჯგუფში ისეთი ნორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც დაეხმარება გუნდის მაღალ ეფექტურობასა და ორგანიზაციის სასურ-ველი მიზნების მიღწევას.

ამასთან, სისტემატიურად უნდა გადამოწმდეს და იმართოს გუნდის ერთიანობა, ანუ გუნდის წევრთა გუნდისადმი ლოიალურობის ხარისხი. საქმე იმაშია, რომ როდესაც ერთიანობა ძლიერია, გუნდის წევრები აფასებენ საკუთარ წევრობას, მოსწონთ გუნდი და დიდი სურვილი აქვთ, დარჩ-ნენ ამ გუნდში. როდესაც ერთიანობა, პირიქით, დაბალია, მის წევრებს არ მოსწონთ იგი და არც სურვილი აქვთ, შეინარჩუნონ წევრობა. და მეორე - მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს ასევე გუნ-დური მუშაობისათვის დამახასიათებელი მნიშ-ვნელოვანი ფაქტორი - სოციალური სიზარმაცეც, რომელიც ამცირებს მის ეფექტურ მუშაობას. სოციალური სიზარმაცე ეს არის ის ტენდენცია რომლის მიხედვითაც გუნდის წევრები მუშაო-ბენ ნაკლები გულმოდგინებით, ვიდრე ინდივიდუ-ალურად. ამგვარი ტენდენცია იწვევს გუნდური ეფექტურობის შემცირებას და ხელს უშლის მისი მიზნების მიღწევას. ერთადერთი ხერხი, რომლის საშუალებითაც მენეჯერს სოციალური სიზარმა-ცის თავიდან აცილება შეუძლია, საერთო ნამუ-შევარში შეტანილი გუნდის წევრთა ინდივიდუ-ალური წვლილის გამოყოფაა. თუ ეს მიღწეულია ანუ გუნდის წევრებმა იციან, რომ მათი გულმოდგ-

საბანკო ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ინება დანახულ იქნება და შეფასდება კიდევ, სო- ალური შემსრულებლები და ამავდროულად შეინ- ციალური სიზარმაცე მოიხნება. სწორედ ეს არის არჩუნე მუშა გუნდი. მენეჯმენტის ხელოვნება - წაახალისე ინდივიდუ-

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე მენეჯმენტი, თქვენი წარმატების მეგზური, Business Cafe.wordpress.com 2010/02/17;
2. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>.
3. ჯულაყიძე ე., ჯულაყიძე შ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ. -156 გვ.
4. www.sapientisat.ge/index.php?section=24

Management Maintenance Personnel Teamwork

Shalva Julakidze

Davit Agmashenebeli National Defense Academy of Georgia

Ph.D in Economics, Associate Professor

Managers often create a working group to achieve organizational aims. If each member of the group shows their ability, then it's remaking the team. There are four main stages, in spite of the factors determining the plurality of teamwork, whose right enforce makes its success. These are: aims, strategy, structure and roles, whose result should be the best team in interpersonal relationships. Thereby, permanently should be checked regularly and the rule of team unity, team or team member loyalty and quality of social laziness, which reduces its effective operation. Exactly here comes art Management - encourage individual artists working at the same time maintaining a working-team.

მენეჯმენტის ისტორიული ასპექტები ღინამიკურ ზრილში



ვზგენი ბარათაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული პროფესორი



მანანა მარიდაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
სტუ-ს ბიზნესის მართვის დეპარტამენტის
უფროსი მასწავლებელი

მე-20 საუკუნეში ჩვენი საზოგადოება გადაიქცა ორგანიზაციების საზოგადოებად. ორგანიზაციები მენეჯერებზე არიან დამოკიდებული, მენეჯერები კმნიან ორგანიზაციებს, წარმართავენ მას და იყენებენ მას დასახული მიზნების მიღწევაში. როგორც კი ორგანიზაცია იწყებს ზომაში ზრდას, მას მაშინვე ექმნება საჭიროება მენეჯერებისა, რომლებიც პროფესიულად დაკავდებიან მენეჯმენტით. მენეჯმენტი წარმოადგენს მეცნიერულ დისციპლინას, რომელიც გამყარებულია ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების ობიექტური მიზნებით. ნებისმიერ ორგანიზაციას ესაჭიროება მენეჯერები, რომლებიც შეასრულებენ ამოცანებს საქმიანობის მართვის კუთხით, ე.ი. დაკავდებიან დაგეგმვებით, სამუშაოს სისტემატიზაციით, ინტეგრირებით, ადამიანების შეფასებითა და განვითარებით. ორგანიზაციას სჭირდება მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან შედეგებსა და მათს მიერ შეტანილ წვლილზე. სახელდობრ შეტანილ წვლილზე პასუხისმგებლობა განსაზღვრავს მენეჯერს და არა თანამდებობა, ტიტული ან ძალაუფლება სხვა ადამიანებზე.

დაწყებული 1930-იანი წლებიდან ყველა განვითარებული ქვეყანა ორგანიზაციების საზოგადოებად გადაიქცა. ორგანიზაციები არიან დაკავებული ნებისმიერი სერიოზული სოციალური ამოცანით, იქნება ეს ეკონომიკური საქმიანობა თუ ჯანდაცვა, განათლება თუ გარემოს დაცვა, ცოდნის შექმნა თუ თავდაცვა. ეს ორგანიზაციები გამიზნულია ხანგრძლივი არსებობისათვის და მათ საკუთარი მენეჯერები მართავენ. თანამედროვე საზოგადოების ეფექტურობა, რომ არაფერი ვთქვათ მისი თითოეული წევრის გადარჩენაზე, სულ უფრო მეტად და მეტად არის დამოკიდებული ამ დაწესებულებების მუშაობაზე. ორგანიზაციის ეფექტურობა და გადარჩენა მენეჯერის ეფექტურობაზეა დამოკიდებული. თითოეული ადამიანის ცხოვრება დამოკიდებულია მენეჯერის და მენეჯმენტის ეფექტურობაზე. ათიდან ცხრა ადამიანი უმადლესი განათლების მიღების შემდეგ რომელიმე ორგანიზაციის თანამშრომელი ხდება. მათი ეფექტურობა და შრომის ნაყოფიერება, მათი დაკმაყოფილება, მიღწევები და მათი, როგორც პიროვნების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ორგანიზაციის მენეჯმენტის

ეფექტურობაზე, სადაც ისინი მუშაობენ. გონებრივი შრომის მუშაკების აბსულუტური უმრავლესობა თვითონ გახდება მენეჯერი, ამიტომ მათი უნარი შეასრულონ ეს მოვალეობები და მიაღწიონ მაღალ შედეგებს, დამოკიდებულია იმაზე, რამდენი იციან მათ მენეჯმენტზე, როგორ შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, წარმოიშობა იმის ცდუნება, რომ ვილაპარაკოთ მენეჯმენტზე, როგორც მეცნიერებაზე. მაგრამ, თუ გადავწყვიტავთ, რომ მენეჯმენტი მხოლოდ მეცნიერებაა, ამითი მას მხოლოდ ზიანს მივაყენებთ. აშკარაა, რომ მენეჯერის საქმიანობა შეიძლება გაანალიზდეს და კლასიფიციკაცია გაუკეთდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს მენეჯმენტის კონკრეტული პროფესიონალური თვისებები და მენეჯმენტის მეცნიერული ასპექტი. მენეჯმენტი არის არა მხოლოდ გამოცდილება, ინტუიცია და თანდაყოლილი ნიჭი. ნებისმიერ ადამიანს ნორმალური ინტელექტით შეუძლია გაანალიზოს და შეისწავლოს მისი ელემენტები და მოთხოვნები. „ინტუიციური მენეჯმენტის“ დღეები დათვლილია. მენეჯერებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი

სხალი მკონოსისტი THE NEW ECONOMIST

მუშაობის ხარისხი ყველა სფეროში და მენეჯმენტის ყველა დონეზე, დაწყებული სტაჟორიდან, დამთავრებული გიგანტური მულტინაციონალური კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორით. ამის მისაღწევად მათ სჭირდებათ, სისტემატურად შეისწავლონ პრინციპები, შეიძინონ ცოდნა და მუდმივად აანალიზონ მახეწებლები მუშაობის ყველა მიმართულებით. არავის არ შეუძლია შეიტანოს იმდენი წვლილი ოსტატობაში, ეფექტურობასა და შრომი შედეგების გაზრდაში, რამდენიც მენეჯერს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე საზოგადოებასა და მის წევრებზე მენეჯერის გავლენა იმდენად დიდია, რომ იგი მოითხოვს მენეჯერისაგან თვითდისციპლინასა და ნამდვილი პროფესიონალის მაღალი სტანდარტების მიყოლას. მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა მენეჯერის მთავარი გამოცდა მისი შედეგიანობაა. მიღწევები და არა ცოდნა რჩება მიზნადაც და დასტურადაც. მენეჯმენტი უფრო პრაქტიკაა, ვიდრე მეცნიერება ან პროფესია, თუმცა შეიცავს როგორც ერთის ასევე მეორის ელემენტებს. თუ შევეცდებით მენეჯმენტი პროფესიონალური გახადოთ, ანუ შევუზღუდოთ მენეჯერის პოზიციაზე დანიშნვა ადამიანებს, ვისაც განსაზღვრული სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ მენეჯმენტში, ეს მხოლოდ ავნებს საზოგადოებასა და მეურნეობას. შედეგად მენეჯმენტში მოვლენ ბიუროკრატები, რაც ხელს შეუშლის ინოვაციების განვითარებას და კრეატიულობას. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა ვიცით იმისათვის, რომ გავხადოთ მენეჯერების საქმიანობა დიპლომირებული სპეციალისტების მონოპოლიად.

მენეჯმენტის სწავლება ხომ მენეჯმენტზე უფროსი არა არის, ეს კი ნიშნავს, რომ ის ახლახანს დაიწყო. მართალია, ჩვენთვის ბევრია ცნობილი, მაგრამ შეუსწავლელი საკითხები ე.წ. თეთრი ლაქები კიდევ უფრო მეტია, ვიდრე სხვა სფეროებში, ჩვენ ვიცით, რომ ბევრი რამ, რა ჭკვიანურადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, არ გამოგვადგება მენეჯმენტის პრაქტიკაში. ჩვენი ვიცით, რომ მენეჯმენტი ერთი ქვეყნითა და ერთი კულტურით არ შემოიფარგლება. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოჩნდნენ პირველი დაწესებულებები, ვისაც მენეჯერები მართავდნენ მაგალითად, ტრანსკონტინენტალური რკინიგზა ამერიკაში, რომელის მენეჯმენტიაც სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყო დაკავებული.

მენეჯერი განსაკუთრებულ რესურსთან-ხალხთან მუშაობს. ადამიანი უნიკალური რესურსია, ამიტომ ადამიანი, ვისაც უნდა, რომ ისწავლოს ხალხთან მუშაობა, უნდა ფლობდეს განსაკუთრე-

ბულ ნიშან- თვისებებს. ხალხთან მუშაობა ნიშნავს მუდმივად ავითარებდე მათ. ამ მიმართულების განვითარებას კი განაპირობებს ის შედეგი, გახდება თუ არა ადამიანი, როგორც პიროვნება და რესურსი უფრო ეფექტური ან და პირიქით, საბოლოო ჯამში დაკარგავს თავის კვალიფიკაციას. ეს შეეხება არა მხოლოდ მას, ვისაც მართავენ, არამედ თვით მენეჯერსაც. თუ მენეჯერი ავითარებს თავის ხელკვეთებს სწორი მიმართულებით, ეხმარება მათ, რათა გახდნენ უკეთესები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრება ოსტატობის დაკარგვა და დაცემა. ხალხის მართვის განსაზღვრული უნარ- ჩვევები შეიძლება შეისწავლის ადამიანმა, მაგალითად, როგორიცაა კონფერენციის გაძღოლა და გასაუბრების ჩატარება. შეიძლება ისეთი მეთოდების დანერგვა, რომელიც ეხმარება ისეთი კატეგორიების განვითარებას, როგორიცაა მენეჯერსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებს შორის ურთიერთობის სტრუქტურა, კარიერული ზრდის სისტემა, ორგანიზაციაში სტიმულებისა და ჯილდოების განაწილების პრინციპი. ამ ყველაფრის მიუხედავად მენეჯერი ხალხის განსავითარებლად აუცილებლად უნდა ფლობდეს თვისებას, რომელსაც ვერ შეიქმნის ხელოვნურად უნარ-ჩვევების შექმნის გზით.

ჩვენს დროში სულ უფრო და უფრო ხშირად უსვამენ ხაზს იმას, რომ მენეჯერს აუცილებლად უნდა უყვარდეს ადამიანები, ეხმარებოდეს მათ და ჰქონდეს კარგი ურთიერთობები მათთან. მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. ნებისმიერ წარმატებულ ორგანიზაციაში არიან ხელმძღვანელები, რომელთაც არ უყვართ ხალხი, არ ეხმარებიან მათ და არა აქვთ კარგი ურთიერთობები მათთან. ცივები, უსიამოვნოები, მომთხონებები, ისინი ძალიან ხშირად ასწავლიან და ანვითარებენ ხალხს უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე. ისინი ითხოვენ სრულყოფილებას სამუშაოს შესრულებაში თავის თავისგანაც და გარშემო მყოფთაგანაც. ისინი აწესებენ მაღალ სტანდარტებს და აქვთ იმის რწმენა, რომ ეს სტანდარტები დაცული იქნება. ისინი ყოველთვის აფასებენ იმას, რაც სწორია და არა იმას, ვინაა მართალი. თუმცა უხშირესად ეს ნიჭიერი ხალხია, ისინი სხვა ადამიანებში ინტელექტის განვითარებას ხასიათის სიმტკიცეზე მაღლა არ აყენებენ. ადამიანი, რომელსაც არა აქვს ეს თვისება, რაც არ უნდა ურთიერთობაში სასიამოვნო, მეგობრული, დახმარების მოყვარული, კომპეტენტური და ჭკვიანი იყოს, არ გამოდგება მენეჯერის პოსტისათვის. ის, რასაც მენეჯერი აკეთებს, შეიძლება სისტემატურად გაანალიზდეს.



ის, რასაც მენეჯერი აკეთებს, შეიძლება შესწავლილ იქნას, მაგრამ არის ერთი თვისება, რის გარეშეც ის ფონს ვერ გაავა და ეს არის არა გენიალობა, არამედ ხასითის სიმტკიცე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრ დამკვირვებელს ეჩვენებოდა, რომ მენეჯმენტი სუფთა ამერიკული გამოგონება იყო, მაგრამ ეს ასე არ არის, რაც დამტკიცდა კიდევ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის სწრაფი აღდგენით. მენეჯმენტის ფუნქცია, მენეჯმენტის სამუშაო, მისი ამოცანები და ზომები უნივერსალური და ერთნაირია ყველა ქვეყნისათვის. მაგრამ ის, თუ როგორ სრულდება სამუშაო, ბევრად არის დამოკიდებული ეროვნულ თავისებურებებზე, ტრადიციებზე, ისტორიაზე. მენეჯმენტი სოციალური ფუნქციაა, რაც ვლინდება ფასეულობებში, ტრადიციებში, მოსაზრებებში, აგრეთვე სახელმწიფო და პოლიტიკურ სისტემებში. მენეჯმენტს კულტურა განაპირობებს. ხოლო მენეჯმენტი თავის მხრივ ახდენს კულტურისა და საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამგვარად, თუმცა მენეჯმენტი ცოდნის ცალკეულ სფეროს წარმოადგენს და ყველგან გამოიყენება, ის მასთან ერთად კულტურაც არის და არა მეცნიერება, რომელიც ფასეულობებს არის მოკლებული.

პირველ რიგში ჩვენ ვიცით, რომ მენეჯერები მენეჯმენტით არიან დაკავებული. ისინი არ არიან დაკავებული ეკონომიკითა და გამოთვლებით, არ სწავლობენ ქცევას, ეს მხოლოდ მენეჯერის ინსტრუმენტებია. ამგვარად, არსებობს კონკრეტული მართვითი უნარ-ჩვევები, რომელიც ახასიათებს მენეჯმენტს, და არა რომელიმე სხვა დისციპლინას. ერთ-ერთი მათგანია ურთიერთობა ორგანიზაციის ჩარჩოებში, მეორე-გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველ ვითარებაში. გამოიყოფა კიდევ ერთი უნარი - სტრატეგიული დაგეგმარება. როგორც განსაკუთრებულ დისციპლინას, მენეჯმენტს ახასიათებს მთელი რიგი საკუთარი საბაზისო პრობლემები, განსხვავებული მიდგომები და განსაკუთრებული ამოცანები. მენეჯერი თუ კარგად არის გარკვეული მენეჯმენტის დისციპლინაში, შეიძლება თავისი ფუნქციების შესრულებას, თუნდაც მინიმალური ცოდნა ჰქონდეს იმის შესახებ, როგორ გამოიყენოს მართვითი მეთოდები და ინსტრუმენტები. ადამიანი, რომელმაც მხოლოდ მეთოდები და პრინციპები იცის, მაგრამ ვერ ერკვევა მენეჯმენტის საუბრებში, არის მხოლოდ მექანიკური შემსრულებელი და არა მენეჯერი.

მენეჯმენტი უფრო პრაქტიკაა, ვიდრე მეცნიერება. ამ კუთხით ის შეგვიძლია შევადაროთ მედიცინას, იურისპრუდენციასა და საინჟინრო საქმეს.

მენეჯმენტის პრაქტიკა დამყარებულია ცოდნასა და პასუხისმგებლობაზე. მენეჯმენტის სახელმძღვანელოს ზოგიერთი თანამედროვე ავტორი მიიჩნევს, რომ მენეჯმენტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა და მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული გამოგონებას წარმოადგენს. მართლაც, მეორე მსოფლიო ომამდე მენეჯმენტისა შესწავლის მიმართ ინტერესს მხოლოდ ცოტა ვინმე თუ იჩენდა. მენეჯმენტის პოპულარობა არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაიზარდა, მაგრამ მენეჯმენტს, როგორც საქმიანობისა და კვლევის სფეროს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს ზოგიერთ ქვეყანაში, ზოგჯერ ორ საუკუნეზე მეტიც. მენეჯმენტი იმაზე დიდი ხნით ადრე გაჩნდა, ვიდრე მასზე ლაპარაკს დაიწყებდნენ. ზოგიერთმა გამოჩენილმა ეკონომისტებმა, მაგალითად, როგორც იყო ადამ სმიტი (1723-1790), არ იცოდა ცნება მენეჯმენტი. მათთვის ეკონომიკა განისაზღვრებოდა ობიექტური ეკონომიკური ძალებით. იზიარებდა, რა ტრადიციული კლასიკური ეკონომიკის სულისკვეთებას, ანგლო-ამერიკული ეკონომისტი კენეტ ბულდინგი (1910) წერდა: “ეკონომიკა უფრო მეტად დაკავშირებულია საქონლის და არა საზოგადოების ქცევასთან.”

კარლ მარქსი ირწმუნებოდა, რომ მსოფლიოს მართავს არა პიროვნული ძალები, არამედ ისტორიული კანონები, რომელსაც პიროვნება უნდა მოერგოს. უკეთეს შემთხვევაში ადამიანს შეუძლია მოახდინოს იმის ოპტიმიზაცია, რასაც ეკონომიკა გვთავაზობს; უარეს შემთხვევაში ის უშლის ეკონომიკურ ძალებს და გაუაზრებლად ხარჯავს ძვირფას რესურსებს. ინგლისელი კლასიკოსების უკანასკნელი წარმომადგენელი ალფრედ მარშალი (1842-1924), მენეჯმენტს ერთ რიგში აყენებდა წარმოების ფაქტორებთან, მიწა, ადამიანური რესურსები და კაპიტალი. ერთად მაგრამ ამას აშკარად უხალისოდ აკეთებდა. მარშალისათვის მენეჯმენტი მაინც რჩებოდა უფრო დამატებით, ვიდრე ძირითად ფაქტორად. თუმცა დასაწყისისივე არსებობდა ალტერნატიული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ფიგურა მენეჯმენტი იყო. ჯონ ბ. სეი (1767-1832) იყო ადამ სმიტის ადრეული მიმდევარი, საფრანგეთის და საერთოდ მთელი ევროპის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. მართალია, მის შრომებში წარმოების ფაქტორები უმთავრესი არ არის, მაგრამ მისის თეორიის მიხედვით, მეწარმეს შეუძლია ნაკლებად პროდუქტიული რესურსები გადააქციოს უფრო პროდუქტიულ ინვესტიციებად და ამ გზით შექმნას სიმდიდრე. სეის მიმდევრები გახდნენ ფრანგული სკოლის ე.წ. “უტოპიური-სოციალისტები“, კერძოდ ფრანსუა ფურე (1772-1837) და ექსცენტრი-

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კული გენიოსი კლოდ სენ-სიმონი (1760-1825). იმ დროს არ არსებობდნენ დიდი ორგანიზაციები და მენეჯერები, მაგრამ ამ ხალხმა იწინასწარმეტყველა მათი გამოჩენა და „აღმოაჩინა“ მენეჯმენტი მანამდე, სანამ ის სინამდვილეში წარმოიშობოდა ჩვენს საზოგადოებაში. სენ-სიმონმა იწინასწარმეტყველა დიდი ორგანიზაციების გამოჩენა. მან ისიც იწინასწარმეტყველა, რომ მათი ამოცანა იქნებოდა რესურსების მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღწევა და ეფექტური სოციალური სტრუქტურების მიღწევა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფაქტობრივად, მან იწინასწარმეტყველა, რა იქნებოდა მენეჯმენტის ამოცანები. სახელდობრ მენეჯმენტზე, როგორც ცალკეულ ძალაზე, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს წარმოების ფაქტორებისა და ისტორიული კანონებისაგან დამოუკიდებლად, ყურადღების გამახვილების გამო, გააკრიტიკა ფრანგები მარქსმა და ზიზლით უწოდა მათ „უტოპისტები“. და მაინც, სახელდობრ ფრანგებმა და პირველ რიგში სენ-სიმონმა შექმნეს საბაზისო კონცეფციები, რომელზეც დგას ნებისმიერი სოციალიტური ქვეყნის ეკონომიკა. სოციალისტებმა რაც არ უნდა ხშირად ასხენონ მარქსი, მათი სულიერი წინაპარი მაინც სენ-სიმონი იყო. ამერიკაშიც ისევე, როგორც ევროპაში, ადრეულად გაათვითცნობიერეს მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი როლი. ალექსანდრე ჰამილტონის (1757-1804) ცნობილი ნაშრომი „ანგარიში მწარმოებლების შესახებ (1757-1804) დაფუძნებულია ადამ სმიტის იდეებზე, მაგრამ ჰამილტონმა ყურადღება გაამახვილა მენეჯმენტის კონსტრუქციულ, მიზნობრივ და სისტემატურ როლზე. მენეჯმენტს მან მიანიჭა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალის როლი, ხოლო ორგანიზაციებს მიაკუთვნა ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორის როლი. ჰენრი კლეი (1777-1852) გაჰყვა ჰამილტონის ნაბიჯებს. თავის ცნობილ ნაშრომში „ამერიკული სისტემა“ მან შემოგვთავაზა ეკონომიკის სისტემატური განვითარების თავისებური სქემა. ხოლო გარკვეული დროის შემდეგ შოტლანდიელი მეწარმე რობერტ ოუენი (1771-1858) ფაქტიურად გახდა პირველი მენეჯერი. მე-19 საუკუნის ოციან წლებში თავის საფეიქრო ფაბრიკაში ოუენი პირველად შეუდგა ისეთი პრობლემების შესწავლას, როგორცაა პროდუქტიულობა და მოტივაცია, დაქირავებული მუშახელის შრომასთან, თავის ორგანიზაციასთან და ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულება. ეს საკითხები დღემდე საკვანძოდ ითვლება მენეჯმენტისათვის. მენეჯერი გაცოცხლდა ოუენის წყალობით. ბევრმა წყალობა ჩაიარა, ვიდრე ოუენს

მიმდევრები გამოუჩნდებოდნენ. პირველი მსხვილი ორგანიზაცია 1870 წელს ერთდროულად ორ ადგილას შეიქმნა. ჩრდილოეთ ამერიკაში წარმოიქმნა სერიოზული პრობლემები ტრანსკონტინენტალური რკინიგზის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო ევროპაში გამოჩნდა პირველი უნივერსალური ბანკი, რომელიც იყო საერთო ეროვნული მასშტაბის და ჰქონდა მრავლობითი ფილიალები, რაც ტრადიციული სტრუქტურის გამოყენებას შეუძლებელს ხდიდა და საჭიროებდა მენეჯმენტს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პრობლემის გადაჭრა მოხდა ჰენრი თაუნის (1844-1924). მეშვეობით. ეს მოხდა მის ცნობილ შრომაში „ინჟინერი, როგორც ეკონომისტი“, რომელშიც თაუნმა წარმოადგინა ის, რასაც შეგვიძლია მენეჯმენტის პირველი პროგრამა ვუწოდოთ. მან წამოჭრა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა განსხვავება შედეგიანობასა და ეფექტიანობას შორის, შრომის ორგანიზაცია, წარმოების საზოგადოების ანუ მუშახელის ორგანიზაცია, ბაზრის ფასეულობები მომხმარებლისათვის და ტექნიკური მიღწევები. თაუნის შემდეგ წარმოიშვა ინტერესი მენეჯმენტის ამოცანებისა და მენეჯერის პროფესიის მიმართ. დაახლოებით ამავე დროს გერმანიაში გეორგ სიმენსმა (1839-1901) გადააქცია ეუტსცე ბანკი კონტინენტური ევროპის ძირითად ფინანსურ ინსტიტუტად. მან პირველმა ჩამოაყალიბა ეფექტური ტოპ-მენეჯმენტი, პირველმა დაიწყო ფიქრი მის ამოცანებზე და პირველი შეეხო მსხვილ ორგანიზაციებში კომუნიკაციისა და ინფორმაციის გადაცემის პრობლემას. იაპონიაში ეიჩი შიბუსავამ (1840-1931), გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელიც დროთა განმავლობაში დიდ ბიზნეს ლიდერად გადაიქცა, 1870-1880 წლებში პირველმა წამოჭრა საკითხები, რომლებიც ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა ბიზნეს-საწარმოსა და ნაციონალური იდეის ურთიერთკავშირი და კომპანიის მოთხოვნები ეთიკის მიმართ. იგი აქტიურად იყო დაკავებული მენეჯმენტის სფეროში განათლების საკითხებით. მან პირველმა დაახასიათა მენეჯერის პროფესია. ის, რომ დღეს იაპონიას ერთ-ერთი ლიდერის როლი უკავია მსოფლიო ეკონომიკაში, შიბუსოვას მოღვაწეობის დამსახურებაა. კიდევ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ შემუშავებულ იქნა თანამედროვე მენეჯმენტის ყველა საბაზისო კონცეფცია, თანაც ეს მოხდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მსოფლიოს ორ ქვეყანაში. 1880 წელს ფრედერიკ ტილორი (1856-1915), ამერიკელი თვითნასწავლმა ინჟინერი,



შეუდგა შრომის არსის კვლევას. დღეს მოდური გახდა, ტეილორისათვის ზემოდან გადახედვა და მისი მოძველებული ფსიქოლოგიის განადგურება, მაგრამ სახელდობრ იგი იყო პირველი კაცობრიობის მთელს ისტორიაში, რომელმაც არ აღიქვა შრომა, როგორც უკვე რაღაც მოცემული, და შეუდგა მის შესწავლასა და ანალიზს. მისი მიდგომა დღემდე საფუძვლის საფუძვლად ითვლება. რა თქმა უნდა, თავის დამოკიდებულებაში დაქირავებული მუშახელის მიმართ, ტეილორი, როგორც მე-19 საუკუნის მცხოვრები, ისე მსჯელობდა, მაგრამ მისი ამოსავალი წერტილი იყო არა საინჟინრო მიზნები და ეკონომიკური მოგების მიღება, არამედ სოციალური მიზნები. მას ამოძრავებდა სურვილი გაეთავისუფლებინა მუშახელი მძიმე შრომის უღლისაგან, რაც მის სხეულსა და სულს ანადგურებდა. ამას გარდა, მას იმედი ჰქონდა, რომ კლასიკოსი ეკონომისტების მიერ შემუშავებული სახელფასო ანაზრაურების ფორმირების იმ რკინის წესს გააუქმებდა, რისი მიხედვითაც მუშახელი განწირული იყო ეკონომიური არასტაბილურობისა და სიღარიბისთვის. ტეილორი იმედოვნებდა, აღეჭურვა მუშახელი არსებობის ღირსეული საშუალებებით მისი მწარმოებლურობის ამაღლების ხარჯზე. დაახლოებით ამავე დროს საფრანგეთში ანრი ფაიოლიმ (1841-1925), რომელიც იმდროისათვის მსხვილ სამთო საწარმოს ხელმძღვანელობდა, პირველმა დაიწყო ფიქრი ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და შემუშავა პირველი რაციონალური მიდგომა ორგანიზაციის სტრუქტურის მიმართ, ე.წ. ფუნქციონალური პრინციპი. გერმანიაში კი ვალტერ რატენაუ (1867-1922), რომელიც თავისი კარიერის გარიჟრაჟზე მუშაობდა დიდ კომპანიაში, სვამდა ასეთ კითხვებს: რა ადგილი უჭირავს დიდ კომპანიას თანამედროვე საზოგადოებასა და თანამედროვე ერებს შორის? რა გავლენას ახდენს ის მათზე? რა ფუნდამენტური წვლილი შეაქვს კომპანიას და რაში მდგომარეობს კომპანიის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე? ამ აქტუალური საკითხების შესწავლას, რაც ბიზნეს სექტორის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შეეხებოდა, რატენაუ პირველად მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინტერესდა. ამავე დროს გერმანიაში იუჯინ შმალენბახი (1873-1955) გახდა ახალი დისციპლინის პირველი დამაარსებელი. ამ დისციპლინას ერტრიბესწირსენსცპაფტ (საწარმოს ეკონომიკა) ეწოდა. ამერიკაში, წარმოშობით გერმანელმა პიუგო მიუსტერბერგმა (1863-1916) პირველმა სცადა, რომ თანამედროვე ორგანიზაციებისა და მენეჯმენტისათვის გამოეყენებინა საზოგადოებრივი და

ე.წ. ბიპეივორული მეცნიერებები, განსაკუთრებით ფსიქოლოგია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მენეჯმენტის პირველი ბუმი. პირველი ნაპერწკლები გააღვივებს იმ დროის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა: ამერიკელმა ჰერბერტ ჰუვერმა (1874-1964) და ჩეხმა თომას მაზარიკმა (1850-1937). ჰუვერმა, ინჟინერმა პროფესიით, საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როდესაც გამოიყენა მენეჯმენტის პრინციპები რიგით პირველი და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი შიმშილობის საწინააღმდეგო უცხოური დახმარების ოპერაციის ჩატარების დროს. ამ ოპერაციის ფარგლებში დახმარება ასობით ათას მოშიმშილეს გაეწია. პირველი იყო ოპერაცია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში ამერიკის ჩაბმადე განხორციელდა, დახმარება გაეწია ბელგიას, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ ანალოგიური ოპერაცია აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარდა. მაზარიკი განათლებით ისტორიკოსი იყო. ის გახდა ახლად შექმნილი ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. მან წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ მენეჯმენტი დაეხმარება ევროპის ქვეყნებს ეკონომიკის აღორძინებაში და ომის დამანგრეველი შედეგების გამოსწორებაში. ოცდახუტი წლით გვიან ეს იდეა გაცოცხლდა მარშალის ცნობილ გეგმაში, რომლის განხორციელებაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორმა პროცენტამ დააფუძნა საერთაშორისო მოძრაობა მენეჯმენტის მხარდასაჭერად და ჩაატარა პირველი მცდელობა მენეჯმენტის, როგორც საზოგადოების უმთავრესი ძალის მობილიზაციისათვის. სამწუხაროდ, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდი სულაც ვერ დაეხმარა ამ იდეის განხორციელებას. ეს იყო სტაგნაციის პირველი პერიოდი. ყველაზე მაღალი მიზნები ეკონომიკაში, რაც შეიძლება ჰქონოდათ ქვეყნების მთავრობებს, ამერიკის გამოკლებით, იყო ომამდელი დონის აღდგენა. ამან მალე მიიყვანა ისინი მდგომარეობამდე, როდესაც სულ უფრო მზარდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა ახდენდა საკუთარი ნების პარალიზებას და ართმევდა შორსმჭვრეტელობის უნარს.

მენეჯმენტის პირველი ბუმი საპნის ბუშტივით გასკდა. დიდი იმედები იმედგაცრუებით შეიცვალა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად მოჩვენებითი სტაგნაციისა ამ სფეროში, პროცესი გრძელდებოდა. სახელდობრ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მენეჯმენტის ახალ ძლიერ ბუმს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

1920-იანი წლების დასაწყისში პიერ დიუპონმა

(1870-1954) Du Pont Company-დან და მისი მიყოლებით აღფრედ სლოუნმა (1875-1966) ჯენერალ მოტორსიდან (General Motors) პირველებმა შეიმუშავეს ახალი დიდი ბიზნესის ორგანიზაციული პრინციპი-დეცენტრალიზაციის პრინციპი. ამ დიდმა პიროვნებებმა პირველებმა შემოგვთავაზეს ბიზნეს მიზნების მიმართ სისტემური მიდგომები, ბიზნეს-სტრატეგია და ბიზნეს-დაგეგმარება.

აშშ-ში კომპანიამ შეარს, ლოებუცკ, რომელსაც დასაწყისში ჯულიუს როზეივალდი (1862-1932), ხოლო შემდეგ რობერტ ეუდი (1879-1969) ხელმძღვანელობდნენ პირველმა შექმნა ბიზნეს საწარმო, რომელიც მარკეტინგის საფუძველზე ფუნქციონირებდა. ამის შემდეგ მოკლე დროში ევროპაში დამარსებლებმა ანგლო-ჰოლანდიური ალიანსისა, რომელიც მალე გარდაიქმნა Unilever Companies-ად, შექმნეს ის, რაც დღემდე ითვლება მულტინაციო ნაღური კორპორაციის ყველაზე მაღალგანვითარებულ სტრუქტურად. ამის შემდეგ მათ დაიწყეს მრავალფეროვნული მარკეტინგისა და მრავალფეროვნული ბიზნესის დაგეგმარების საკითხების შესწავლა. მენეჯმენტი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, არ იღვა ერთ ადგილზე. ამერიკაში გამოჩნდნენ ტეილორის მიმდევრები: ფრენკი (1868-1924) და ლილიან პილბერტები (1878-1972), ჰენრი ჰანტი(1861-1919). დიდ ბრიტანეთში იან ჰამილტონმა (1853-1947), გაანალიზა რა მეორე მსოფლიო ომში მეთაურის პოსტზე ყოფნის თავისი გამოცდილება, გაათვითცნობიერა, რომ არსებობს საჭიროება ბალანსირებული ფორმალური სტრუქტურისა ქცევითი მოდელებით, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ჩავუდგათ სული ორგანიზაციას. ხოლო ორმა ამერიკელმა, მერი პარკერ ფოლემმა(1868-1933) და ჩესტერ ბარნარდმა(1886-1961), პირველებმა დაიწყეს ისეთი

უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლა, როგორცაა გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობები, შემსრულებელი მენეჯერის როლი და ფუნქციები. მკვლევარება ჰარვარდის უნივერსიტეტიდან, ბრიტანელმა სირილ ბერტმა (1883-1972) და ავსტრალიელი ელტონ მეიომ (1880-1949), დაიწყეს მუშაობა საწარმოო ფსიქოლოგიის სფეროში და შეასრულეს კვლევები ადამიანური ურთიერთობის სფეროში, ხოლო შემდეგ კვლევის შედეგები გამოიყენეს უშუალოდ საწარმოში და მენეჯმენტში.

მენეჯმენტის, როგორც დისციპლინის სწავლება დაიწყო ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. 1930-იან წლებში ჰარვარდის ბიზნესის სკოლამ პირველმა შესთავაზა ასეთი კურსი თავის სტუდენტებს. ეს კურსი ძირითადად წარმოების მართვას ეხებოდა. დაახლოებით ამავე დროს მასაჩუსეტის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა მენეჯმენტის შესწავლის პროგრამა იმ ახალგაზრდა მენეჯერებისათვის, რომლებიც კარიერული ზრდის საშუალო სტადიაზე იმყოფებოდნენ.

ამერიკელი ჯეიმს მაკკინსი (1889-1937) და ინგლისელი ლინდელ ფ. ურვიკი (1891-1983) გახდნენ მენეჯმენტის შესახებ კონსალტინგის დამარსებლები. ამიერიდან კონსალტინგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნოლოგიური პრობლემებით, არამედ ის ორიენტირებული იყო მენეჯმენტის ისეთ ძირითად პრობლემებზე, როგორცაა მართვის ბიზნეს-პოლიტიკა და ორგანიზაცია. ურვიკმა, არსებითად, მოახდინა მენეჯმენტის სტრუქტურისა და მენეჯერის ფუნქციის შესწავლის სფეროში მანამდე შესრულებული სამუშაოს კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. The Functions of the Executive by Chester I. Barnard 1968
2. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors by Michael E. Porter 1980
3. The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Change by Stephen R. Covey 2010
4. Effective Management Decision Making by Ian Pownall 2011
5. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28804,2086680_2086683_2087656,00.html
6. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html
7. www.forbes.com/management
8. online.wsj.com/public/page/management.html

Evgeni Baratashvili
Doctor of economic science,
full professor of GTU
Manana Maridashvili
Senior Teacher of GTU

In the 20th century, our society became a society of organizations. Organizations rely on managers, managers create organizations, conduct and use them to achieve its goals. As soon as the organization begins to grow in size it immediately posed the need for managers who will be professionals . Management is a scientific discipline that is supported by objective goals of the organization and its employees. Any organization needs managers, who perform the tasks of management. They will be occupied with planning, job systematization and integrating, evaluating, and developing people. The organization needs managers who will be responsible for the consequences of their contribution. Particular responsibilities and contribution to the position, and not title or power over other people make the manager.



ბიბლიური შემონახვანი და ქართული რეალობა
მიწათმფლობელობისა და მიწათსარბეებლობის სფეროში

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიორბი ზიზიბაძე,

ეკონომიკის დოქტორი, სტუ მოწვეული პროფესორი

„მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამადლდეს ზნეობა, აყვავდეს ჩვენი მეურნეობა“.

ილია მქორე

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ნაშრომში განხილულია ბიბლიაში გადმოცემული ხედვები მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით და ამ რაკურსში მოცემულია საქართველოში არსებული მდგომარეობა. საქართველოს ყველა მოქალაქე უფლე ბა მოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა – მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას აწ და მარადის. ავტორის აზრით, მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირე ბა დი პროცესი. საქართველომ მიწათსარბეებლობის ახალი კანონი უნდა მიიღოს, რომელშიც ასახული იქნება ბიბლიის სიბრძნე და თანამედროვეობასთან მორგებულ ის რეგულაციე ბი (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.

სოფლის მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირება ყოველთვის იყო კაცობრიობის ფიზიკური და მატერიალური არსებობის საფუძველი. ამის დასტურია წმინდა წერილში აღწერილი საქმიანობები და პროფესიები: მიწათმოქმედი, „მიწის მუშაკი“ (კაენი, ელისე), მეცხვარე, მეჯოგე (აბელი, იაბალი, იაკობი, ლაბანი, იოსები, იუდა, ბენიამენი, სვიმეონი, ამოსი, მოსე), მონადირე (ესაევი), მევენახე (ნოე), მებაღური (იაკობი, იოანე, ანდრია, სიმონ-პეტრე და სხვა მოციქულნი)

სასოფლო-სამეურნეო (ეკონომიკის ნებისმიერი დარგის) წარმოება შეუძლებელია მიწის და ბუნებრივი რესურსების (ხე-ტყე, წყალი, ჰაერი, სახნავ-სათესი სავარგულები, მადნები, წიაღისეული, და სხვ.) გარეშე: „უფლისად არს ქუეყანად და სავსებად მისი, სოფელი და ყოველნი დამკვდრებულნი მას შინა. რამეთუ მან თავადმან ზღუათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განჰმზადა იგი“ (ფსალმ. 23:1-2).

ეკონომიკის უმთავრესი პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა. თავდაპირველად, რესურსების შეზღუდულობის პრობლემა უფლის მცნების დარღვევას უკავშირდება: ადამს და ევას არაფერი აკლდა, სანამ ღვთის მცნება არ დაარღვიეს, რის

შედგადაც როგორც თვითონ, ისე მათი შთამომავალნიც ხრწნილე ბა სა და სიკვდილს დაექვემდებარნენ, რესურსები კი იქცა შეზღუდულად (იშვიათად). სარჩო-საბადებლის გარდაუვალად ოფლითა და შრომით მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწად-ცა მიიქცე“ (დაბ. 3:19).

ამდენად, შრომის და სამეწარმეო საქმიანობის უფლება, აუცილებლობა და თუნდაც სტიმული, ფიზიკურად გადარჩენილიყო, დაფიქრებულიყო, დაცემული წამომდგარიყო, ადამიანმა ღმერთის დაწვევლის შემდეგ მოიპოვა. რესურსების შეზღუდულობა საფუძველია სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღდგომისა. წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი.

ზოგადად მიწას, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ (ბაზას) ერთ-ერთ ძირითად რესურსს, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ერისთვის. მიწა არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და



პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის გამრავლებისა და სიცოცხლის აუცილებელ პირობას.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მიწის (განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) მიმართ წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფონზე ზედმეტი არ იქნება თუ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმ უდავო ჭეშმარიტებას რაც გადმოცემულია ბიბლიაში მიწის საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის და მიწის ფასის შესახებ.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ძველი ისე ახალი აღთქმის ავტორები მიწის საკითხს განიხილავდნენ არა გარკვეული პერიოდულობით, არამედ პერმანენტულად ბიბლიის მთელი ისტორიის მანძილზე. კერძოდ ბიბლიაში დეტალურადაა გადმოცემული (აღწერილი) არა მარტო გარიგებები უძრავ ქონებაზე და მიწის ყიდვა გაყიდვაზე, არამედ მიწის კერძო საკუთრების თაობაზეც. ამასთან როგორც წესი ყველგან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ადამიანებისათვის გადაცემული მიწის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლების უმაღლესი მესაკუთრეა უფალი. დავით მეფესალმუნის ენით რომ ვთქვათ „ღმერთმა დალოცა ისინი და უთხრა მათ განაყოფიერდით და გამრავლდით, დასახლდით, იბატონეთ და დაუფლეთ მას“.

თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას რომ ადამიანის უფლება ზოგადად საკუთრებაზე თავიდანვე ატარებდა შეფარდებით და შეზღუდულ ხასიათს. შეზღუდვები ეხებოდა მიწის საკუთრებასაც, რამდენადაც ყველაფრის უმაღლესი მესაკუთრე, როგორც უკვე ითქვა არის უფალი.

არსებული კანონები კრძალავდა მიწის სრულ გასხვისებას და ამა დროულად უტო ვებდა უფლებას მის დროებით გამსხვისებულს გამოესყიდა ის.

მიწა არ უნდა გაიყიდოს სამუდამოდ რადგან ის ჩემია, ბრძანებს უფალი. მიწის გამო სყიდვა თუ არ შეეძლო მის უშუალო გამყიდველს მაშინ მისი გამოსყიდვა შეეძლო მის ახლო ნათესავს. “თუ შენი ძმა გადარბობდა და გაყიდის თავის საკუთარ მიწას მაშინ მოვიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოსყიდოს ის“.

ბიბლიის მიხედვით ამავე მიზანს ემსახურებოდა მიწის არენდაც, რომლის გადასახადი შედარებით მცირე ზომისა იყო (მასზე მოდიოდა მიწიდან მიღებული შემოსავლის მცირედი ნაწილი) და არენდის პერიოდი 50 წელს შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ მიწის შეფასება თანამე-

დროვე გაგებით ხდებოდა და ის ძირითადად ეფუძნებოდა ფასწარმოქმნის კანონზომიერებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მიწის ფასი განისაზღვრებოდა მიწიდან პოტენციურად მისაღები შემოსავლის გათვალისწინებით. კერძოდ ის დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე და მასში დაბანდებულ კაპიტალზე. უფრო მეტიც, ის (როგორც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში) დამოკიდებული იყო მიწაზე მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ანუ ცალკეულ შემთხვევებში როცა საბაზრო კონიუნქტურა არახელსაყრელი იყო, მიწის ფასი დაეცემოდა ძალიან დაბალ ნიშნულზე.

ამდენად, შეიძლება ითქვას რომ არც ძველი და არც ახალი აღთქმა არ უარყოფდა მიწაზე კერძო საკუთრებას თუმცა აღიარებდა მის შეზღუდულ და შეფარდებით ხასიათს, რამდენადაც უმაღლესი მფლობელი და მესაკუთრე არის უფალი რომელმაც შექმნა სამყარო.

ამ მცირე შესავლის შემდეგ შეიძლება თამამად ითქვას რომ ადამიანი რჩება რა „მოაზროვნე ადამიანად“ (ჰომო საპიენს) დღესაც ასრულებს უფლის კურთხევას, ანუ ნაყოფიერდება და მრავლდება როგორც ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე. ამასთან „არსობის პურის“ მოპოვების სირთულეებიდან გამომდინარე ექსპანსია ანუ გაფართოება სასიცოცხლო სივრცისა, დღეს ყველა ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ბუნებრივი და მთავარი თვისება გახდა.

როგორც ცნობილია ზოგადად „კეთილდღეობა“ წარმოების და მოხმარების სინთეზია, თანაც ისეთი როცა არცერთ მათგანს არ შეუძლია უერთმანეთოთ არსებობა. ანუ ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა როგორც მტკიცება იმისა რომ არ არსებობს მთელი ნაწილების გარეშე და ნაწილები მთელის გარეშე.

ადამიანები რომ გამრავლდნენ ანუ შეასრულონ უფლის კურთხევა, საჭიროა შესაბამისი სასიცოცხლო სივრცე რომელიც ბევრ ჭარბმოსახლეობით ცნობილ ქვეყანას დღეს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე მათთვის საჭიროა ექსპანსია, მოპოვება აუცილებელი სასიცოცხლო სივრცისა, რომლის მაგალითები მსოფლიოში მრავლად მოიპოვება.

დღეს ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანა სადაც აკრძალული იყოს უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება. ის პრაქტიკულად ყველგან ნებადართულია, მაგრამ მიწა რომ უცხოელმა შეიძინოს მრავალი ისეთი პირობა უნდა დააკმაყოფილოს, რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ და არა მიწის

შეძენის ნებისმიერი მსურველი.

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შეიქმნა მეტად საგანგაშო მდგომარეობა, რაც გამოიხატა ერის სასიცოცხლო ბაზის – სასოფლო-სამეურნეო მიწის – ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უკონტროლო მიყიდვაში. ამ მიზნით გამოიყენებოდა როგორც პირდაპირი მიყიდვის წესი (პრეზიდენტის მიერ), ასევე ინტერნეტ აუქციონები და სხვა საშუალებები.

სამწუხაროდ ქვეყანას 2004 წლიდან არ გააჩნია მიწის ბალანსი და ამის გამო მარტივი არაა დადგინდეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწის რა ნაწილია დღეს უცხოელთა ხელში და რა ფასად გადაეცათ მათ, თუმცა მისი დადგენა მაინც შეიძლება საჯარო რეესტრის მეშვეობით სადაც მიწასთან დაკავშირებით მიწის ჩუქების და გასხვისების ფაქტებია მხოლოდ აღრიცხული.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისებისა და ქართველი გლეხობის სოფლიდან აყრის პროცესი წლების განმავლობაში უნიათოდ ინიღბებოდა ფსევდო-ლიბერალური იდეოლოგიით, თითქოს შემოსულნი, როგორც ზოგადად მაღალი შრომითი კულტურის და, კონკრეტულად, ფერმერული მეურნეობის გამოცდილების მქონე ნი, საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძლიერება და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტი იყო ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობდა ქვეყნიდან საკუთარი მოსახლეობის განდევნაში (ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით) და ახალი, უცხო ტომის მოსახლეობის შემოყვანაში.

ქართული სახელმწიფო სოფელთან და მიწასთან იდენტიფიცირდება და ამდენად, ამ იდენტობის მანვენებლის წაშლა შესაძლოა თვით სახელმწიფოს ყოფნა არ ყოფნას ტოლ ფასი გახდეს.

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე

საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავისრჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

მართალია დღეს ბაზრის ლიბერალიზაცია (მათ შორის მიწის) განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია, მაგრამ ის უნდა გაკეთდეს არა უკონტროლოდ, საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე, არამედ იმ გამოცდილების გათვალისწინებით რომელიც ამ მხრივ არსებობს თანამედროვე მსოფლიოში.

ამიტომაც დღეს მეტად მაღალფასეული ბიბლიაში გადმოცემული ჭეშმარიტი სიბრძნე მიწის საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის, მიწის, როგორც აუცილებელი სასიცოცხლო ბაზის არა საყოველთაო და სამუდამო გასხვისების, არამედ ერის ინტერესებში დატოვების შესაჩვენებელი უფლის ნების შესასრულებლად პირველ რიგში საჭიროა გაიზარდოს ხელისუფლების ზრუნვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიღარიბის ჯადოსნური წრიდან გამოყვანისთვის, რადგან სწორედ სიღარიბე აიძულებს დღეს მიწის ბევრ მესაკუთრეს გაყიდოს მიწა უცხოელზე და ამით გამოიყვანოს თავისი ოჯახი გაჭირვებიდან. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკუთარი მიწის გასხვისება არ არის ერთადერთი საშუალება სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში. სიღარიბის დაძლევისთვის აუცილებელია: სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (სოფლის სტატუსი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა), მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ზოვეტმომსახურეობის ხელმისაწვდომი სისტემის შექმნა, იაფი კრედიტის პროგრამის შემუშავება და დანერგვა – სპეციალიზებული კოოპერაციული, ურთიერთდახმარების აგროკრედიტის სისტემის შექმნა, კოოპერაციის პროცესის ხელშეწყობა – მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერ თიანებების ჩამოყალიბება და მათი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებთან ვერტიკალურ ინტეგრაცია (წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც წესი, მხოლოდ აგრარული დანიშნულებით გამოყენებისა და გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის პრაქტიკის აღდგენა (საქართველოს მთავრობასთან უნდა შეიქმნას მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს სასოფლო-სამეურნეო

მიწის შეს ყიდვისა და მიწის კატეგორიის შეცვლის მსურველთა ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს უცხოელთა მიმართ. საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს სოფლის მეურნის შესახებ (მიწათმოქმედის სტატუსი) დებულება (ამ სტატუსის მქონე პირთა შორის მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია), ხელი შეუწყოს ფერმერთა სწავლება-კონსულტირებას, პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიებას, მარკეტინგის გაუმჯობესებას, მართვის დეცენტრალიზაციას და სხვ. ყველა ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში საქართველოს ახალი მთავრობის მიერ იღებება პრაქტიკული ნაბიჯები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ არც მიწის უშუალო მესაკუთრე და მით უფრო, მთავრობა არ გაიმეორებს უკანასკნელი წლებში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს. დასკვნის მაგიერ. მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული)

რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის მატებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას თან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარ-გულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი.

საქართველომ მიწათსარგებლობის ახალი კანონი უნდა მიიღოს, რომელშიც ასახული იქნება ბიბლიური შეგონებანი და თანამედროვეობასთან მორგებული ის რეგულაციები (შეზღუდვები), რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.

Bible Suggestions and Georgian Reality
to the Land Ownership

Paata Koguashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Georgi Zibzibadze
Doctor of Economics

The article examines the views set out in the Bible regarding to the land ownership and is described the existing reality in Georgia in this context. Every Georgian citizen, despite the sex, race, nationality, affiliation, skin color, place of birth and etc. is entitled to consider the natural resources of Georgia and the rural land on the first place, at a guaranteed base of feeding for his/her descendants, from now on and till forever.

According to the author, for an indefinite amount of selling land to foreigners and public interest is incompatible with the country's vital tasks. Agricultural land alienation should always be state-controlled trial. It is necessary to make a number of changes in the Georgian law "About the Agricultural Land" reflecting the wisdom of Bible and limitations, which are adjusted to the modern terms and cover the alienation of the agricultural land to the foreigners.

სხალი მკონგისი THE NEW ECONOMIST



თამარ ბამსახშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის სკოლის სრული პროფესორი,

მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების პროგნოზის განსაზღვრისას ძალზე მნიშვნელოვანია ენერჯის მომხმარებელთა გეოპოლიტიკური განაწილება. დედამიწის რეგიონების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ენერჯის მოთხოვნის განმსაზღვრელი ორი დახასიათება: თითოეულ სულ მოსახლეზე მოხმარებული კუთრი ენერგომოთხოვნილება, რომელიც იძლევა წარმოდგენას ერთდროულად ეკონომიკური განვითარების ხარისხზე და მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა (წლიური ბუნებრივი მატება AGR) – ინტეგრალური დემოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც გარკვეულწილად ასახავს ერის სოციალურ კეთილდღეობას.

AGR (Annual Growth Rate) თავისთავად წარმოადგენს სხვაობას შობა-გარდაცვალებას შორის (გაუთვალისწინებლად მიგრაციისა, რომელმაც მრავალი ქვეყნის, ისეთების, როგორცაა აშშ, ავსტრია, ისრაელი რეალური სურათი დამახინჯებულად წარმოადგინა). ცხადია, რომ ყველა ქვეყანა შეიძლება იყოს კლასიფიცირებული რამდენიმე ჯგუფად.

რეგიონი 1. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან ენერჯის მოხმარების ოპტიმალური დონით ($e=2-14T_y.T/ადა-$ მიანი წელი) და დაბალი GR-Ti (1,0% ნაკლები). საერთაშორისო საშუალოზე (1,97% წელიწადში).

1990-1995 წწ. მის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ისრაელი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნორვეგია, სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, აშშ, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხეთი, შვეიცარია, შვეცია, ესტონეთი და იაპონია.

რეგიონი 2. გარდამავალი ჯგუფი ქვეყნებისა, რომლებშიც დემოგრაფიული სტაბილიზაცია პრაქტიკულად მიღწეულია (AGR საშუალო საერთაშორისოზე მნიშვნელოვნად დაბალია), მაგრამ ენერჯით გაჯერება ჯერ არ დამდგარა, მის შემადგენლობაში შედიან: არგენტინა, ბელორუსია, ბულგარეთი, ბოსნია, უნგრეთი, გონკონგი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მავრიკია, მაკედონია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა, ურუგვაი, ხორვატია, იუგოსლავია.

რეგიონი 3. ახალი განვითარებული ქვეყნები (საშუალო შემოსავლებიანი ქვეყნები), ხასიათდებიან, როგორც ენერჯიაზე ოპტიმალურზე დაბალი მოხმარებით [$1,35T_y.T/ადამიანი * წელი$] და საშუალოთი – წელიწადში 1,0%-ზე მაღლა. ეს ჯგუფი შეიძლება განხილულ იქნას როგორც განსაკუთრებული გარდამავალი კატეგორია, რომელშიაც ენერჯით გაჯერება მოხდა დემოგრაფიულ სტაბილურობამდე და საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა I რეგიონში. მის შემადგენლობაში შედიან: ბახრეინი, ბრუნეი, ვენესუელა, კატარი, ქუვეიტი, ლიბია, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ომანი, საუდის არაბეთი, ტერმინალი.

რეგიონი 4. განვითარებადი ქვეყნები (მსოფლიო ბანკის ტერმინოლოგიის მიხედვით ქვეყნები დაბალი შემოსავლებით).

ენერგომომხმარების განსაზღვრავად მომავალში გამოიყენება გენეტიკური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებას, რომ განვითარების ისტორია განსაზღვრავს აწმყოს და მომავალს მრავალი წლის წინ. ეს დებულება კარგადაა ცნობილი და ფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში და სოციალური განვითარების ფუნდამენტალური დეტერმინანტის შესწავლისას, რომელსაც ეჭვგარეშეა წარმოადგენს ელექტროენერგეტიკა, შეიძლება გამოიღოს სასარგებლო შედეგი. გენეტიკური სცენარის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ენერგომომხმარების დროითი რიგები. ბუნებრივია, რომ მიღებული შე-

დეგების ხარისხი დამოკიდებულია ამ რიგების ხანგრძლივობაზე. სამწუხაროდ, საყრდენი დროის მონაკვეთი შეზღუდულია უკანასკნელი ოთხი ათწლეულით, ვინაიდან მეტწილად უკეთ დოკუმენტირებული მონაცემები უფრო ადრეული პერიოდისაა (1929-1949). ერთხვევა დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდს და ისტორიული განვითარების ახლანდელი სტადიისათვის არ არის დამახასიათებელი. – პირველადი ენერჯის უცნობი მოხმარება, ტ დროის მომენტში თავისთავად დედამიწის სუთივე რეგიონისათვის ჯამს წარმოადგენს და შემდეგნაირად გამოისახება

$$E(t) = \sum_{i=1}^5 e_i(t)P_{4i}(t)$$

ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ენერჯის სტაბილიზაციის შესახებ პოსტულატის მიღებისას, ე.ი. ყოველი ქვეყნისათვის, რეგიონისა და საერთოდ მსოფლიოს მიერ დადგენილი მოხმარების ზღვრული დონის რეალიზაციისას. მოხმარების ის დონე, რომელიც განსაზღვრულია, სოციალური, ეკოლოგიური შეზღუდვებით. გამოვიყენებთ ენერგომოხმარების პროგნოზის აგების ზღვრულ მეთოდს. ასეთი ტიპის პროგნოზის ტრაექტორია უსაუკეთესი სახით აღიწერება ლოგისტიკური ფუნქციით, რომელსაც გააჩნია საწყისი ექსპონენციული ზრდის მონაკვეთი და ასიმპტოტუ.

პროგნოზი შემუშავდებოდა ცალ-ცალკე ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული კომერციულ l_c და არაკომერციულ l_{nc} ენერგორესურსებზე. ყოველი რეგიონისათვის კომერციული ენერგომოთხოვნების სტაბილიზაციის დონე l_c განისაზღვრება ექსპერტთა შეფასების გზით ეროვნული ენერგეტიკული პროგნოზების მოზიდვით და სხვადასხვა ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარების მსგავსი კონცეფციის ფართოდ გამოყენებით.

არაკომერციული ენერჯის ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება – რეგიონებ – ყოველი ცალკეულისათვის პრაქტიკულად მუდმივია მთელი საბაზო პერიოდის მანძილზე, ამიტომ პროგნოზად l_{nc} მიიღებოდა შესაბამისი მუდმივი.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, გამონაკლისის გარეშე, არის ენერჯის სულადობის მიხედვით მოხმარების სტაბილიზაციის ტენდენცია. აღვნიშნავთ, რომ სტაბილიზაციის დონე და მისი მიღწევის ვადები ყოველ ქვეყანაში არსებითად განსხვავებულია. სტაბილიზაციის ვადებში განსხვავება მსოფლიოს სუთი

რეგიონისათვის განაპირობებს ენერჯის მსოფლიო მოხმარების არათანაბარი ზრდის ხასიათს. უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში მსოფლიო ენერგობალანსში დომინირებელ როლს ითამაშებენ I და მე-2 რეგიონების შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები (57% 2010 წ.), რომლებისთვისაც ელექტრომთხოვნების გაჯერება ან რეალობა (1-ლი რეგიონი), ან უახლოესი მომავლის საქმე იქნება (მე-2 რეგიონი). შედეგადაც 2010 წლამდე პერიოდში მოსალოდნელია შენარჩუნდეს ენერჯის მსოფლიო მოთხოვნის ზრდის დღევანდელი ტემპი – დაახლოებით 1,0% წელიწადში და დროებითი სტაბილიზაცია მსოფლიო სულადობრივი მოხმარება 2,31-2,36 ტ.ტ/(ადამ. წელი) დონეზე ნამატის ერთგვარი ზრდა მოხდება ძირითადად ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ხარჯზე (რეგიონი 3).

2005-2030 წწ. პერიოდში მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ენერგეტიკა უფრო ინტენსიურად განვითარდება მე-5 რეგიონის გავლენის მკვეთრი ზრდის ხარჯზე.

ცხოვრების დონის წინ წაწევა და უკვე დღეს გამოკვეთილი ტენდენციას ენერგოტევადი წარმოებების ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გადატანისა თან მოჰყვება უმნიშვნელო ზრდა სულადობრივი ენერგომოხმარებისა 2010-2040 წწ., რაც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის მაღალი ტემპების პირობებში (2040 წელს მსოფლიო 75%) მე-4 რეგიონს წამყვან პოზიციებზე გაიყვანს მსოფლიო ენერგეტიკაში (26,28 და 37% ენერჯის საერთო მოხმარება 1994, 2010 და 2050 წწ. შესაბამისად).

2040 წლის შემდეგ პროგნოზი ვარაუდობს, მიღწეული იქნება ენერჯით გაჯერების საშუალო მსოფლიო დონე, 2,4 ტ.ტ/(ადამ. წელი) რაც შეესაბამება მოხმარების თანამედროვე დონეს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა და პორტუგალია, და შემდგომი მისი შემცირება 2,3 ტ.ტ/(ადამ. წელი) 2100 წლამდე.

პროგნოზი მსოფლიო ენერგეტიკის სტრუქტურისა 2100 წლამდე, რომელიც უზრუნველყოფს ენერჯის მოთხოვნების გამოთვლებს და უზრუნველყოფილი ორგანული სათბობის წიაღისეული რესურსებით, დამუშავებულია ექსპერტული შეფასებების დახმარებით.

განსახილველი პროგნოზის ძირითადი თავისებურება – ნახშირის პრიორიტეტული როლია მსოფლიო ენერგობალანსში (36% - 2050 წ. შედარებით 22% 1994 წელს და ისევ დაწევა 30%-მდე 2100 წლამდე). თხევადი საწვავის წილი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მონოტონურად დაბლა იწევს 36%-დან 1994 წ. 10%-მდე და 8%-მდე 2100 წლისათვის.

მაგრამ აბსოლუტურ გამოთვლებში ნავარაუდევია თხევადი სათბობის მოხმარების სტაბილიზაცია პრაქტიკულად თანამედროვე დონეზე (4,2 Ty.T/წელი) და მისი დაბლა დაწვეა მხოლოდ 2020 წლის შემდეგ. აირის მოხმარება, როგორც მოსალოდნელია, გაიზრდება 2020 წლამდე და როდესაც თითქმის მიაღწევს თხევად სათბობზე მოთხოვნის დონეს (3,6 Ty.T/წელი), დაიწევს 0,5 თ.თ/წელ-მდე 2100 წლისათვის. პირველადი ელექტრობა უკვე 2020 წლის შემდეგ თავისი მნიშვნელობით უნდა მეორე გახდეს ენერგორესურსების სახეობათა შორის, 2100 წლისათვის ენერჯის მსოფლიო მოთხოვნის 64%-ს რომ მიაღწევს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორთაგან, პროგნოზის დამუშავებისას გამოყენებული, არის მსოფლიო ენერგეტიკის რესურსებით უზრუნველყოფა, რომელიც ვერდნობა წიაღისეული ორგანული სათბობის წვას.

განსახილველი პროგნოზის ჩარჩოებში, რომელიც უთუოდ განეუთვნება ენერჯის მოხმარების აბსოლუტური ციფრების მიხედვით ზომიერ კატეგორიას, ნავთობისა და აირის გაჯერებული ამოღებული მარაგების ამოწურვის დრო დადგება არა უადრეს 2040 წლისა, დამატებით ამოსადები რესურსებისა – 2100 წლის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაჯერებული წიაღიდან ამოღებული ნახშირის მარაგები მნიშვნელოვნად აჭარბებს ერთად აღებული ნავთობისა და აირის მარაგს, მაშინ შეიძლება დავადასტუროთ, რომ მსოფლიო ენერგეტიკის განვითარება მოცემული სცენარის მიხედვით რესურსების მხრივ უზრუნველყოფილია ას წელზე მეტი ხნით.

უკუკავშირები სისტემაში “ენერგეტიკა-კლიმატი”. ენერგეტიკის განვითარებისაგან გამოწვეული პოტენციური ეკოლოგიური ზარალისა და ანტროპოგენული საქმიანობის საერთო შეფასება სრული არ იქნება, თუ არ შევეცდებით გამოვაგლინოთ და შეძლებისდაგვარად უფრო სრულად არ გავითვალისწინებთ უარყოფითი უკუკავშირების სისტემაში “ადამიანი – გარე სამყარო” და უპირველესად “ადამიანი – კლიმატი”. ამ კავშირთაგან ერთ-ერთი არის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ბორეალური და ზომიერი ტყეების ბიოპროდუქცია, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნას ტემპერატურისა და ტენიანობის ზრდით და ატმოსფეროში წყალბადის დიოქსიდის მაღალი კონცენტრაციის მასტიმულირებელი ზემოქმედებით, ასევე საზღვრების გაფართოებით მათი ჩრდილოეთით თანამედროვე ტუნდრა-ტყის ზო-

ნაში გადასანაცვლებლად. ამ უკუკავშირის გათვალისწინება წარმოებს ნახშირბადის ციკლის დახმარებით.

მეორე უკუკავშირი სისტემაში “ადამიანი-კლიმატი” განპირობებულია ენერჯის მოხმარების დონის დამოკიდებულებაში კლიმატური პირობებთან, პირველ რიგში გარემომცველი ჰაერის ტემპერატურადან. ამ უკუკავშირის აღრიცხვა იძლევა შესაძლებლობას უშუალოდ შეფასდეს ენერჯის გაფრთხილების გლობალური დათბობის განვითარების პროცესის შედეგად და ენერჯის მოხმარების არაიზოთერმულ (საბაზო) პროგნოზის ვარიანტზე გადასვლა. დამუშავებული მეთოდისა, გარდა იმისა, რომ აფასებს ენერჯის უშუალო შემცირებას გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, მხედველობაში იღებს ლოკალური დათბობის ეფექტს (თბური კუნძულისა) რაც დამახასიათებელია მსხვილი ქალაქური აგლომერაციის რაიონებისათვის და ერთად თავმოყრილი ინდუსტრიული ობიექტების რეგიონებისათვის.

ენერჯის ეკონომია გლობალური დათბობის განვითარების შედეგად. შეფასება წარმოებს ერთ სულ მოსახლეზე ენერჯის მოხმარების დამოკიდებულებაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურისადმი და მიღებულია ეკონომიკურად ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, იმ ქვეყნების, რომ შედიან უკვე შევიდნენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტადიაში.

$$\ell = 9,3 - 0,4T_a \quad T_a < 17 \quad ^\circ C$$

$$2,5 \quad T_a < 17 \quad ^\circ C$$

სადაც ℓ – ენერჯის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, თ.თ. (აღამ. წელი); თა – ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა.

აღნიშნული საშუალებას იძლევა გააკეთდეს დასკვნა, რომ ყველა, გამონაკლისის გარეშე, განვითარებული ქვეყანა, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (ყოფილი სოციალისტური), რომლებიც ენერგორესურსების თითქმის 70% მოიხმარდნენ, განლაგებულნი არიან $T_a < 17.0C$ -იან ოლქებში. ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი გლობალური დათბობის განვითარების შემთხვევაში, რომელიც ყველაზე ნათლად იქნება გამოხატული ზომიერსა და მაღალ განედებზე, მოსალოდნელია ენერჯის მოხმარების არსებითი და ამასთან, ავტომატური შემცირება. სწორედ იმ რეგიონებში, სადაც ენერჯია დღეს განსაკუთრ-



ბით ინტენსიურად მოხმარება.

საბაზო პროგნოზის მიხედვით ჰაერის ტემპერატურის გლობალური ცვლილებას მოჰყვება ენერგომოთხოვნების შემცირება მსოფლიოში საერთო და 1990 წელთან შედარებით: 0,38 Tt. T 2020 წელს და 0,82 Tt. T 2050 წელს.

ენერჯის ეკონომია ურბანიზაციის შედეგად. თანამედროვე მსხვილი ქალაქები წარმოადგენენ მრავალდარგოვანი მრეწველობის თავმოყრის ადგილს, სატრანსპორტო საშუალებები, მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი მასივები. მათ სწრაფ განვითარებას თან სდევს სითბოს გამოყოფის ინტენსიურ ზრდა, ქიმიური და აიროვანი კომპონენტების გამონაბოლქვი. აქტიურად რომ ზემოქმედებენ მსხვილი ქალაქების მეტეოროლოგიურ რეჟიმზე.

ქალაქის ტერიტორიაზე ასფალტირებული ქუჩების და მოედნების პირობებში და ასევე ქალა-

ქის ატმოსფეროში აირად და აეროლოლოგიურ დაბინძურებას თან სდევს მზის რადიაციის ბალანსის შეცვლა.

ამრიგად, ჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობა იწვევს ქალაქის “სითბოს კუნძულის” შექმნას. თან დედამიწასთან ახლოს მყოფი ჰაერის ფენა რამდენიმე გრადუსით უფრო თბილია ქალაქის საზღვრებში, ვიდრე ქალაქგარე ზონაში. განათბობის მნიშვნელობა დამოკიდებულია დღე-ღამის დროზე, წელიწადის დროზე, ადგილმდებარეობაზე და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობაზე. რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით და არატროპიკულ ზონაში მსოფლიო საქალაქო აგლომერაციის ინტენსიური ზრდის პირობებში ჩნდება აუცილებლობა ენერჯის დაზოგვის აღრიცხვისა და საერთოდ მსოფლიოში ენერგორესურსების მოხმარების გაანგარიშებებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გამსახურდია, ს. ფეტელავა ენერჯო და ეკო სამართალი. გამომცემლობა “ლოი” თბ. 2010.
2. nited Nations Development Programme: World Energy Assessment: Overview—2004 Update, Jose Goldemberg and Thomas Johansson (eds.), New York, 2004.
3. United Nations Development Programme: World Energy Assessment: Energy and the Challenge of Sustainable Development, Jose Goldemberg (ed.), New York, 2000.
4. WEHAB Working Group: A Framework for Action on Energy, WSSD, August 2002
Renewable Energy Sources and Climate Change Mitigation: Summary for Policymakers and Technical Summary: Special Report of the Intergovernmental Panel on Climate Change. Cambridge University Press, 2011.
5. Resources for the twenty-first century: proceedings of the international centennial symposium of the United States Geological Survey, held at Reston, Virginia, October 14–19, 1979 . By Frank C. Whitmore, Mary Ellen Williams, U.S. Geological Survey.

World energy development forecast until 2100

Tamar Gamsakhurdia
Doctor of Economics, Full Professor,
Grigol Robakidze University

The world of energy is very important in determining the prognosis of the geopolitical distribution of power consumers. The classification across regions is based on the energy requirement for defining the characteristics of each capita consumption of specific energy requirement, which makes it possible to present the same economic development level and the quantitative changes in the dynamics (annual natural growth ANG) - Integral demographic indicators, which to some extent reflects the nation’s social welfare.



ემზარ ჯულაყიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკულად ყველა სპეციალისტი აღიარებს, რომ წარმატებული ბიზნესის მიღწევა შეუძლებელია ეფექტური მენეჯმენტის გარეშე. ამას ადასტურებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებაც, სადაც მცირე ფირმების თუ მსხვილი საწარმოო კორპორაციების გაკოტრების ძირითადი მიზეზი მეტ-ნაკლებად მაინც არაეფექტური მენეჯმენტი იყო. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე, გლობალური კონკურენციის პირობებში, მენეჯერთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს როგორც მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის მართვა, ასევე მისი სწორი ხედვა სამომავლო პოზიციების შესახებ. ანუ, ორგანიზაციათა განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მის პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფა, რაც მხოლოდ ეფექტური მენეჯმენტით მიიღწევა. საქმე იმაშია, რომ ცალკეული წარმატება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას. წარმატებულობა არის მოკლევადიანი, ეფექტურობა კი - უფრო ხანგრძლივი. ანუ, წარმატებული არის მენეჯერი, ვინც გარკვეულ მომენტში დაწინაურდა კონკურენტებთან შედარებით, ხოლო ეფექტური მენეჯმენტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სასურველი მიზნების მიღწევა.

მარტივად რომ ვთქვათ, ეფექტური მენეჯმენტი ეს არის ისეთი ორგანიზაციული მოქმედება, სამეურნეო ხელმძღვანელის ისეთი საქმიანობა, რომელიც ორგანიზაციის პერსონალს ერთ გუნდად შეკრავს სასურველი მიზნების შესასრულებლად. შესაბამისად, ოპტიმალური მიზნების ფორმირება ეფექტური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მიზანი, ეს არის მენეჯერის მცდელობა მიიღოს გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში. ამასთან აუცილებელია, მოხდეს მისი რაოდენობრივი გაზომვა. მიზნის გაზომვა ნიშნავს იმას, რომ მოსალოდნელი შედეგი, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ, კონკრეტული მაჩვენებლებში უნდა გამოიხატოს. ანუ, უნდა განისაზღვრავს ამ მიზნის ღირებულება. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტის შედეგები ფასდება სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზე ორიენტირებული იგი. ამიტომაც, მენეჯმენტის მეცნიერებაში მიზნის არჩევის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად დაადგა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის გზას და მაინც ორგანიზაციის პერსონალთა დიდ ნაწილს

მიაჩნია, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები იმის შემსრულებლები არიან, რასაც ზემოდან უბრძანებენ. მართლაც, მკაცრი დირექტიული მართვის პირობებში, რომელშიც 70 წელი ვცხოვრობდით, ზემოდან მოდიოდა დავალებები - თუ რა, როდის და ვისთვის უნდა გაგვეკეთებინა. ხელმძღვანელის როლი კი მხოლოდ ზემდგომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებაში გამოიხატებოდა. ანუ, როდესაც “ზემოდან” უგეგმავდნენ საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს და გამოუყოფდნენ სათანადო რესურსებს, კარგი „მენეჯერობისათვის“ საკმარისი იყო, რომ იგი ყოფილიყო კარგი შემსრულებელი. არადა, მენეჯმენტი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ირჩევს როგორც ორგანიზაციის მიზანს, ასევე მისი მიღწევის საშუალებებს.

ორგანიზაციის მიზნის სწორ ჩამოყალიბებას ბიზნესის სწორი ხედვის უნარი სჭირდება. არადა, ბიზნესის ხედვის უნარი - ეს ნიჭია და ბუნებრივია, ყველას არ გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაგეთანხმოთ ბატონ ნ. მარკოზაშვილს - „ახალი ხედვის უნარი ადამიანს ან აქვს, ან არა. ამ უნარის გარედან შემოტანა, ვთქვათ, სპეციალურად შედგენილი სასწავლო კურსის მეშვეობით, პრაქტიკულად შეუძლებელია. არსებობს გარკვეული ანალოგია ახალ ხედ-



ვასა და ლიდერის თვისებებს შორის. ადამიანს ან აქვს ლიდერის თვისებები, ან - არა. ძნელია ასწავლო ლიდერობა იმას, ვინც ლიდერად არ დაბადებულია“ [1, გვ. 41]. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას სჭირდება ისეთი მენეჯერები, რომლებიც ერთდროულად შეძლებს ლიდერობისა და ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას. მარტივად რომ ვთქვათ, ლიდერობა ეს არის - “სწორი რაღაცეების კეთება”, ხოლო მენეჯმენტი - “რაღაცეების სწორად კეთება”. ეფექტურ მენეჯმენტს კი სჭირდება - „სწორი რაღაცეების სწორად კეთება“.

მენეჯერისათვის ლიდერული თვისებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა არის მისი ის უნარი, ისე მართოს ადამიანები, რომ თითოეულმა მათგანმა გააკეთოს ის, რაც საჭიროა და როგორც საჭიროა ისე, რომ ეს მას თვითონ სურდეს. მართლაც, თუკი ადამიანს საკუთარი საქმე არ უყვარს, იგი მას წარმატებით ვერ შეასრულებს. სწორედ, ამიტომ არის რომ თანამედროვე ორგანიზაციები საკუთარ საქმეზე შეყვარებულ თანამშრომლებს ეძებენ და ვაკანსიების განთავსებისას აპლიკანტებს ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვით-მოტივაციას უყენებენ. ამიტომ, ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფის შემდეგ მნიშვნელოვან პირობას პერსონალის სისტემური მოტივაციის მიღწევა წარმოადგენს.

მიზნებს ჩვენ ვასრულებთ სტრატეგიის მეშვეობით. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტის მისაღწევად საჭიროა ორი რამ - კარგი სტრატეგია და მისი კარგი აღსრულება. მხოლოდ ძლიერი სტრატეგია და მისი ზუსტი აღსრულება არის სასურველი მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობა. პრაქტიკა მოწმობს, რომ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა, რომლებმაც მიაღწიეს სასურველ შედეგებს, პირველ რიგში, განპირობებული იყო მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგიით. ორგანიზაციის თანამედროვე სტრატეგია განიხილება როგორც მისი გრძელვადიანი განვითარების ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს მისი საქმიანობის სფეროს, მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს, ორგანიზაციის შიგა ურთიერთობებსა და მის პოზიციას გარე სამყაროსადმი. მაგრამ სწრაფად ცვლად და რიგ შემთხვევებში არასაკმარისად პროგნოზირებად გარემოში რთულდება გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესი. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტი ვალდებული ხდება იმუშაოს იმაზე, რომ შეანაცვლოს უკვე შექმნილი სტრატეგია ევოლუციური სტრატეგიებით. ამისათვის კი, მენეჯერს უნდა გააჩნდეს იმის უნარი, რომ დაინახოს საზოგადოებაში მიმდინარე

მოვლენები და მის სამოქმედო სფეროში განხორციელებული ცვლილებები, რომ მის საფუძველზე შეძლოს სწორად დაგეგმოს ბიზნესი. ანუ შეიმუშაოს მოქნილი სტრატეგია. აქაც შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ეფექტური მენეჯმენტის მიღწევის შემდეგი პირობა ცვლად გარემოსადმი ადაპტირებულ სტრატეგიაშია.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ გარკვეულ შემთხვევებში, საუკეთესო სტრატეგია და მისი კარგი აღსრულებაც წარმატების გარანტიას მაინც ვერ იძლევა. კარგადმართული ორგანიზაციებიც კი აწყდებიან მოულოდნელ ხელისშემშლელ გარემო ფაქტორებს, რომელთა წინასწარი პროგნოზირება, დაგეგმვის ეტაპზე, შეუძლებელი იყო. თუმცა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული იგი მაინც ვერ მოუხსნის მენეჯერს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანიზაციის ეფექტური მენეჯმენტი არის მხოლოდ ის, რომლის დროსაც მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგები იქნება წარმატებული, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი ექსტერნალური ფაქტორების არსებობის მიუხედავად.

გარემოსადმი ადაპტირებულ სტრატეგიას სათანადო აღსრულება სჭირდება. იგი გულისხმობს მენეჯერის ხედვას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტრატეგიამ რეალურად იმუშაოს, ანუ მოხდეს დაგეგმილის პრაქტიკული რეალიზაცია. თუმცა, სტრატეგიის დანერგვის საკითხი დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, როგორც პირველ სამეურნეო ხელმძღვანელზე და არა მარტო დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მენეჯერებზე, არამედ მთლიანად ორგანიზაციის ქცევაზე, პერსონალის შინაგან სურვილზე მიიღოს სასურველი შედეგი. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტის მიღწევის შემდეგი პირობა, მენეჯერისა და დაქვემდებარებული პერსონალის შეთანხმებულ მუშაობას გულისხმობს. ისინი ერთ გუნდს უნდა ქმნიდნენ და ხასიათდებოდნენ მაღალი ურთიერთდობით.

ორგანიზაციის ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა მისი სტრუქტურა. ანუ, ის კავშირები, რომელიც ორგანიზაციის ელემენტებსა და მის კონსტრუქციას შორის არსებობს და რომლის საფუძველზეც ხდება მისი მართვა. როგორც მენეჯმენტის დარგის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრუკერი აღნიშნავს - „რამდენადაც მისია განსაზღვრავს სტრატეგიას, იმდენად სტრატეგია განსაზღვრავს ორგანიზაციულ სტრუქტურას“ [4, გვ. 5]. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტი მოითხოვს შეიქმნას „ბუნებრივი“, მოქმედ სტრატეგიაზე

მორგებული ორგანიზაციული სტრუქტურა, თავის ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობებით, რომლის პირობებშიც მიენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას და ახალი იდეების განხორციელებისკენ სწრაფვას უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მარკოზაშვილი ნ., ნდობა, ჟურ. „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. მარტი, 2007 წ., №1. www.sapientisat.ge
2. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>
3. ჯულაყიძე ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ.
4. Питер Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке, http://www.koob.ru/drucker_peter/

Desirable goal of organization and efficient management of its achievement

Emzar Julakidze

Association professor of A. Tsereteli University

All specialist of the modern management recognizes that achievement of success is impossible without efficient management. The results of efficient management are valued by making the aims, this being oriented to specific and real results. Two things are necessary for its achievement: good strategy and good fulfillment. Correspondingly, efficient management is when its economic results are successful, in spite of unforeseen and unexpected external factors. In this conditions knowledge, experiance, initiative and aspiration to fulfillment of the new ideas are preferable to achieve better final results.



ვასილ ხიზანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

თანამედროვე კაპიტალიზმის დასაწყისი და მთლიანად მე-19 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის პერიოდი კომპანიის ფუნქციონირების ძალზედ მარტივი მოდელით ხასიათდებოდა, რაც მისი ფლობისა და მართვის ერთიანობაში გამოიხატებოდა. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან კორპორაციებში სახე-ეზოა ფლობისა და მართვის ფუნქციათა გამოიჯანა. აღნიშნული სეპარაცია გვევლინება თანამედროვე კაპიტალიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპექტად, რომლის საკვანძო მომენტს აქციონერებისა და მენეჯერების კორელაცია წარმოადგენს.

ამ ორ მხარეს შორის დამოკიდებულება ყოველთვის იყო და არის დელიკატური, რაც დღემდე რჩება კორპორაციული მართვის სუსტ წერტილად. როგორც აქციონერები ისე მენეჯერები კორპორაციის მართვაში წარმოადგენენ ძირითად სტეიკჰოლდერებს, რომელთა შორის მართვის პროცესში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს და ინფორმაციულ ასიმეტრიულობას, რაც წარმოშობს გარკვეული სახის სიძნელეებს კორპორაციის ფუნქციონირებაში და შესაბამისად ართულებს დასახული მიზნის მიღწევას. კორპორაციის საბოლოო მიზანი მიიღწევა ეფექტური მართვის პროცესში, რასაც პრინციპალ-აგენტის ურთიერთნდობასა და ინტერესთა პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა უზრუნველყოფს.

ცნობილია, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დასაწყისი და მთლიანად მე-19 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის პერიოდი კომპანიის ფუნქციონირების ძალზედ მარტივი საერთო მოდელით ხასიათდებოდა, რაც მისი ფლობისა და მართვის ერთიანობაში გამოიხატებოდა. დებატები საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის თაობაზე სათავეს იღებს მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან [1]. თანამედროვე კორპორაციები კი, მათი წინამორბედებისაგან განსხვავებით გამოირჩევიან ფლობისა და მართვის ფუნქციათა გამოიჯანით. ფაქტობრივად, აღნიშნული სეპარაცია გვევლინება თანამედროვე კაპიტალიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპექტად, რომლის საკვანძო მომენტს აქციონერებისა და მენეჯერების კორელაცია წარმოადგენს.

აქციონერები, რომლებიც კორპორაციის აქციონერები ანუ ფასიანი ქაღალდების მფლობელები არიან და მონაწილეობენ ამავე კორპორაციის კაპიტალის მართვაში იღებენ მოგების წილს, თუმცა მათი, როგორც კორპორაციის მესაკუთრეთა უმთავრეს საზრუნავს დივიდენდების მიღებასთან ერთად ასევე წარმოადგენს მათივე საკუთრების უფლებ-

ის დაცვა, რომელიც გარკვეული სპეციფიკური უფლებების სახით შეიძლება დაიყოს [2]:

- უფლება საკუთარი აქციების გაყიდვაზე
- ხმის უფლება გაერთიანებულ კრებაზე
- უფლება კომპანიის გარკვეულ ინფორმაციაზე
- საჩივრის უფლება მენეჯერთა (დამტკიცებულ) გადაცდომებზე
- გარკვეული სხვა უფლებები კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

აქციონერები, მენეჯერთაგან განსხვავებით, რომელთა ხელშიცაა ფაქტობრივი კონტროლი კორპორაციაზე, საუკეთესო შემთხვევაში ახდენენ საკუთარი ქონების არაპირდაპირ და უპიროვნო კონტროლს. აქციონერებისათვის, მენეჯერთაგან განსხვავებით, რომელთათვისაც უპირატესია კომპანიის სიმძლავრეების ზრდა ყველა არსებული პარამეტრით, უმთავრესია მოგების მიღება.

რაც შეეხება მენეჯერებს, ისინი არიან კორპორაციის მიერ დაქირავებული პროფესიონალი მმართველები, რომელთაც ევალებათ აქციონერთა ინტერესების გატარება კომპანიაში [3], კერძოდ ზოგადი მოვალეობა იყოფა უფრო კონკრეტულ

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კომპანიის ინტერესებით მოქმედების ვალდებულება• ეს ვალდებულება შეიძლება ახსნილი იქნას კომპანიის მოკლევადიანი ფინანსური საქმიანობისა და გრძელვადიანი გადარჩენის თვალსაზრისით. არსებითად, ეს აქციონერების გადასაწყვეტია თუ როგორ და რა სახით სურთ მათ კომპანიის ფუნქციონირება. თუმცა, მენეჯერებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი დისკრეტია ამ ვალდებულების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის.

ზრუნვის და უნარის ვალდებულება• ამ მოვალეობის არსებობა გულისხმობს, რომ მენეჯერები თავად ესწრაფვიან კომპანიათა ყველაზე უფრო პროფესიონალური და ეფექტური საშუალებებით სრულყოფილი მართვის მიღწევას.

შრომისმოყვარეობის (გულმოდგინების) ვალდებულება• ეს ბოლო მოვალეობა არის ყველაზე მთავარი მოვალეობა და ასახავს აქტიური ჩართულობის მოსალოდნელ დონეს კომპანიის საქმეებში. შესაბამისად, ეს არის მენეჯერებზე ზეწოლის მასშტაბური საშუალება, რათა მათ შეძლონ მთელი ძალისხმევის ინვესტირება კომპანიის მართვაში ყველაზე უფრო წარმატებული საშუალებებით.

მენეჯერების სამოქმედო სპექტრი კომპანიაში მრავალფეროვანია და მოიცავს იმდენად ბევრ ასპექტს, რომ საკმაოდ რთულდება ფუნქციურ მხარეთა კონკრეტული აქტიურობებისა და ინიციატივების კუთხით გამიჯვნა: რაგვარი სტრატეგიები, პროდუქტები და საერთაშორისო საინვესტიციო პროდუქტები უნდა იქნას შემუშავებული და განსაზღვრული კორპორაციის მომავალი წარმატების მისაღწევად? – ეს არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ხდება უკვე შეუძლებელი ინსაიდერებისთვის, აღარაფერს ვამბობთ აქციონერებზე, რომლებმაც ცოტა რამ თუ უწყვიან კორპორაციის შიდა საქმიანობისა და მისი პროდუქტების, ბაზრებისა თუ კონკურენტების შესახებ.

აქციონერებსა და კომპანიას შორის დამოკიდებულება არის რელატიურად მჭიდრო, თუმცა ნათლად განსაზღვრული აქციონერთა უფლებებითა და ბუნდოვნად განსაზღვრული მენეჯერთა მთლიანად ფორმის ვალდებულებებით. აქედან გამომდინარე აღნიშნული სიტუაცია ყოველთვის იყო დელიკატური, და რომ მენეჯერებსა და აქციონერებს შორის დამოკიდებულება დღემდე რჩება კორპორაციული მართვის სუსტ წერტილად. ამგვარად, მსგავსი კონფლიქტები ფოკუსირდება „კორპორაციული მართვის“ საკვანძო ფრაზაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით ის

შეიძლება დეფინირდეს შემდეგნაირად:

კორპორაციული მართვა არის კონტროლისა და ბალანსის სისტემა [5]. იგი აღწერს პროცესს, რომელშიც აქციონერები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ „მათი“ კორპორაცია მოქმედებდეს მათივე ზრახვების მიხედვით. კორპორაციული მართვა მოიცავს მიზნის განსაზღვრის, ზედამხედველობის, კონტროლისა და სანქციონირების პროცესებს. ვიწრო გაგებით ის მოიცავს აქციონერებსა და კორპორაციის მენეჯმენტს, როგორც მართვის პროცესის მთავარ მონაწილეთ. უფრო ფართო გაგებით კი – მართვის პროცესის ყველა მონაწილეს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დაინტერესებულ მხარეთა (სტეიკჰოლდერების) მიზნების მიღწევაში კორპორაციის შიგნით და გარეთ [იხ. წყარო 4, გვ. 157].

გადავაულებთ რა თვალს კორპორაციულ მართვის სფეროში არცთუ შორეულ წარსულში მომხდარ სკანდალებსა და პრობლემებს, შეიძლება ვიკითხოთ თუ რატომ ჩანს ასე დელიკატური ეს ურთიერთობები. აი ისინიც [6]:

• 2002 წლის ნოემბერში გამჟღავნებული იქნება, რომ ჟან პიერ გარნიე, ბრიტანელი ფარმაცევტული გიგანტის ლახოშიმიტ ლინე (შდ) ფრანგი დირექტორი ცდილობდა თავისი ხელფასის მასიურ ზრდას შეიდი მილიონი ფუნტი სტერლინგით, კომპანიის დაბალი ეკონომიკური პარამეტრებისა და კერძოდ კი, აქციებზე ფასების დრამატული ვარდნის მიუხედავად.

ისმება კითხვა, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ამგვარი მოთხოვნის განხილვა აქციონერებთან?


• როდესაც ხდებოდა ერცედეს-ის შერწყმა კრაისლერთან, რათა შექმნილიყო ახალი გლობალური მოთამაშე საავტომობილო ინდუსტრიაში, იურგენ შრემპმა, აიმლერ-ჩრისლერ – ის დირექტორმა ამ განზრახვას უწოდა „თანასწორთა შერწყმა“. ერთი წლის შემდეგ, როცა გაირკვა რომ ჩრისლერ ღრმა ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდა, Financial Times – თვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მას არასოდეს განუზრახავს Chrysler-ის როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორის მიღება გრძელვადიანი პერსპექტივით, არამედ სურდა ამერიკული კომპანია ეხილა გერმანული კონგლომერატის Daimler-Benz-ის ნაწილად.

რატომ მოხდა, რომ ჩრისლერ-ის მსხვილმა აქციონერებმა მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინეს ის, რომ ისინი ნაწილობრივ იყვნენ მოტყუებულნი, რადგან გერმანული მენეჯმენტის ნამდვილის განზრახვა აბსოლიტურად სხვა იყო.

კომპანიის მართვასა და მფლობელობას შორის არსებული პრობლემური ურთიერთობები ფორმუ-

ლირებულია როგორც ე.წ. სააგენტო ურთიერთობები [7]. ეს ნიშნავს, რომ აქციონერი არის პრინციპალი ანუ მთავარი, ვინც დებს ხელშეკრულებას მომავალ მენეჯერთან ანუ აგენტთან კომპანიის

მენეჯმენტისათვის. ნახ. 1 გვჩვენებს ურთიერთობის ძირითად ხედვას ფორმას, მენეჯერსა და აქციონერს შორის.



ნახ. 1. სააგენტო ურთიერთობები მენეჯერსა და აქციონერს შორის

აქციონერებს, როგორც პრინციპალებს სურთ, რომ მენეჯერებმა ფორმაში მათთვის შეასრულონ გარკვეული სახის ამოცანები. მეორე მხრივ, მენეჯერებს, როგორც აგენტებს გააჩნიათ გარკვეული ინტერესები ფორმაში. სააგენტო ურთიერთობები არის განსაკუთრებული ურთიერთობები, გამორჩეული ორი თვისებით [8]:

1. არსებობს ჩვეული ინტერესთა კონფლიქტი აქციონერებსა და მენეჯერებს შორის. აქციონერებს სურთ მოგების მიღება და აქციებზე ფასების ზრდა, რომელიც მენეჯერთა მხრიდან მოითხოვს საკმაო ძალისხმევას შესაძლო დაბალი სახელფასო ანაზღაურებით. მენეჯერებს სურთ ჰქონდეთ მაღალი ხელფასი და აქციონერთა მისწრაფებების საზიანოდ შეეძლოთ ძალაუფლებისა და პრესტიჟის რეალიზება.

2. პრინციპალს აქვს მხოლოდ შეზღუდული ცოდნა და წარმოდგენა აგენტის კვალიფიკაციის, მოქმედებისა და მიზნის შესახებ, რასაც დასაფლეთში მეცნიერ-ეკონომისტები უწოდებენ ინფორმაციულ ასიმეტრიას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორივე ასპექტის კომბინაცია აყალიბებს აქციონერების ურთიერთობას მენეჯერთან და კორპორაციული მმართველობის საკითხთა მოვლ წყებას. მაშასადამე, აქციონერები და მენეჯერები კორპორაციის მართვაში წარმოადგენენ ძირითად სტეკჰოლდერებს, რომელთა შორის მართვის პროცესში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს და ინფორმაციულ ასიმეტრიულობას, რაც მიუთითებს კიდევ ორივე დაინტერესებული მხარის ფუნქციონალურ განსხვავებულობაზე. ეს კი, თავის მხრივ გარკვეული სახის სიძნელეებს წარმოშობს კორპორაციის ფუნქციონირებაში და შესაბამისად ართულებს დასახული მიზნის მიღწევას, რომელიც კორპორაციის ეფექტური მართვის პროცესში რეალიზდება და რასაც მხოლოდ მთავარი – მოქმედი, პრინციპალი – აგენტის ნორმალური, ურთიერთობასა და ინტერესთა პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა უზრუნველყოფს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Berle, A.A., and Means, G.C., The Modern Corporation and Private Property., New York, 1932
2. Monks, R.A.G., and Minow, N., Corporate Governance, 2nd edn. Malden, Mass: Blackwell., 2001.
3. Moore, G., Tinged Shareholder theory: or what’s so special about stakeholders? , Business Ethics: A European Review, 1999, 8/2: P. 117-27.
4. Parkinson, J.E., Corporate Power and Responsibility. Oxford: Oxford University Press., 1993, P. 76-100.
5. Berk, J., DeMarzo, P., Corporate Finance, (2end edition), Harlow, Essex, 2011, P. 939
6. Crane, A. , Matten, D., Business Ethics : A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization). Oxford- New York., Oxford University Press., 2004, P.186-187
7. Jensen, M., and Meckling, W., Theory of the firm: managerial behavior, agency costs and ownership structure. Journal of Financial Economics, 1976, 3 :P. 305-60.
8. Shankmann, N.A., Reframing the debate between agency and skateholder theories of the firm? Journal of Business Ethics, 1999, 19: P. 319-34

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

Vasil Khizanishvili

PhD in Economics

Assistant Professor of Telavi State University

The beginning of the modern capitalism and the period of the 19th century Industrial Revolution, was characterized by a very simple model of functioning the company, what was expressed in its possession and management unity. Since the thirties of the 20th century there have been faced the separation of the functions of possession and management. The mentioned separation appears as one of the central aspect of the modern capitalism, which key moment is the correlation of shareholders and managers.

Relationship between this two sides has always been a delicate, that is still a weak point of the corporate governance. As shareholders as managers are the main stakeholders in the corporate governance, among them, there is the conflict of interest and information asymmetry in the management process, what makes some difficulties in the corporate functioning and therefore makes it difficult to reach the goal. The ultimate goal of the corporation will be achieved in the effective management process what provides the relationship based on the principal – agent’s mutual trust and respect of interests.



რეზაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
უნივერსიტეტ გეომედის სრული პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

სტატიაში წარმონიშნულია უფლის სასწაულების ბუნება და გამოვლინებანი და აღნიშნულის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა ეკონომიკური ციკლების სპეციფიკური საფეხურებიანი განმეორებადობის (უფრო მაღალ დონეზე) საკითხზე, რაციონალური (ეფექტიანი) პროპორციის (62/38) შესახებ ეკონომიკური კონკურენციის დონეში, ფასების ფარდობითობის, გლობალური კონკურენციისა და ექსპორტ-იმპორტის საკითხებზე.

უურნალ „ახალ ეკონომისტში“ გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე შრომა ეკონომიკური განვითარებისათვის კონკურენციის მნიშვნელობის შესახებ. ამჟამად, აღნიშნული უფლის სასწაულებს - ობიექტურ ნებასა და მის კანონზომიერებებს მინდა დავუკავშირო ეკონომიკური პრაქტიკის სხვადასხვა გამოვლინებაში.

თუ ბუნების კანონები ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ეს ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს, ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკური კანონზომიერებანი ხომ, ერთი შეხედვით, ადამიანთა სრულებით შემთხვევითი თაობების მიერ ყალიბდება, მაგრამ ეს ასე არ არის და, გვინდა თუ არა, მრავალი შემთხვევით სუბიექტის მიერ გამოწვეული და სხვა კრიზისული ციკლების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ადამიანთა მწარმოებლურობის ზრდის ობიექტური კანონზომიერება, მაგალითისათვის, განუხრელად მოქმედებს, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრება უმჯობესდება, რაშიც მთავარ მამოძრავებელ იმპულსად კონკურენტული წინააღმდეგობები გვევლინება.

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. ეკონომიკის სტიმულების მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით გააზრება არასაკმარისი აღმოჩნდა და მატერიალურ-სტრუქტურული ფაქტორების გააზრებისას, არასრულფასოვანი ეკონომიკური ზრდის სულიერ მიზეზებზეც უნდა დაფიქრდეთ. ეკონომიკა მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების სფეროა, თუმცა, არ უნდა №3(30), 2013 წელი, year

დაგვავიწყდეს, რომ მასაც, როგორც სამყაროს მთლიანად, სულიერი საფუძვლები წარმოშობს. ამჯერად, შევხერდები ამ საფუძვლების რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

ნაწილი 1. ზეზუნებრივი სასწაულები და
საზმუნებრივი ბანამორებალობა
ეკონომიკურ ციკლებში

კარგა ხანია, ეკონომიკური ზრდის ქრისტიანულ საფუძვლებს ვიკვლევ [1] და, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, ეკონომიკის ამ მთავარი საფუძვლის დაუნახავ ოპონენტებს თვალები აეხილოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში განმეორებადი ჭეშმარიტი სასწაულების მოხმობით.

სასწაული, ჩვენი გაგებით, არის ყოველივე ის რომლის არსიც შეუცნობელია (გაუგებარია) ანუ ამ ეტაპზე მიუწვდომელია ადამიანის ცნობიერებისათვის.

სასწაულს ზოგიერთი უკავშირებს ადამიანისათვის მხოლოდ უჩვეულო (არახშირ, არაკანონზომიერ) მოვლენას. მაგალითად, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, ე.წ. ზებუნებრივი უნარი გამოამჟღავნა ისრაელის მოქალაქე ური გელერმა, რომელიც ფსიქიკური ენერჯის კონცენტრაციის შედეგად, ყოველგვარი ფიზიკური კონტაქტის გარეშე, ღუნავდა და ტეხავდა კიდევ კოვზებს, ჩანგლებს და სხვა მსგავსი ზომის საგნებს [2, გ. 57].

საბედნიეროდ, ადამიანი დაინტერესებულია ამოიცნოს შეუცნობადი სასწაულების საიდუმლობანი და კეთილი მიზნებით განავითაროს მეცნიერება და ტექნიკაც, რის შედეგად, თუ, მაგალითად, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის, ადამიანის თვითმფრინავით გადაფრენა სასწაულ-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ად შეიძლება ჩათვალოს, დღეს იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავალი ადამიანი, ეჩვენა რა და მყისიერად ივიწყებს უფლისგან ბოძებულ მრავალ სასწაულს, ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს წელიწადის დროების ზუსტ ციკლურობას, მზის ნათებას, ადამიანის დაბადებასა თუ ნიჭიერებას და, რაღა თქმა უნდა, უფლის აღდგომასა და აღდგომის სანთლებისა და სხვა მრავალ ყოველდღიურ სასწაულს.

მოვიხმობ კიდევ ერთ უბრალო სასწაულს ცოცხალი არსებების ინსტიქტური მოქმედებებიდან, რაც ზებუნებრივი ძალის არსებას ადასტურებს:

იაპონელი მეცნიერი იამამოტო ჰიროუკე, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, ადგენს, რომ გადამფრენი ჩიტების გუნდს, ხშირ შემთხვევაში, მეთაურად ახალდაბადებული ფრინველი მიუძღვის, რომელიც მხოლოდ გადამფრენის წლის ზაფხულში იბადება და, რომელმაც, ბუნებრივია, არ შეიძლება იცოდეს გადამფრენის გზის ახალი პოზიციები და ტრადიციული მარშრუტი, თუმცა ის ამას (მეთაურობას) უშეცდომოდ ახერხებს [3, გ. 91].

ჩემი მოსაზრებით, ეკონომიკური ციკლურობის სასწაულში გარკვეული სპეციფიკა მინდა დავინახო ბუნების (მ.შ., მაგალითად, წელიწადის დროების) ციკლურობასთან (ზუსტ განმეორებადობასთან დღე-ღამისა და ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობაში, რაც მხოლოდ ზებუნებრივი ძალებით შეიძლება აიხსნას) შედარებით. ეკონომიკურ ციკლებს სრულებით შემთხვევითი სუბიექტები (ადამიანები და არა, ერთი შეხედვით, ზებუნებრივი ძალა) წარმოშობენ, მაგრამ ციკლები მაინც კანონზომიერად ვლინდება - ხანგრძლივ ზრდას გარკვეული ვარდნა მოჰყვება, შემდეგ ისევ ზრდა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკურ ციკლურობას, ბუნების ციკლურობისაგან განსხვავებით, ახასიათებს არაიდენტური, არამედ საფეხურებრივი განმეორებადობა ახალ (მზარდ) სიმაღლეზე, რაც, კრიზისების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ეპოქის ადამიანის ცხოვრების დონის მატებით (გაუმჯობესებით) არის გამოხატული.

ნაწილი 2. ეკონომიკური კონკურენციის კანონი და ე.წ. რაციონალური საშუალებები

ჩემს ადრინდელ კვლევაში [1] ავსახე და, შემდგომი განვითარების მიზნით, შემდგომ შრომებში საუბარი მქონდა ფიზიკოსი გეორგ ომის ე. წ. დენის ძალის კანონზე [6; 7], რომელიც, სიზმრად სასწაულებრივი ხილვის შედეგად, ე. წ. ეკონომიკური კონკურენციის კანონის ინდექსებშიც გამოიხატა [1, გ. 31-34]. სასწაულია და მორიგი ხილვის შემ-

დეგ, ეს ინდექსები მათემატიკოსი მარტინ ომის ოქროს პროპორციას [8; 9] დაუკავშირდა.

ოქროს პროპორციის შესახებ ადრეც გამეგო. მასზე, ჯერ კიდევ პლატონიდან დაწყებული, კაცობრიობის მრავალ დიდ მოაზროვნეს უფიქრია. ოქროს კვეთა (ოქროს პროპორცია) გულისხმობს მთელის ისეთ დაყოფას ორ არატოლ ნაწილად, როცა მთელი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი მცირეს. ეს პროპორცია დაახლოებით 1,62-ია (მიახლოებითი მნიშვნელობა იმიტომ მომყავს, რომ მისი ჩანაწერი უსასრულოა 1, 6180339...) და ის მთელს ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მთელის დაახლოებით 62%-ია, მცირე ნაწილი კი - მთელის 38%. სიზმარი სიზმრად, მაგრამ ოქროს პროპორცია ფლობს უნიკალურ მათემატიკურ თვისებებს და ის ერთგვარი რაციონალური აგებულების საზღვრების საფუძველია ადამიანის პროპორციებსა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან მეცნიერულ გაანგარიშებებში, მ.შ. არქიტექტურაში, გეოლოგიაში, კიბერნეტიკაში და ა.შ.

როგორც ჩემი ადრინდელი შრომები და დაკვირვებები [10; 11 და სხვ] მაძლევს საფუძველს აღვნიშნო, ეკონომიკური სისტემის ევექტიანი ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია (არ ვარ კატეგორიული და ეს აუცილებელი არ არის და შესაძლებელია გარკვეული გადაცდომებიც ექსტრემალურ სიტუაციებში), არ დაირღვეს ოქროს კვეთა (თანაფარდობა, პროპორციულობა) და ყველაზე დიდმა მიმწოდებელმა ბაზარზე არ უნდა გადააჭარბოს 38%-ს, შესაბამისად ბაზრის 62% (რაციონალური საფუძველი) მაინც საჭირო კონკურენტულობას უნდა ინარჩუნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე დიდი მწარმოებელი მეტად და მეტად გამოავლენს მონოპოლიურ თაგომბალა მიდრეკილებებს, რაც საბოლოოდ საერთო ევექტიანობის არსებით შემცირებაში გამოიხატება. საინტერესოა, რომ ამ საკითხებზე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კვლევებიც ამ პროპორციის მახლობლობაში აღნიშნავენ რაციონალურ თანაფარდობას (მაგალითად, არაკონცენტრირებული ბაზრები აშშ-ში [12] - Unconcentrated Markets: HHI below 1500, როცა ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე ფესვი 1500-დან (38,72983...) ანუ ბაზრის მაქსიმუმ დაახლოებით 38,7%-მდე შეიძლება ვრცელდებოდეს).

ნაწილი 3. ვასეპის ვარდობიობა

ქრისტიანული შედეგები (სასწაულმოქმედი ხატები და სხვა სიწმინდეები), მათზე გაწეულ “ეკონომიკურ” (მატერიალურ) ხარჯებთან შედარებით უსასრულოდ დიდ სარგებლიანობას



იძლევიან კაცობრიობისათვის და, შესაბამისად, განუსაზღვრელად დიდია მათი ფასი. ბუნებრივია, ადამიანური აზროვნების ფარგლებს სცილდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენების ღვთის ნებით განპირობებული მაქსიმალური საზღვრის შეცნობა და მიმდინარე მიღწევები ხშირად პარადოქსულ მოვლენებს აფიქსირებს და დიამეტრალურად ცვლის შემდგომი მოქმედების მიზანდასახულობებსაც. ფასების ფარდობითობასთან, ანუ, ჩვენი განსაზღვრებით, მიმდინარე ხარჯებთან შედარებით არსებითად დიდ შედეგიანობასთან გვექონდა საქმე, მაგალითისათვის, თანამედროვე კომპიუტერის გამოგონების შემთხვევაში [1, გ. 25-26].

ნაწილი 4. ფარდობითობა ფიზიკაში (ა. აინშტაინი) და მეცნიერული აზრის დაფასების აუცილებლობა

ალბერტ აინშტაინის [13] ფარდობითობის თეორიის შემთხვევაში, რომელმაც პრაქტიკულად დიამეტრალურად შეცვალა მანამდე არსებული მიდგომები (რაც დღემდე ბოლომდე ჯეროვნად ამოუცნობია), განისაზღვრება, რომ მატერიის მასა მნიშვნელოვნად (რ.ლ.: უსასრულობამდე) იზრდება სინათლის სინქარესთან მიახლოებული დიდი სინქარეებით მოძრაობის პირობებში [14]. სამწუხაროდ, ზოგიერთი თვლის და საკმაოდ მასშტაბურად ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ეკონომიკური მეცნიერება საერთოდ არ არის საჭირო და მნიშვნელოვანი პრაქტიკისათვის. ფიზიკის ეს აღმოჩენა ატომური ენერჯის განსაზღვრასაც უკავშირდებოდა და, ბუნებრივია, მისდამი ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. მაგრამ სხვა დარგის მეცნიერები, მეტწილად, ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ ისტორიულად სხვადასხვა ეპოქებში. უდიდეს პატივს მოვაგებ სპორტს და დამსახურებულ სპორტსმენებს, მაგრამ სამწუხაროდ, სპორტსმენის საშუალო ანაზღაურება მსოფლიოში დღეს ბევრად აღემატება მეცნიერის შემოსავლებს, რაც თავად სპორტზეც უარყოფითად აისახება. აინშტაინის დარი აღმოჩენები ფიზიკაში და საერთოდ მეცნიერები და მათ შორის მეცნიერ-ეკონომისტების საჭიროება და მნიშვნელობა თუ გადავაფასეთ, ეკონომიკაც მხოლოდ პრიმიტიული ანგარიშიანობის არა-შორსმხედველი და საბოლოოდ დიდი ცდომილებების საგანი გახდება. თუმცა, ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ ელემენტარულიდან რთულისაკენ ეტაპობრივად განვლილი გზა არ დავინახოთ და არ დავაფასოთ. ჩემი აზრით, ალბერტ აინშტაინი მართლა განსაკუთრებული მასშტაბების დიდი გენიოსია, რომელიც, მისი, როგორც შესაბამისი

ეპოქის ადამიანის, აზროვნების შესაძლებლობათა ფარგლებში, უპირველესად, უფლის მოქმედებას ხედავდა გენიალურად. მან, არსობრივად შეცვალა რა ნიუტონის კლასიკური მექანიკის მიდგომები, მაინც თავმდაბლად აღნიშნავდა ნიუტონის თეორიის დიდ მნიშვნელობასაც, რომელიც, ფაქტიურად მხოლოდ მიახლოებას წარმოადგენდა აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან მცირე სინქარეებით მოძრაობის პირობებში. აინშტაინის თეორიის არგუმენტაციით, მასა ისეთივე ფარდობითი სიდიდეა როგორც სინქარე, დრო და მანძილი. ასეთივე ფარდობითია ფასიც ეკონომიკაში და, ამდენად მისი (ფასის) მხოლოდ დანახარჯებზე (დროით თუ მატერიალურ) პრიმიტიული დაყვანა, დიდ ცდომილებებთან მიგვიყვანს საბოლოო ჯამში. ამასვე ადასტურებს ჩვენი შრომის მე-3 ნაწილში აღნიშნული მცირე დანახარჯებით შექმნილი სასწაულმოქმედი ხატების შეუფასებელი სარგებლიანობის გააზრებაც.

ნაწილი 5. უფლის მონიჭებული ჯანმრთელობა და მისი ბავშვანა შემოსავლებზე

ადამიანის სიცოცხლე უფლის მიერ არის მონიჭებული და ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს. დიდია მედიცინის მნიშვნელობა, მაგრამ უფლის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია (შეუფასებელია). ბუნებრივია, უფლის ნებით, არის შემთხვევები, როცა წმინდა ცხოვრებით მოღვაწე ადამიანი ადრე მიდის წუთისოფლიდან, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი ადამიანების ჯანმრთელობა მართლა სასწაულებრივად საუკეთესოა. ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი (უფლის მონიჭებული) პროდუქტებით მკვებავი ადამიანების მისამართითაც.

სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად, დიდია და, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ, მის მზარდ აქტუალობასთან ერთად, სამწუხაროდ, მატულობს ამ სფეროს სახიფათო მაქინატორთა რიცხვიც. ეს რიცხვი თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და აერთიანებს კრიმინალურ “სასწაულმოქმედ” ნარკობარონებს, ადამიანების გაჭირვებით მოსარგებლე სხვადასხვა “პროფესიონალ” გამომძალველებს, ათასგვარი შენიღბული ხერხებით მხიბვავ ექიმბაშებს, არა-პროფესიონალ “სახალხო” მკურნალებს და სხვა მრავალ ავანტიურისტს, რაზეც აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი ყველა ქვეყნის სამართალდამცავთა ჩართულობითა და ჯანდაცვის შესაბამის პროფესიონალთა მონაწილეობით.

ჩვენს შრომებში [მ.შ. იხ. 15] მაღლიერებით

აღნიშნავთ იმ ქვეყნებს, რომლებიც მზრუნველი პოლიტიკით ზრდიან ხარჯებს მედიცინაზე, მაგრამ, ბევრი ადამიანი მსოფლიოში ჯერ კიდევ ელემენტარული დახმარების გარეშეა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურად მდიდრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ადამიანთა რიცხვიც მატულობს, ვინც სამედიცინო პრობლემებს ვერ უმკლავდება. საზოგადოების კარგი ჯანმრთელობის დონე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს შემოსავლებზე, მაგრამ სახელმწიფოს გონივრული პოლიტიკის გარეშე, საზოგადოების ცხოვრების გახანგრძლივებამ, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და, საბოლოოდ, ადამიანების შემოსავლებზე. ასე, მაგალითად, თუ საპენსიო ასაკზე მეტი ხნოვნების მოსახლეობის ხვედრიწონა მატულობს, იზრდება ხარჯებიც იმ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტიურად არაფერს ქმნიან. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის მიდგომას საპენსიო ასაკის ზრდის მიმართულებით, რათა, თუ ადამიანებს შეუძლიათ, მათ მიეცეთ საშუალება მეტი იმუშაონ.

6. კონკურენტუნარიანობის დონე სხვადასხვა ქვეყანასა და კომპანიაში

უფალმა განსხვავებული კლიმატური პირობები და რესურსული ბაზა დაუწესა ქვეყნებს და შესაბამისად ყალიბდება ეროვნული სახასიათო ქცევის წესები ეკონომიკაში. საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც არ არიან განებივრებულნი საუკეთესო კლიმატური პირობებით და ცხოვრობენ ცივ და ძალზე ცივ სარტყლებში ან სეისმურად აქტიურ ზონებში, იძულებულნი არიან მეტად მობილიზებულნი იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, კონკურენტუნარიანობის დონის მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციებში, ვეცდები, მოვიპოვე მაქსიმალურად საჭირო მონაცემები, რათა გამოვაგლინოთ კონკურენტუნარიანობის ამადლების ნიუანსები, რაც მისანიშნებელი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის. ხსენებული საკითხის არგუმენტირებული შესწავლის პროცესში, განვაზოგადებ მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რასაც, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობის ჩემს მიერ შემოთავაზებული ინდექსების [1, გ. 32] განსაზღვრისათვის გამოვიყენებ. ამასთანავე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (რის გარეშეც არ არსებობს ბაზარი) კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, დავამატებ ექსპორტის იმპორტთან შეფარდების ინდექსებს (ასევე

ჩემი შემოთავაზებული ახალი ინტერპრეტაციით), რაც, ჩემი აზრით, შესაძლოდ მარტივად, მაგრამ თვალსაჩინოდ შეავსებს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი შეფასების (გააზრების) რთულ (მრავალმხრივ) მექანიზმს გლობალიზაციის ურთულეს პროცესებში.

კონკურენტუნარიანობა, ჩემი აზრით, მიზნაშეწონილია შეფასდეს 2 ჯგუფად ბაზრისა და ქვეყნების (კომპანიების) სპეციფიკების გათვალისწინებით, მ.შ. ჩვენ შევაფასებთ კონკურენტუნარიანობას (კონკურენტუნარიანობას) ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე და კონკურენტუნარიანობას ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების სინამდვილეში. განვიხილოთ აღნიშნული ჯგუფები შესაძლოდ დეტალურად.

ა) კონკურენტუნარიანობა ერთგვაროვანი ბაზარზე

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრისათვის, როგორც შრომის დასაწყისში (იხილეთ მე-2 ნაწილი) აღნიშნეთ, I ინდექსს გამოვიყენებენ. ეს დონე თუ 1500-ზე ნაკლებია, არაკონცენტრირებულ ბაზრებთან გვაქვს საქმე, თუ 1500-ს გადააჭარბებს - საშუალოდ კონცენტრირებულ ბაზრებთან და თუ 2500-ს გადააჭარბებს - მაღალკონცენტრირებულ ბაზრებთან, რაც განსაკუთრებით სახიფათოა. გასათვალისწინებელია, რომ, ჩემი დაკვირვებითა და ექსპერტული შეფასებით, ხსენებული ინდექსი, გასაგები მიზეზების გამო, შედარებით მაღალია მძიმე მრეწველობასა (ძირითადად წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები, მ.შ. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და სხვ.) და მასთან დაკავშირებულ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, განსაკუთრებით დაბალია კი კვების მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, ხისდამამუშავებელ მრეწველობაში და სხვ.

თუ ბაზარზე სამი სუბიექტი (მაგალითისათვის, ხვედრითი წონებით 20%, 30% და 50%) ხატავს კონკურენტუნარიანობის სურათს, ჰერფინდალ-ჰირშმანის და ჩვენი ინდექსები ავლენს, რომ ბაზარი ძალზე კონცენტრირებულია (ანუ კონკურენტუნარიანობის დონე მცირეა). ხსენებული სამი პროცენტული მაჩვენებლის კვადრატების შეკრება გვაძლევს, რომ I ინდექსს 3800-ს (რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2500-ს), ხოლო ჩვენი მეტოლოგიით, კონკურენტუნარიანობის II ინდექსი 2-მდე ეცემა (ანუ 1-ის მნიშვნელობა ბაზრის ტევადობის ნახევარს აღწევს) და ინტეგრალური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის დამატებითი



სტატისტიკური ინფორმაციაა საჭირო.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული სტატისტიკური ბაზით, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ვერც I კონცენრაციის დონის (რომლისადმი მოთხოვნები, ბუნებრივია, პერიოდულად იცვლება გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში) და ვერც ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ძალის მაჩვენებლების განსაზღვრა.

ბ) ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ რეალიზებული ექსპორტის შეფარდება იმპორტთან (სხვადასხვა ინტერპრეტაციით) ქვეყნისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამსახველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ. აღნიშული ინდექსის შემადგენლები, საერთაშორისო ოფიციალურ წიგნად გამოცემებსა და ინტერნეტგვერდებზე, გარკვეული ცდომილების მიუხედავად, შედარებით უკეთადაა მოიპოვება. მზარდი ექსპორტი ქვეყნის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს და მისი, ისევე როგორც იმპორტის, სტრუქტურა მრავალმხრივ მსჯელობის საგანია. ამჯერად რამდენიმე მისანიშნებელ ტენდენციასაც გავამახვილებ ყურადღებას, რაც კონკურენტუნარიანობის გააზრებისათვის გეჭიროდება.

საყოველთაო დაფიქრების საგანი უნდა გახდეს, რომ საქართველოზე ტერიტორიულად და ბუნებრივი შესაძლებლობებით ბევრად მცირე შვეიცარიის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან 1980 წელს, ჩვენი გაანგარიშებით შედგენდა - 1,016-ს [16, გ. 244], 1995 წელს - 1,199-ს [იქვე], 2012 წელს - 1,071-ს [18], მაშინ როცა საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს საგანგაშო 0,499-ს შეადგენს [19]. საყურადღებო და მისანიშნებელია, რომ ეკონომიკურად ჯერ კიდევ უძლიერეს ქვეყანაში - აშშ-ში, ამ მხრივ 80-იან წლების დასაწყისის სახარბიელო ტენფენცია 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის არსებითად გაუარესდა [16, გ. 244], მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩინეთში [20], რამაც, ფაქტიურად, განაპირობა ამ ქვეყნის კომპანიების მსოფლიოს უძლიერესი კომპანიების სათავეში მოქცევა [21].

ბამოქმენებული ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. - თბილისი, 2013, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421>
2. ქორელი ა. სასწაულების წყურვილი. - თბილისი, მეცნიერება, 1988.
3. Наука и жизнь, 1972, 10.
4. [http://en.wikipedia.org/wiki/Wonder_\(emotion\)](http://en.wikipedia.org/wiki/Wonder_(emotion))
5. Keltner, D.; Haidt, J. (2003). Approaching awe, a moral, spiritual, and aesthetic emotion. Cognition and Emotion. <http://faculty.virginia.edu/haidtlab/articles/keltner.haidt.2003.approaching-awe.pub028.pdf>

7. ექსპორტისა და იმპორტის რაციონალური სტრუქტურის მართებული ბაზარებისათვის უფლის მიერ მონიჭებული აბსოლუტური და შედარებით უპირატესობების შესაბამისად ანუ ის რესურსები, რაც ქვეყანაში უზვადაა და ხარისხიანობითაც გამოირჩევა, ბუნებრივია მეტად უნდა გადაიდეს ექსპორტზე, მაგრამ, როგორც ნათქვამია, ხელი გააქანე და გეშველებაო, ისევე, იმ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია და მიზანშეწონილი, რომ გადამუშავდეს ადგილზევე უნდა გადავამუშაოთ და მიცვთ დასრულებული პროდუქციისა ან მომსახურების სახე და ისე შევთავაზოთ უცხოელ პარტნიორებს. სმ სახით, ქვეყნის სავალუტო შემოსულობებისა და რეზერვებისათვის საჭირო ექსპორტიც მეტად გაიზრდება და ადგილზეც მეტი ადამიანები დასაქმდება, რაც მრავალ ეკონომიკურ საკითხს გადაწყვეტს.

რაც შეეხება იმპორტს. მართალია, მისი შემოდინებით, ქვეყნიდან ვალუტა გაედინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპორტი არ გეჭიროდება. ყველაფერში ერთნაირად კარგები ვერ ვიქნებით და ის, რაც მწვავედ დეფიციტურია ჩვენში, ბაზარი მყისიერად შეამჩნევს და ასეთი იმპორტი გეჭიროდება. თუმცა, ბაზარს ახასიათებს ალოგიკური მოვლენებიც და თაღლითებიც მრავლად ბუდობენ აქ. ამდენად, სახელმწიფოს კომპეტენტურმა ხელმა, საჭიროა, დაინახოს იმპორტის ის მიმართულებები, რომლებიც ცდილობს მოტყუებით განდევნოს ადგილობრივი მწარმოებელი ბაზრიდან. თანამედროვე საქართველოში, ასეთმა იმპორტმა ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობაც კი საგანგაშდ დაამარცხა. ამასთანავე, ძალზე ყურადსაღებია, რომ ახალი ტექნიკის ცოდნის თვალსაზრისით არაპროფესიონალმა მომხმარებელმა, რომელიც ბაზარზე იმრავლესობას წარმოადგენს, შეიძლება ვერ შეამჩნიოს ის პროგრესული უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც მრავალი წლის შემდეგ გამოიღებს სასურველ შედეგს. ამდენად, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტი სახელმწიფოს უპირველესი ხელშეწყობის საგანი უნდა გახდეს.

6. Ohm's law. - http://en.wikipedia.org/wiki/Ohm%27s_law
7. Georg Ohm. - http://en.wikipedia.org/wiki/George_Ohm
8. Martin Ohm. - http://en.wikipedia.org/wiki/Martin_Ohm
9. Golden ratio. - http://en.wikipedia.org/wiki/Golden_section
10. ლორთქიფანიძე რ. განმარტებები კონკურენციის კანონის, ევროკომისიის ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის სტრატეგიულ საკითხებზე. - ჰტტპ://www.ეკონომიკა.გე/ინდექსი.php?do=definition/view&id=1374%20
11. Lordkipanidze R. We must think for new effective economic system. - The New Economist, 2013, № 1, P. 63-64 (In English).
12. Horizontal Merger Guidelines. - <http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hmg-2010.html>
13. http://en.wikipedia.org/wiki/Albert_Einstein
14. http://www.all-fizika.com/article/index.php?id_article=2152
15. ლორთქიფანიძე რ. მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში. - თბილისი, 2013, ჰტტპ://www.ეკონომიკა.გე/ინდექსი.php?do=definition/view&id=1374%20
16. The State in a changing world. - World development report, Published for the World Bank, Oxford University Press, 1997.
17. Economy of the United States, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_US
18. Economy of Switzerland, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Switzerland
19. Economy of Georgia (country), [http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Georgia_\(country\)](http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Georgia_(country))
20. Economy of China, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_china
21. The World's Biggest Companies. <http://www.forbes.com/sites/scottdecarlo/2013/04/17/the-worlds-biggest-companies-2/>

Manifestation of objective allow in economic practice

Revaz Lordkipanidze

Doctor of sciences (Economics; World economy and international economic relations), full professor of University of Geomedi, academic of Georgian Academy of Economic Sciences

The wonder's nature and manifestations are showed in article and on this base author made conclusion about specific climbing-returned (on more high level) economic cycles, rational (effective) proportion (62/38) in level of economic competition, relativity of prices, global competitiveness and exports-imports.

აფხაზეთის კონფლიქტის შეფასებისთვის – ზოგიერთი იურიდიული ასპექტი



მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

სტატიაში მოცემულია აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობის სამართლებრივი მიზეზები, რა წინაპირობა ჰქონდა ამ ომს და რატომ იყო იგი გარდაუვალი. ასევე მაშინდელი საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარება, ავტორი ომის მიზეზად სწორედ იმ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მიზეზებს ასახელებს, შიდა დაპირისპირება და სამოქალაქო ომი გახდა ის ბერკეტები, რითაც ისარგებლა დაინტერესებულმა მხარემ და დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტი, რომელსაც არ ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული მხარე. ამ კონფლიქტით არცერთ მხარეს არ მიუღია სარგებელი, უფრო მეტიც დღეს ორივე მხარემ ერთად უნდა განახორციელოს რიგი ღონისძიებები, რომ აფხაზეთი თავად აფხაზებმაც არ დაკარგონ, როგორც ცნობილია ისინი თავად წარმოადგენენ დღეს აფხაზეთში უმცირესობას.

ბევრი დაიწერა აფხაზეთის საკითხზე, კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ ალბათ აუცილებელია შევისწავლოთ საკითხი პოლიტიკურ, სამართლებრივ, ისტორიულ და ფსიქოლოგიურ ასპექტში და ამის შემდეგ დავიწყოთ რეალური ნაბიჯების გადადგმა.

ძნელია გააკეთო შეფასება აფხაზეთში 1992-1993 წლებში განვითარებულ მოვლენებზე.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობის როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში ალბათ, ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობა იყო გადაგვეწყვიტა აღნიშნული საკითხი. ეს იყო შესაძლებლობა, როდესაც აფხაზებს და ქართველებს შეეძლოთ გარკვეულწილად დამოუკიდებლად მოელაპარაკებინათ და მიეღწიათ რაღაც შეთანხმებისათვის, მაგრამ არ არსებობდა ამის სურვილი.

ამიტომ არსებობს კითხვები და ამ კითხვებზე გაუცემელი პასუხები. აუცილებელია შეფასება იმ პოლიტიკური მოვლენისა, რომელსაც “აფხაზეთის ომი“ ჰქვია, ზოგადად აფხაზეთის საკითხი, 1992წ. 6 იანვრიდან 1993წ. 30 სექტემბრამდე. საქართველოში არცერთი მოწვევის პარლამენტს არ შეუქმნია საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლიდა აფხაზეთის ომის დაწყების და ამ ომში დამარცხების საკითხებს.

რა იყო საქართველოსთვის ეს ომი, შეცდომა, №3(30), 2013 წელი, year

თუ იძულებითი ნაბიჯი. თუ შეცდომა იყო, რატომ არ ისჯებიან ის პიროვნებები, ვინც ომი დაიწყო. ვინც ნებით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეების (ორივე მხრიდან) გენოციდს აფხაზეთში.

თუ ომი იძულება იყო, ვის მიერ იყო თავსმოხვეული ეს ომი საქართველოსთვის. ვინ შეუკვეთა ომი და ეს შეკვეთა ხომ არ მოდიოდა იმ ინერციით, რაც საქართველოში ომის დაწყებამდე 7-8 თვით ადრე მოხდა, მხედველობაში გვაქვს 1991-1992 წლების სახელწიფო გადატრიალება.

ეჭვგარეშეა, რომ ომის დაწყებას ჰქონდა იურიდიული წინაპირობა. ამ შემთხვევაში საჭიროა განვიხილოთ ის სამართლებრივი მდგომარეობა რომელიც შეიქმნა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. კერძოდ, 1992 წ. თებერვალში სამხედრო საბჭომ გააუქმა საქართველოს მაშინ მოქმედი 1978 წლის (შესწორებული) კონსტიტუცია და გამოაცხადა 1921წ. კონსტიტუციის აღდგენა, რაც შესაძლოა ითქვას აბსოლუტური იურიდიული ნონსესი იყო. ეს განახორციელა ე.წ. სამხედრო საბჭომ კიტოვანის, იოსელიანის და სიგუას შემადგენლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დეკრეტში აღნიშნული იყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი არსებული რეალობის გათვალისწინებით, ამ დოკუმენტს აკლდა ყოველგვარი სამართლებრივი ლეგიტიმაცია.

ახალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

პრაქტიკულად საქართველო იმის გარდა, რომ დარჩა კანონიერი ხელისუფლების გარეშე, დარჩა ძირითადი კანონის გარეშეც, სადაც დაფიქსირებული იყო საქართველოს ტერიტორიული მოწყობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. აღნიშნული ქმედებით შესანიშნავად ისარგებლა ვ. არძინბას ხელისუფლებამ. 1992წ. 23 ივლისს გამოაცხადა 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის ამოქმედება. საფუძველი იყო შემდეგი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 1921 წ. კონსტიტუციაში “საერთოდ არ იყო მითითებული“ (თუმცა მითითებული იყო 107-ე მუხლში, მაგრამ არ იყო განსაზღვრული იურიდიული სტატუსი). შესაბამისად “გაწყდა“ იურიდიული ურთიერთობა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის.

1978წ. კონსტიტუციის გაუქმებით შეიქმნა სამართლებრივი ვაკუუმი. ვინაიდან არ არსებობდა სხვა იურიდიული აქტი გარდა გაუქმებული კონსტიტუციისა, რომელიც მოაწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას და ეს იურიდიულად სწორი მოსაზრებაა. ნურაინ იტყვის, რომ ის კონსტიტუცია უკანონო იყო, ვინაიდან დღესაც მოქმედებს საქართველოში 1984წ. მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სათანადო შესწორებებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო იურიდიული შეცდომა საქართველოს მხრიდან და პრაქტიკულად ომის დასაწყისისათვის მზადება. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ თავად სამხედრო საბჭოს დოკუმენტში იქნა გათვალისწინებული არსებული რეალობა (სტატუსი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, დეკრეტში არსებობდა დათქმა, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი რჩებოდა იგივე რაც განსაზღვრული იყო 1978წ. კონსტიტუციით. ისმის კითხვა რატომ გახდა საჭირო ეს ჩაწერილიყო სამხედრო საბჭოს 1992წ. თებერვლის დეკრეტში? მაშინ როდესაც ის ეწერა კონსტიტუციაში?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ მოვლენების განვითარებაზე დაახლოებით იყო ნაფიქრი, მაშინ რა საჭირო იყო ამ ყველაფრის გაკეთება და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისათვის ასეთი ბერკეტების მიცემა? მითუმეტეს, რომ 1921წ. კონსტიტუციის აღდგენით არ აღდგენილა ამ კონსტიტუციაში მითითებული სახელმწიფო სტრუქტურები და წყობა, მას არ მოჰყოლია სხვა სამართლებრივი შედეგები, გარდა აფხაზეთის სამართლებრივი

პრობლემისა.

1992წ. 12 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, კერძოდ ვ. არძინბამ მიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, სადაც ის აღნიშნავდა, რომ 1921წ. კონსტიტუციის აღდგენით აფხაზეთსა და საქართველოს შორის შეიქმნა იურიდიული ვაკუუმი და საჭირო იყო ამ ორი სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მოწესრიგებულიყო სახელმწიფოებო საფუძველზე. რასაც ქართული მხარის მიერ პასუხი არ მოჰყოლია. უბრალოდ დაიწყო საომარი მოქმედებები, იმ მიზეზით, რომ უნდა დაგვეცვა რკინიგზა.

შესაძლოა გვითხრან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შეეძლოთ ქართულ შეიარაღებულ ძალებს გადაადგილებაო, რა თქმა უნდა, მაგრამ ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც არსებობს რეგულარული ჯარი და კანონიერი ხელისუფლება. 1992წ. 14 აგვისტოს როგორი სამხედრო ფორმირებები გვეყავდა, ალბათ ამაზე კამათი არ ღირს და როგორ დაიცვეს ამ სამხედრო ფორმირებებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზა ესეც არაა საკამათო.

არძინბას ხელისუფლების მხრიდან ეს თითქმის გამოწოვილი საკითხი იყო, რომლითაც ისარგებლა მოცემულ მომენტში. რა თქმა უნდა თითქმის გამოწოვილი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში დგება მეორე საკითხი. რა ორგანო იყო სამხედრო საბჭო, რომელსაც შეეძლო თავისი 1992წ. თებერვლის დეკრეტით გაუქმებინა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია? რამდენად ჰქონდა ამ დეკლარაციას იურიდიული ძალა? იმ შემთხვევაში თუ მივიჩნევთ, რომ არძინბას რეჟიმის მიერ არაკანონიერი იყო 1921წ. კონსტიტუციის აღდგენის შემთხვევაში საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სამართლებრივი ვაკუუმის წარმოშობა.

საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა სამართლებრივ ვაკუუმშია მოქცეული. ფაქტია, რომ სამხედრო საბჭოს აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტებმა წარმოშვეს იურიდიული პრობლემა, რომელმაც ომამდე მიგვიყვანა და სეპარატისტულ რეჟიმს მისცა საშუალება შეექმნა იურიდიული ბაზისი თავისი მოქმედებებისათვის. დღეს მოქმედი კონსტიტუციაც ვერ აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნამდე. 1995წ. კონსტიტუციის მე-2 მუხლი. შესაბამისად დღეს მოქმედი კონსტიტუცია ირიბად აფიქსირებს სამხედრო საბჭოს მიერ 1992წ. დეკრეტით 1978წ. კონსტიტუციის გაუქმებას და გრძელდება საქართველოს კანონმდებლობაში



ის სამართლებრივი ვაკუუმი აფხაზეთთან მიმართებაში, რომელიც ამ დეკრეტის შემდეგ წარმოიშვა, მაშინ, როდესაც 1978წ. კონსტიტუციაში აღნიშნული საკითხი მოგვარებული იყო, ანუ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განსაზღვრული იყო. საუბარი გვაქვს მხოლოდ იურიდიულ ნიუანსებზე და არა ფაქტობრივ მდგომარეობაზე.

აბსოლუტურად გაუგებარია 1992წ. სამხედრო საბჭოს თებერვლის დეკრეტის სამართლებრივი მნიშვნელობა. აღნიშნულმა დეკრეტმა პრაქტიკულად შექმნა იურიდიული მარცხი აფხაზეთთან მიმართებაში, რაც შემდგომში განვითარებული მოვლენების წინაპირობა იყო. ამიტომ არის აუცილებელი 1991-92 წლების, როგორც სამხედრო გადატრიალების, ასევე აფხაზეთის ომის და ამ ომის დაწყების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება.

რატომღაც დღესაც არ არსებობს პოლიტიკური ნება, რათა საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. რამ გამოიწვია აფხაზეთის ომი, რა სამართლებრივი წინამძღვრები ჰქონდა ამ ომს, შეფასდეს თავად ომის პერიოდში განვითარებული მოვლენები, რამ გამოიწვია მარცხი, და რა შეცდომები დაუშვა საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ, რომელმაც საშინელი შედეგი მოიტანა. განხორციელდა ქართველი და აფხაზი ხალხის გენოციდი და ამ ხალხის “სისხლი ცაში ღმერთს შესწუხნუხებს და სამართალს ითხოვს“. ეს სამართალი უნდა დადგინდეს. უნდა დაისაჯოს ყველა ვინც დასასჯელია. უნდა დადგეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც დაუშვა ეს ომი, როგორც იურიდიულად ასევე ფაქტობრივადაც.

აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობაში დიდი დაინტერესება რუსეთს ჰქონდა. შესაბამისად ადვილი სავარაუდო იყო, რომ თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყებოდა საომარი მოქმედებები, რუსეთი კონფლიქტში ჩაურევლობის განცხადებების ფონზე აუცილებლად ჩაერეოდა ამ ომში, რაც განახორციელა კიდევაც. მეტიც ის ფაქტობრივადაც დაფიქსირდა ამ ომში, ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის სახით, ასევე რეგულარული საზღვაო სამხედრო და საავიაციო ძალების სახით. აფხაზეთის ხელში ჩაგდებათ რუსეთი დღესაც აკონტროლებს კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეს და ჩვენს შეცდომას დღესაც წარმატებით იყენებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზ. გამსახურდიას მიერ აფხაზეთის საკითხის მოწეს-

რიგებისათვის მიღებული იყო რიგი ღონისძიებები. კერძოდ 1991წ. ზაფხულში მიღებულ იქნა კომპრომისული კანონი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელზედაც მუშაობდა ცნობილი იურისტი, დოქტორი ლევან ალექსიძე.

მოგვიანებით 1992წ. 6 იანვრიდან აღნიშნულ კანონს ეწოდა „აპარტიდული“ კანონი, თუმცა აღნიშნული კანონით საქართველომ თავიდან აიცილა იმჟამად სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან. ანუ კონფლიქტი დროებით მოწესრიგდა. მითუმეტეს რომ 1989 წელს სახეზე გვქონდა შეიარაღებული დაპირისპირება, სადაც 17 საქართველოს მოქალაქე დაიღუპა, 11 ქართველი 5 აფხაზი და ერთი ბერძენი, ხოლო ოთხსამდე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო.

1991წ. საარჩევნო კანონით აფხაზებს არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებები, ანუ ვერ აგროვებდნენ კვორუმს საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის. დაწყებული სამხედრო გადატრიალებიდან შეცდომები აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში გახშირდა.

გარდა 1992წ. თებერვლის დეკლარაციისა, რომლითაც გაუქმდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, 1992წ. 25 მაისიდან აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დატოვა ქართულმა დეპუტაციამ, რომლებიც 26 კაცის შემადგენლობით იყვნენ უმაღლეს საბჭოში. ეს სხდომა ბოლო სხდომა იყო, რომელსაც ქართველი დეპუტაცია დაესწრო. მოხდა აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაცია, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად და მოხდა მხარეების (აფხაზები და ქართველები) პოზიციების რადიკალური პოლარიზაცია, რასაც მოჰყვა საქართველოს პოლიტიკური კოლაფსი. რატომ განხორციელდა ეს ქმედება დღემდე ბურუსითაა მოცული. რა პოლიტიკური შედეგი მოიტანა ქართული დეპუტაციის მიერ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ბოიკოტმა გაუგებარია, მითუმეტეს რომ სწორედ ქართული დეპუტაციის მიერ უმაღლესი საბჭოს დატოვების შემდეგ მოახერხა არძინბამ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებების მიღება ადადგინა 1925წ. აფხაზეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო საბჭოს მიერ ყველა ნაბიჯი გადაიდგა ომისაკენ და მთელი 7-8 თვის განმავლობაში არავის ჰქონია სურვილი მომხდარიყო მოლაპარაკება, თუნდაც უშედეგო, მაგრამ არ მივსულიყავით ომამდე. ამის სურვილი ნაკლები იყო მაშინდელ სახელმწიფო საბჭოში.

სიტუაცია დაიძაბა როგორც თბილისში, ასევე აფხაზეთში ადგილობრივი ქართველი პოლიტიკური ფიგურების მიერ. მიზეზი ბევრი იყო. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საჭირო იყო დევნილი პრეზიდენტის მომხრე ძალების განეიტრალება, რასაც თბილისშიც და შემდეგ სამეგრელოშიც მოჰყვა ვეზეკაციები.

შეიძლება ითქვას აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა დევნილ პრეზიდენტს. სწორედ ამით უნდა აიხსნას სახელმწიფო საბჭოს და მისი თავმჯდომარის მიერ აფხაზეთის საკითხის აბსოლუტური იგნორირება. ყველაფერი გადაწყდა ვიწრო პოლიტიკური კლანის ინტერესების შესაბამისად. ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობამ მეორე ხარისხოვანი გახადა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ასეთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, სადაც ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ჩვენს დიდ მეზობელს საკმაო სამუშაო ჰქონდა ჩატარებული ათწლეულების განმავლობაში სეპარატიზმის გადავივებისათვის, რაც კარგად ჩანს მათ მიერ დაწერილ პოლიტიკურ-ისტორიულ მასალებში, რომლითაც დღეს სავსეა აფხაზურ-რუსული ინტერნეტ საიტები.

მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ომისათვის მზადება რომ მიმდინარეობდა, და გამორიცხული რომ იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ეს შეიძლება დაეინახოთ მოვლენების შემდეგ ქრონოლოგიაში: სამხედრო გადატრიალების შემდეგ თბილისში დევნილი პრეზიდენტის მხარდამჭერი მასობრივი მიტინგების დახვრება, სამეგრელოში დევნილი პრეზიდენტის მომხრეების მასობრივი განადგურება და ძარცვა, 1992წ. თებერვლის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია 1978წ. კონსტიტუციის გაუქმებაზე და 1921წ. კონსტიტუციის აღდგენა, სამხედრო საბჭოს ძალების გადაადგილება აფხაზეთში 1992წ. თებერვალ-მარტში დევნილი პრეზიდენტის მხარდამჭერების დასასჯელად, 1992წ. მარტი-აპრილის სადამსჯელო ღონისძიებები სამეგრელოში მეორედ, 1992წ. 25 მაისს ქართველი დეპუტაციის მიერ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დატოვება, რომელიც მითითების გარეშე ვერ მოხდებოდა, 1992წ. 14 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს შენაერთების გადაადგილება აფხაზეთში და ომის დაწყება, 1992წ. 15 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე შევარდნაძის გამოსვლა, სადაც ის ამბობს: როგორც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ჩვენ არაფერზე არ შევჩერდებით. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოვკვდეთ თავად, მაგრამ გა-

ვანადგუროთ ყველაფერი, რაც შესაძლოა იყოს ჩვენი სახელმწიფოს გაყოფის მიზეზი.

აი ეს არის ქრონოლოგია მოვლენებისა, რომელმაც აფხაზეთში ომამდე მიგვიყვანა. რამაც გამოიწვია ქართველი ხალხის გენოციდი.

აფხაზეთის ომი დაიწყო საქართველოს მოქალაქეების გადატაკების და უკანასკნელი თანხების წაგლეჯვის ხარჯზე. სიგუას მთავრობამ 1992წ. ივნისში გამოაცხადა უპრეცედენტო საანაბრო პოლიტიკა. როგორც ვიცით, მაშინ საქართველო ისევ მანეთის სივრცეში იმყოფებოდა. საანაბრო პოლიტიკა მდგომარეობდა შემდგომი. თუ შემნახველ ბანკში შეიტანდი 1 მანეთს ერთი წლის შემდეგ 100%-ის დივიდენდს მიიღებდი. 8 მილიარდი მანეთი შევიდა ბანკში. რითაც პრაქტიკულად შევარდნაძის სახელმწიფო საბჭომ ომის დაფინანსება შეძლო. 1993წ. აპრილიდან საქართველოში კუპონის ფულადი ერთეული შემოვიდა ბრუნვაში. ვთვლი, რომ ეს იყო მსოფლიოში ერთერთი უდიდესი სახელმწიფო აფიორა, რომელიც შევარდნაძის მაშინდელმა კლანმა განახორციელა. ერთერთი არაპირდაპირი მტკიცებულებაა იმისი, რომ აფხაზეთში ომის დაწყება წინასწარ გამოიზნული იყო.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობის პოლიტიკურ-დიპლომატიური ფორმატი გულისხმობდა რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლითა და მოლაპარაკებათა პროცესში ცრუ გარანტიების შეთავაზებით საქართველოს დამარცხების დიპლომატიურ-სახელშეკრულებო ბაზისის უზრუნველყოფას (1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმება; 1993 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება; 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება და სხვ.). 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის საწყის ფაზაში აფხაზეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ქართული სამოქალაქო ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. რუსეთის მორჩილი გუდაუთის დაჯგუფების მიერ კონტროლირებადი იყო მხოლოდ გუდაუთა-ახალი ათონის ხაზი და ტყვარჩელის ზონა. იმავე წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და ათასობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა.

1993-94 წლებში დასრულდა ყველა იმ დოკუმენტზე შეთანხმება და მათზე ხელმოწერა, რომლებმაც შექმნეს ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტებს ევალებოდათ სამშვიდობო პროცესის დაცვის გზით არსებული კონფლიქტების მართვა და ტრანსფორმაცია.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამართ-



ლებრივ ბაზას წარმოადგენდა განცხადება „ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც მოსკოვში, 1994 წლის 4 აპრილს მოეწერა ხელი; ასევე ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ. მასაც მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილს მოეწერა ხელი; შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ (მოსკოვი, 1994 წლის 14 მაისი). სამწუხაროდ, პრაქტიკულად, არც ერთი ეს ხელშეკრულება არ შესრულდა, გარდა შეთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1994 წლის 4 აპრილის დოკუმენტის – „განცხადება ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ – ხელმოწერით საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ჟენევის პროცესს“, რაც გულისხმობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი მოლაპარაკებების რეგულარულ წარმართვას.

1994 წლის 22 აგვისტოს, მოსკოვში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ, რომელიც დაეფუძნა აფხაზური მხარის 1994 წლის 15 მაისისა და ქართული მხარის 1994 წლის 16 მაისის თხოვნას – რაც შეიძლება მალე განლაგებულიყო კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა კოლექტიური სამშვიდობო ძალები. ამ გადაწყვეტილებით კონფლიქტის ზონაში უნდა განლაგებულიყო თანამეგობრობის წევრი დაინტერესებული სახელმწიფოების სამხედრო კონტინგენტების 2,5-3 ათასი კაცისაგან შემდგარი კოლექტიური სამშვიდობო ძალები. სამშვიდობო ძალებს უნდა შეესრულებინათ შემდეგი ამოცანები: ცეცხლის შეწყვეტის მკაცრად დაცვის უზრუნველყოფა, მშვიდობის დამყარება და საომარი მოქმედების განახლების თავიდან აცილება; ადგილნაცვალ პირთათვის პირობების შექმნა წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში მათი უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის. მალევე აფხაზეთის კონფლიქტი საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, როგორც ქართველი ერის გენოციდი აფხაზეთში. 1996 წლის 17 აპრილის საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ” ვკითხულობთ: „იზიარებს რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1995 წლის 19 ივლისის, 22 ნოემბრის და 1996 წლის 8 მარტის

გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აფხაზეთში განვითარებული და მიმდინარე მოვლენები შეფასდეს როგორც სეპარატისტთა მიერ რუსეთის ანტიდემოკრატიული რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება, რომელსაც შედეგად ქვეყნის მთლიანობის დარღვევა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის ოკუპაცია, დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბება, ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, სხვა ხალხებისა და მათ შორის აფხაზთა დიდი ნაწილის აფხაზეთიდან განდევნა მოჰყვა”.

ომის დასრულების პირველ წლებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა კონფლიქტის დარეგულირების კუთხით. მარტო 1993-2003 წლებში შეხვედრათა და მიღწეულ შეთანხმებათა რიცხვმა 500-ს გადააჭარბა, თუმცა დინამიკა მკვეთრად შეიცვალა 2003 წლის შემდეგ. საინტერესოა ამ პროცესებში რა როლი შეასრულა „ვარდების რევოლუციამ“, მაგრამ აშკარა და ნათელი ფაქტია რომ ფორმატიც შეიცვალა და დამოკიდებულებაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის მიმართ. ამას დაემატა 2008 წლის სრულიად აბსურდული ომი, რამაც საბოლოოდ დადი დაასვა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, საგარეო პოლიტიკური კურსი აბსოლუტურად შეიცვალა და კონფლიქტის მოგვარება უკვე გაურკვეველი ვადით გადაიდო. თუ 2008 წლამდე გალის რაიონში დაბრუნებულ მოსახლეობას არ ჰქონდა მიმოსვლის პრობლემა, რადგან საზღვარზე მდგარი აფხაზები ძალიან ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ კონფლიქტის ზონის მოსახლეობის მიმართ, 2008 წლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე რომ ეს „აფხაზი“ ჯარისკაცები რუსმა მესაზღვრეებმა ჩაანაცვლეს, რამაც ძალიან გაამკაცრა მიმოსვლა და ზოგადად სოციალური ფონი მთლიანად აფხაზეთში.

აფხაზეთის ლეგალური ეკონომიკა მთლიანად ორიენტირებულია რუსეთზე. აფხაზეთის ბანკებს აქვთ საკორესპოდენტო ანგარიშები რუსეთის საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში, ეკონომიკის არალეგალური სექტორის (ნარკოტრაფიკი, შავი და ფერადი ლითონების უკანონო ვაჭრობა, ძვირფასმურქნიანი ხეები და სხვა) არსებითი შემცირება ვერ ხერხდება და ამის ერთ-ერთი მიზ-

სახალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეზია ისაა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ მოვიდა, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს წინა ხელისუფლების არსებული გავლენის ნიველირებას. აფხაზეთის ახლად არჩეული ხელისუფლების მხრიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება განაპირობა ბლავატინის მიერ არჩევნებში მიცემულმა პირობამ – უარი ეთქვა სახელმწიფო ქონების ხელახალი ინვენტარიზაციის თაობაზე. აღნიშნული პროცესი რომ დაწყებულიყო, აუცილებლად გამოვლინდებოდა „რუხი“ და „შავი“ საპრივატიზაციო ხელშეკრულებები და, ამავდროულად, ნახევრად ლეგალური რუსული კაპიტალდაბანდებები და ინვესტიციები აფხაზეთის ეკონომიკაში. შედეგი ამ პოლიტიკისა აშკარად გამოვლინდა ცოტა ხანში, რუსეთში ვიზიტისას „გულის ინფარქტით“ გარდაიცვალა სერგეი ბლავატინი.

აფხაზეთის კონფლიქტში, დატრიალებულ ტრაგედიაში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაციაში გარკვეული უარყოფითი როლი შეასრულა ბევრმა ქართველმაც და სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებმაც, რომელთა წინდაუხედავმა და დანაშაულებრივმა ქმედებებმა ხელყო ჩვენი არა ერთი თანამემულის ღირსებაც და სიცოცხლაც, დაეხმარა და დღესაც ეხმარება სეპარატისტებს ანტისახელმწიფოებრივი მოღალატური ზრახვების განხორციელებაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა გრძელდება მოქმედებათა შეწყვეტის შემდგომაც, განსაკუთრებით გალის რაიონში, სადაც 1993 წლის სექტემბრის შემდეგ დაიღუპა 2000 - ზე მეტი ადამიანი. ფართო მასშტაბი აქვს მიღებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას. მიუხედავად ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა, რომლებიც მიმდინარეობდა აფხაზეთში კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რუსეთის შუამავლობით, მთელი რიგი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა კომპრომისის მიღწევა ასეულ ათასობით ლტოლვილის საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხებში. სეპარატისტული რეჟიმი ყველა საშუალებებით ქმნის დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სტრუქტურებსა და ატრიბუტებს, ამახინჯებს ისტორიას, ამკვიდრებს კაცთმოძულე რასისტულ იდეოლოგიას.

დღეს 20 წლის შემდეგ კიდევ პასუხაუცემელი რჩება მთავარი კითხვა რატომ და რისთვის? ვალდებული ვართ სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს, რადგან სწორედ ორპირობამ და სიცრუემ მიიყვანა ჩვენი ხალხები სამარცხვინო დაპირისპირებამდე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამ სამარცხვინო დაპირისპირებაში არაფერ შუაში არაა არც ქართველი და არც აფხაზი ხალხი და ომის შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ეს შარი ქართველ და აფხაზ ხალხს თავზე მოახვია გარეშე ძალამ. მსხვერპლი მართლაც დიდი იყო და ბევრმა ადამიანმა პპოვა სამუდამო განსასვენებელი ჭუბურის უღელტეხილის უღრან ტყეებში, მაგრამ ქართველმა ხალხი მაინც დროზე მოეგო გონს და ეს უბედურება აფხაზეთისათვის არ დაუბრალდება! იქნებ აფხაზებიც დაფიქრდნენ იმაზე, რომ ეს ომი გახლდათ არა ჩვენი ხალხების ნების გამოხატულება, არამედ მტრული ძალების მიერ წლების განმავლობაში მომზადებული ბინძური პროვოკაცია.

როცა ვლაპარაკობთ აფხაზების გამარჯვებაზე საქართველოს წინააღმდეგ ატეხილ ომში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზები და ქართველები ყოველთვის ერთად იმარჯვებდნენ მტერზე, ცალცალკე კი ჩვენ ყოველთვის იოლად გადასაყლაპი ლუკმა ვიყავით მტრისათვის. იმ სამარცხვინო ძმათამკვლელ ომში კი საქართველოს ებრძოდა ლამის ნახევარი საბჭოთა კავშირი: ვიღაც მოხალისეები, კაზაკები, სომხები, ბალტიისპირელები, ჩრდილოეთკავკასიელები და სხვები (რომლებიც შემდეგ თავისტკივილად ექცნენ თავად რუსეთს), რასაც ქართველმა სამხედროებმა თითქმის ცამეტ თვეზე მეტი ჟამი გაუძლეს, და რომ არა შევარდნაძის ღალატი, რომელმა გადამწყვეტ ჟამს განაიარაღა ქართული სამხედრო შენაერთები, არავინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს სამარცხვინო ომი. ხალხი არაფერ შუაშია, ორივე ხალხი ბინძური პოლიტიკის მსხვერპლია. ჩვენ ახლა ერთმანეთის სალანძღად და ჯვარზე გასაკრავად არ გვცალია. მომავალი მოითხოვს, რომ მრავალ შეკითხვას ერთობლივად გავცეთ პასუხი. ხომ არ დაფიქრდეთ იმაზე, თუ ვინ იფშვნეტდა ხელს სიამოვნებით მაშინ, როცა აფხაზები და ქართველები დაუნდობლად ეჩხედით ერთმანეთს? ნუთუ მართლა ისე გვეზიზღება ერთმანეთი, რომ ვიღაც ბოროტი ძალების ნების ბრმა შემსრულებლებად ვიქცეთ და კვლავაც იმ პოზაში ვრჩებით?

იქნებ იმან მაინც დაგვაინტერესოს, თუ ვინ დარჩა მოგებული ამ ომში, რადგან ფაქტია, რომ მოგებულები არც აფხაზები დარჩენილან და არც ქართველები... ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ

ამ ომში ყველაზე ყველაზე მეტი სარგებელი იმ სომხებმა ნახეს, რომელთა რიცხვი ომამდელ აფხაზეთში 16 ათასი იყო, ახლა კი 80 ათასი არიან? მიმდინარე ეტაპზე მთავარი ის კი არ არის, რომ აფხაზეთი საქართველოს წაართვეს, მთავარი ისაა,

რომ აფხაზეთი აფხაზებს არ წაართვან! სწორედ ეს უნდა იყოს დღეს ჩვენი ერთობლივი საზრუნავი და ვფიქრობთ, ვის არ აძლევს ხელს ქართველების ღირსეულად დაბრუნება აფხაზეთს საქართველოსში და ჩვენი ურთიერთობების აღდგენა!

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. გია ნოდია, კონფლიქტი აფხაზეთში – მიზეზები და გააზრება. თბ. 1999
2. ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი. თბ., 1999
3. 1996 წლის 17 აპრილის საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“.
4. ტარიელ ფუტყარაძე კონფლიქტი აფხაზეთში როგორ ხორციელდება თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ და კვლავ კავკასიის ფედერაცია?
5. http://www.c-r.org/sites/c-r.org/files/Georgian-Abkhaz_PPP_Geo.pdf

Legal aspects of evaluation of Abkhazia’s conflict

Marina Izoria
 Doctor of Social Sciences, Professor

The article describes the origins of the legal reasons, which were a pre-requisite for the war and why it was inevitable. Beside that it also describes the internal political situation of that time. Author states that the reasons of the war in Georgia was internal conflict and civil war of that period which the interested party took advantage of and staged the conflict in Abkhazia that has no winner and loser side. None of the parties in the conflict received any benefit; moreover the two sides have to take actions together in order to preserve Abkhazia for Abkhazians, as it is well known that they are a minority at present.

ქართველების საზრუნავია



თამაზ იმედაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

20 წელი გავიდა იმ ტრაგიკული შიდა საქვეწო
ომიდან, რამაც საქართველოს მისი უმშვენიერესი,
განუმეორებელი კლიმატური და ადგილმდებარე-
ობის, შავიზღვისპირეთის სანაპიროს მარგალიტი
აფხაზეთი ჩამოაშორა. აფხაზეთი და სამაჩაბლო
- ეს ქართველებისთვის საერთო ტკივილია, საზ-
რუნავი და აუცილებლად გადასატრელები პრობლე-
მაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ერთიანი,
დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს
არსებობა.

მახსენდება XX საუკუნის 60-იანი წლები.
საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ
მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისიდან სოხუმში
გადაეტანათ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინ-
სტიტუტი და მას დაარქმეოდა საქართველოს სუბ-
ტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. მე მაშინ
ახალგაზრდა კურსდამთავრებული შეთავსებით
ამავე ინსტიტუტში ლექტორის თანამდებობაზე
ვმუშაობდი. ამ გადაწყვეტილებამ - ინსტიტუ-
ტის ქუთაისიდან სოხუმში გადატანამ დიდი
გულისწყრომა გამოიწვია ქუთაისისა და მთელი
იმერეთის მოსახლეობაში, რადგან ინსტიტუტის
კონტინგენტის ძირითადი ბირთვი ამ რეგიონიდან
იყო დაკომპლექტებული. რაც შეეხება აფხაზეთის
მთავრობას, ისინი დიდი გულისყურით მოეკიდ-
ნენ ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ
საქმეს. ინსტიტუტის თანამშრომლებთან შეხ-
ვედრების დროს ისინი ოპერატიულად წვეტდ-
ნენ საყოფაცხოვრებო და ნორმალური სამუშაო
პირობების შექმნის საკითხებს. ამ ინსტიტუტში
იმ დროს მუშაობდა აგრარული და ტექნიკური
მეცნიერებათა 17 დოქტორი და მეცნიერებათა
III კანდიდატი. საკანდიდატო დისერტაციების
დასაცავად ინსტიტუტში ფუნქციონირებდა ორი
სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭო.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო იმდროინდე-
ლი აფხაზი ხელმძღვანელების: მიხეილ ბგაუბას,

დამიანე გოგოხიას, ლორიკ მარშანიას, ასტიკო
გვარამიას, კოტე სიჭინავას, ლარისა რაგაჩოვას,
სუმბათ სააკიანის, გერმანე ფაცაციას, გალაქტიონ
ნაჭყეობას, დავით გვამ აბიას, გია გვაზავას, ლადო
ცომაიას და სხვათა დიდი ყურადღე ბა და დახ-
მარება. ასევე ამ ინსტიტუტის პროფესორების:
ხუტა საბახტარაშვილის, იური ნორაკიძის, შამილ
ცხვედიანის, დავით დევდარიანის და სხვათა
შესახებ. ინსტიტუტში დაიწყო სისხლსავსე, ახალ-
გაზრდული, მეგობრული, საინტერესო ცხოვრება.
ინსტიტუტის მეცნიერული კოლექტივების მიერ
მუშავდებოდა და წარმოებდა ეგზავნებოდა მრავ-
ალი სახის მეცნიერულად დასაბუთებული ტე-
ქნიკური რეკომენდაციები. ახალგაზრდა თაობა
უფროსი თაობის მიერ დაწყებულ შრომით საქმი-
ანობას დიდი რუდუნებით ღირსეულად აგრძელ-
ებდა. ამ პერიოდში აფხაზეთში საქართველოს
კვების მრეწველობის სამინისტროს მიერ დაიწყო
და უმოკლეს ვადაში აშენდა ბაბუშერას თამ-
ბაქოს უდიდესი ფაბრიკა, რომელიც ადგილობრივი
უნიკალური სამსუნგის ჯიშის თამბაქოს ბაზაზე
საექსპორტო პროდუქცია სიგარეტ „მაღბოროს“
და სხვა სახეობის თამბაქოს ნაწარმს ამზადებდა.
გუდაუთაში აშენდა თამბაქოს საშრობი ახალი
ფაბრიკა. შეიძლება სხვა მაგალითების მოყ-
ვანაც, სამაჩაბლოში ქ. ცხინვალში აშენებული
იქნა თანამედროვე ტექნოლოგიით და ტექნიკით
აღჭურვილი ახალი ლუდის ქარხანა, რომელიც
უშვებდა ტრადიციული ოსური ლუდის საუკეთე-
სო პროდუქციას, როგორც საკუთარი მომხმარებე-
ლთვის, ასევე საექსპორტოდაც.

მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს ის ფაქტი, რომ
ამ მოვლენების განხორციელებაში როგორც
საქართველოს კვების მრეწველობის მაშინდელ
ხელმძღვანელს ჩემი მოკრძალებული წვლილი
მაქვს შეტანილი.

სამწუხაროდ ყველაფერი შეცვალა აფხაზეთში



1992 წელს დაწესებულმა დანაშაულებრივმა ომმა, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დაიწყო: თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა.

ამ ბარბაროსულმა ომმა მრავალი ქართველი და აფხაზი შეიწირა, რომელთა შორის არ შეიძლება დიდი გულისტკივილით არ მოვიხსენიო საქართველოს ეროვნული გმირი, ჩემი ახლო მეგობარი ჟიული შარტავა, გურამ კოკაია, ვოვა ვეკუა, საშა იოსელიანი, გენო ადამია, ლევან აბაშიძე და სხვები, მათ შორის ჩემი ოჯახის ახლო ნათესავები და მეგობრები, რომელთა გვარები თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ მემორიალზე არის ამოკვეთილი...

ქართულ მიწაზე დღეს სამად გაყოფილი საქართველო აუცილებლად უნდა გაერთიანდეს, ეკონომიკურად გაძლიერდეს, მოსახლეობას უნდა მიეცეს შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები, უნდა გახდეს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო, მიმზიდველი ყველა ქვეყნისთვის, საქართველოს ხომ მსოფლიოს 209 სახელმწიფოს შორის ტერიტორიით ასმეცამეტე ადგილი უჭირავს, მისი ფართობი 69,7 ათას კვადრატული კილომეტრია, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი მთაგორიანია, მკვეთრი ვერტიკალური ზონალობით. საერთოდ საქართველოს უკავია იმდენი ფართობი, რამდენიც ბენილუქსის ქვეყნებს: ბელგიას, ნიდერლანდებს და ლუქსემბურგს ერთად აღებულს. რაც შეეხება აფხაზეთს, იგი ხასიათდება თბილი და ტენიანი სუბტროპიკული ჰავით, შესანიშნავი ადგილმდებარეობით. დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „...ამიერკავკასიის ჰავისა და მიწის სიკეთითა შესაძლებელია თითქმის მოყვანა ყველაფრისა, რაც კი რამ იზრდება მოდის და ხარობს დედამიწის ზურგზე“. ეს სიტყვები სრულიად შეესაბამება მზიურ აფხაზეთს. თანაც დიდი ილია გვაფრთხილებდა: „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშ დამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწვევტს, ხსენება ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივმართეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავაყენეთ“.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებიდან 20 წელი გავიდა, მაგრამ ძირითადი

პრობლემები დღესაც მოუგვარებელია. დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება, დევნილთა ნორმალური საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების შექმნა, მათ მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში არასათანადო ყურადღების გამოჩენა და სხვა.

შექმნილმა რეალურმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ძირითადი საკვანძო საკითხების უსწრაფესად გადაწყვეტა. შედეგები: დღეს, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქუთაისში ფუნქციონირებს, ასევე დამოუკიდებლად აგრძელებს თავის საქმეს ქ. თბილისში სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისიდან მაუწყებლობს აფხაზეთის ტელევიზიისა და რადიოს არხები „აფხაზეთის ხმა“, აქვე აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი, სადაც მოღვაწეობენ შესანიშნავი მსახიობები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: დიმა ჯაიანი და ვიქტორ ნინიძე, ასევე სხვა ბევრი ნიჭიერი მსახიობი. აღსანიშნავია, ამ თეატრის მიერ განხორციელებული დადგმები, გურამ ოდიშარიას პიესა: „ზღვა, რომელიც შორია“, „ბოშები“ და სხვა. თბილისში ეწვეიან მოღვაწეობას ცნობილი აფხაზი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები: ვახტანგ ყოლბაია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი გენო კალანდია, გია გვაზავა, ალექსანდრე მოსკალენკო, კოტე კუჭუხიძე, გურამ ესაკია, რაფიელ გელანტია, დავით გვაძაბია, ადა მარშანია, ვასილი კადენეცი, ლონდერ ცაავა, გერმანე ფაცაცია და სხვები. მათი იმედიანი განწყობა და დიდი ოპტიმიზმი, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი აუცილებლად ღირსეულად დაბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ მხარეში.

ქართველი ხალხის დიდი ტკივილია 2008 წლის აგვისტოს თვეში დაწყებული უაზრო და დანაშაულებრივი ომი ოსეთში, რომლის შედეგად დაიკარგა სამანახლოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, დევნილი გახდა ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც დღეს ომის დაწყებიდან ხუთი წლის შემდეგაც შევლას ითხოვს.

ამ მდგომარეობაში აფხაზი და ოსი ხალხის ყოფნა შეუძლებელია, არ უნდა მოხდეს ამ ხალხების გაფანტვა სხვადასხვა ქვეყნებში, ისინი აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ საქართველოს შემადგენლობაში, რაც აუცილებელია მომავალში მათი ეროვნებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

შეიძლება თამამად ითქვას ქართველი მართლმადიდებელი ეკლესია ნაყოფიერ მუშაობას ეწე-

ევა აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლისათვის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების დადებითად გადაწყვეტისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახლახან ქ. მოსკოვში დამთავრებულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ვიზიტს, სადაც ის შეხვდა რუსეთის უმაღლეს სასულიერო პირებს, ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. დაისახა ღონისძიებები დევნილთა აფხაზეთში ეტაპობრივად დაბრუნების შესახებ.

ჩვენი აზრით დაუხანებლად უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ჩვენს მეზობელ რუსეთთან, უნდა აღდგეს უძველესი ტრადიცია ხალხთა შორის მეგობრობისა, როგორც ამბობენ „მეგობრობა - ხომ გონიერ კაცთა ღამაში შეჯიბრია, იგი უფლისგან კურთხეული მირონცხებული გრძნობაა, იგი საერთო მიზნისკენ სწრაფვაა, მეგობრობა ნიჭია, რომელიც ადამიანებს გააჩნია, საჭიროა მისი ფართოდ გამოყენება” მაცხოვარი ბრძანებს: „შეიყვარე მტერი შენი”, ხოლო პაისი ათონელი გვასწავლის - „ემსგავსე ფუტკარს, რომელიც მხოლოდ ყვავილებს ხედავს და აგროვებს სიტკბოს თავისთვის და არა ბუზს, რომელიც ნაგავსა და ათასგვარ სიბინძურეს ეძებს და იმით იკვებება”.

მისასაღმებელია თუ დაიწყება ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი თაოსნობა „სახალხო დიპლომატიის” დაწყების თაობაზე. ამ საქმეში აქტიურად ჩაებმევა საქართველოს მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, პენსიონერები, თავად ღტოლვილები, ყველა ყველა ქართველი.

დიდი საქმე ითავა ჩვენმა გაზეთმა „საქართველოს დედაქალაქმა”, მისმა მთავარმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე კუჭუხიძემ. ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებზე აქტუალური საინტერესო სტატიები, მიმდინარეობს პაექრობანი ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა

შერიგებაზე, საქართველოს ცის ქვეშ მცხოვრებთა ერთიანობაზე, ერთსულოვნებაზე.

ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, 2012 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული ისტორიული მნიშვნელობის საპარლამენტო არჩევნები. ხელისუფლებაში მოვიდა ახალი კადრები, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თავი იჩინა გარკვეულმა დადებითმა ტენდენციამ, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნის ახალი მთავრობა, მთელი შეგნებული მოსახლეობა, მეცნიერ-ტექნიკური და კულტურული ინტელიგენციის შრომითი პოტენციალის ერთიანი ძალისხმევით უახლოეს დროში შესაძლებელი გახდება, ქვეყნის შიდა რესურსების რაციონალური გამოყენებით, მივაღწიოთ სახელმწიფო უსაფრთხოების იმ ოპტიმალურ ზღვარს, საიდანაც რეალური პერსპექტივები უნდა დაისახოს ყველა სახის ეკონომიკური ბერკეტის სტაბილური ფუნქციონირებისათვის. „ამ ბოლო პერიოდში, აფხაზეთში გავრცელდა მოსაზრებანი, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ურთიერთობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ამის საბაზი გახდა 18 ივლისს გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლცეში” გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ეხება რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის გაუარესებას” .

დაბოლოს, საზოგადოების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ქვეყანაში ნამდვილი სამართლიანობის და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის, ეროვნული მდიდარი ტრადიციების აღდგენისათვის მთავარია მივაღწიოთ ჩვენი ძმური ხალხების აფხაზებისა და ოსების საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებას, რითაც კიდევ უფრო ძლიერი და სამართლიანი იქნება ამ ხალხების ცხოვრება, მათი აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის, რომ მან დაიკავოს თავის კუთვნილი ღირსეული ადგილი ევროპის ხალხთა ძმურ ოჯახში.



Модели и стратегии участия стран в интернационализации трансфера технологий (на примере Республики Беларусь)



Алексей Данильченко
д.э.н., профессор, проректор БГУ,
г. Минск



Елена Бертош
старший преподаватель Барановичского
государственного университета,
г. Барановичи

Статья посвящена изучению современного этапа развития экономических отношений связанных с международным трансфером технологий. Рассматриваются современные тенденции присущие указанному процессу, анализируются характерные черты моделей международного трансфера технологий стран, на основе которых предлагается направления совершенствования модели участия Республики Беларусь в международном технологическом обмене.

На рубеже веков экономический потенциал всех стран определялся существенным ростом роли науки и техники в общественном производстве, что явилось объективной причиной развития в мировой экономике такого качественно нового явления, как международный трансфер технологий. Объем мирового экспорта технологий в первом десятилетии XXI века находился на уровне 7 % экспорта услуг и характеризовался более высокими темпами роста (10 %) по сравнению с величиной экспорта услуг в мире (8 %) [18, 19]. Преимущественно развитые индустриальные и отдельные развивающиеся страны активно участвуют в международном трансфере технологий, так как именно качество применяемых технологий выступает одним из основных факторов, влияющих на уровень их экономического развития. В отличие от стран с переходной экономикой они занимают лидирующие позиции на мировом рынке и по объему потребляемых иностранных результатов научно-технической деятельности и величине экспортных технологических поступлений, которые составляют значительную долю в структуре платежного баланса стран. В связи с этим для стран с переходной экономикой особую актуальность приобретает необходимость активного включения в процесс международного трансфера технологий.

В современных условиях международный

трансфер технологий рассматривается как один из важных факторов инновационного развития стран с транзитивной экономикой, поэтому научный и практический интерес вызывают вопросы развития теоретических основ интернационализации трансфера технологий, изучения его особенностей и тенденций развития, и на их основе выработка рекомендаций по включению страны в международный рынок технологий.

Разработкой различных проблем трансфера технологий на международном уровне занимается широкий круг исследователей. В белорусской экономической науке изучению отдельных аспектов трансфера технологий посвящали свои работы Е.Л. Давыденко [1], А.В. Данильченко [2], М.В. Мясникович [5], Л.Н. Нехорошева [6], П.Г. Никитенко [7], Е.Н. Петрушкевич [8], В.М. Руденков [10], В.Н. Шимов [12], Г.А. Шмарловская [13] и др. В зарубежной науке особо авторитетными являются исследования Р. Вернона [21], Дж. Даннинга [15], К. Коджимы [16], Т. Озавы [17], М. Портера [9], а также экспертов Конференции ООН по торговле и развитию (ЮНКТАД).

В данных теоретических и эмпирических исследованиях международный трансфер технологий рассматривается на различных структурных уровнях национальной и мировой экономики, преимущественно в сферу анализ попадают

Развитых индустриальные страны и перспективные развивающиеся страны. При этом ощущается недостаток исследований, посвященным странам с транзитивной экономикой с их специфическими проблемами. Этим обуславливается необходимость разработки универсального теоретического подхода к международному трансферу технологий, базирующегося на интеграции знаний о нем на микро-, мезо-, и макроуровнях и учитывающего характерные особенности участия различных стран мира в международном технологическом обмене.

В результате синтеза отдельных теоретических концепций на микроуровне (теории избыточных технологий, внутрифирменных рестрикций, монополистической конкуренции и несовершенства рынка и др.), на мезоуровне (теории международного жизненного цикла продуктов и технологий, догоняющего развития, международной фрагментации и аутсорсинга и др.) и на макроуровне (теория конкурентных преимуществ нации и эклектическая парадигма) с учетом требований системного и ситуационного анализа может быть сформулирован универсальный подход к международному трансферу технологий. Разработанный подход включает в себя индивидуальные мотивы компаний и условия институционально-экономической среды стран для интернационализации трансфера технологий.

Индивидуальные мотивы представляют собой совокупность побудительных причин, формирующих технологическую стратегию компании, необходимых для развития процесса интернационализации трансфера технологических пакетов. В ходе интернационализации трансфера технологий на

индивидуальные мотивы компаний влияют их отраслевые особенности и другие специфические факторы, стадия жизненного цикла технологий и их вид, особый механизм определения их стоимости и ценообразования, интенсивность рыночного соперничества, наличие кросс-культурных сходств и/или различий между фирмами, их географическая близость, а также величина технологического разрыва между ними.

Институционально-экономическая среда представляет собой совокупность условий и предпосылок, необходимых для развития и интенсификации международного трансфера технологий в стране. В состав институционально-экономической среды входят: экономические условия, отражающие, прежде всего, качество человеческого и научно-технического потенциала и состояние рынка; институциональные условия, определяющие развитость экономических институтов.

Настоящий этап развития экономических отношений, связанных с международным трансфером технологий, характеризуется многообразием видов передаваемых технологии и большим числом мотивов и каналов их трансграничного трансфера. В современных международных экономических отношениях достаточно сложно выявить «чистую» форму трансфера технологий. Зачастую происходит трансфер технологического пакета, в состав которого могут входить: передовой опыт и знания, носителями которых являются высококвалифицированные специалисты, объекты интеллектуальной собственности (ОИС), продукция и услуги различной наукоемкости (см. рисунок).




Рисунок - Состав технологического пакета



Учитывая сложную структуру технологического пакета и характер складывающихся экономических отношений между странами и фирмами, в данной статье под международным трансфером технологий будем понимать комплекс долго-, средне- и краткосрочных взаимовыгодных, партнерских экономических отношений между хозяйствующими субъектами разной национальной принадлежности по поводу трансфера технологического пакета на основе рыночного либо внутрифирменного взаимодействия исходя из их экономических интересов и интенсивности соперничества на зарубежных рынках.

Как показывает мировая практика, международный трансфер технологических пакетов осуществляется зависимыми и независимыми субъектами, среди которых транснациональные компании (ТНК) занимают ведущие позиции. ТНК осуществляют трансграничное движение технологий между аффилированными компаниями посредством прямых иностранных инвестиции (ПИИ) для формирования внутрифирменной сети.

Вместе с тем, разделяя мнение экспертов ЮНКТАД, под прямым каналом международного трансфера технологического пакета, помимо ПИИ, понимаются договорные отношения, не связанные с участием в капитале, проявляющиеся в неакционерных формах организации международного производства (в виде подрядного промышленного производства, оказания аутсорсинговых услуг, заключения управленческих, лицензионных и франчайзинговых контрактов). В свою очередь организация международного трансфера технологического пакета через договорные отношения, не связанные с участием в капитале, позволяет субъектам стран-реципиентов интегрироваться в глобальные производственные цепочки ТНК страны-донора. При малых объемах ПИИ, поступающих в экономику страны, чрезвычайно актуальным является формирование неакционерных форм участия в капитале, так как это формирует у «ТНК имманентные стимулы для инвестирования в поддержание жизнеспособности своих партнеров в рамках распространения знаний, технологий и навыков» [3, с. 24].

Прямой канал трансфера между независимыми компаниями проявляется при заключении соглашений по поводу купли-продажи технологического пакета, которые могут включать: лицензионное соглашение о передаче прав на ОИС либо полной уступки прав на ОИС; сделки по купле-продаже товаров и услуг различной наукоемкости, а также информационный обмен о направлениях научно-технического развития и налаживания научно-технического сотрудничества.

В свою очередь прямой канал трансфера в последующем способствуют развитию косвенного канала трансфера технологических пакетов,

проявляющегося при внутрифирменных и рыночных отношениях: 1) в информационном обмене о существующих технологических пакетах между компаниями различных стран; 2) взаимодействии трудовых ресурсов, обладающих производственным, управленческим опытом и знаниями по адаптации технологического пакета в рамках аффилированных и независимых компаний нескольких стран; 3) взаимосвязях ТНК и независимых компаний страны-донора с местными поставщиками товаров и услуг страны-реципиента с целью передачи опыта и знаний по организации эффективной системы поставок товаров и услуг, менеджмента качества и управления фирмой и другого для адаптации технологического пакета к местным условиям.

Многообразие каналов международного трансфера технологических пакетов позволило его субъектам активно использовать иностранные результаты научно-технической деятельности, что проявляется в отрицательном внешнеторговом сальдо по ОИС (6,4 млрд дол. США). Между тем, мировой объем экспортных поступлений от ОИС развитых стран составляет 97,4 % от общего его значения, а импортных платежей – 75,9 %, хотя страны Европейского Союза имеют отрицательное сальдо по данному показателю, но на протяжении последних 50 лет занимают ведущие позиции в мировом рейтинге экспортеров и импортеров ОИС. Для развивающихся стран и стран с переходной экономикой характерно отрицательное внешнеторговое сальдо по статье роялти и лицензионные платежи, однако темп прироста объема экспортных поступлений от ОИС за 2000–2009 гг. для азиатских стран составил 10 %, стран СНГ – 21 %, в то время как Северной Америки – 8 %, европейских стран – 15 %, что свидетельствует о повышении доли на мировом рынке технологий развивающихся стран и стран с переходной экономикой [18, 19].

На основе пересчета данных официальной статистики установлено, что на мировом рынке технологий наблюдается постепенное перераспределение потоков высокотехнологичного экспорта в пользу развивающихся стран, причем значение данного показателя ежегодно увеличивается. В свою очередь высокие темпы прироста высокотехнологичного экспорта могут быть обоснованы присутствием на внутреннем рынке стран аффилированных структур ТНК, образующих глобальные, региональные цепочки добавленной стоимости и международные производственные сети. В результате чего происходит достаточно активный рост в мировом масштабе стоимостного объема операций не связанных с участием в капитале. Причем, в 2010 г. было заключено договоров на сумму свыше 2 трлн. долл., в которых основными исполнителями являлись развивающиеся и страны с переходной

ეკონომიკით. Наибольшее распространение в мире получили подрядное промышленное производство и аутсорсинг услуг, на которые приходилось 1,1–1,3 трлн. долл. (65 % от стоимости всех операций), выполняемые в основном в развивающихся и странах с переходной экономикой, так как 80 % работников занятых данными видами деятельности приходится на указанные страны [3].

В результате в ходе международного трансфера технологий происходит постепенный переход от простейших форм трансфера технологий к комплексным технологическим пакетам, набор которых зависит от уровня технологического развития субъекта страны-донора и реципиента. При близком уровне технологического развития происходит трансфер минимального технологического пакета, проявляющийся в реализации некоммерческих форм трансфера технологий, договоров полной уступки прав на ОИС и (или) лицензионных соглашений на их использование, а также сделок по купле-продаже продукции, услуг различной наукоемкости.

В случае большого технологического разрыва между субъектами осуществляется трансфер максимального технологического пакета, предполагающий не

только применение некоммерческих форм трансфера технологий, заключение договоров по поводу ОИС, но и подбор и обучение персонала для адаптации технологического пакета к условиям страны-реципиента, закупку продукции, услуг различной наукоемкости у компаний страны-донора, приобретение товаров и услуг у поставщиков страны-реципиента для организации непрерывного процесса производства, организуемого с учетом иностранных знаний, опыта, ОИС, оказание специалистами компаний страны-донора систематической консультационной помощи в вопросах внедрения и использования опыта, знаний и ОИС специалистам компаний страны-реципиента [14, 15, 16, 20].

Таким образом, выявленные тенденции развития международного трансфера технологий в первой половине XXI в. нашли свое отражение в технологических стратегиях субъектов мировой экономики, которые в обобщенном виде представлены в табличной форме как разнообразные модели трансфера технологических пакетов развитых стран и стран с развивающейся и трансформационной экономикой (см. таблицу).

Таблица – Сравнительные характеристики моделей международного трансфера технологических пакетов

Модели развитых стран		Модель развивающихся и стран с переходной экономикой
североамериканская	японская	
максимальный технологический пакет, находящийся на первоначальных этапах жизненного цикла;	минимальный технологический пакет, находящийся на стадии зрелости или упадка жизненного цикла;	технологические пакеты, находящиеся на различных этапах жизненного цикла;
трансфер в страны не зависимо от их географического расположения с кросскультурными сходствами и различиями, имеющие различный уровень технологического развития;	трансфер преимущественно в географически близкие страны с кросскультурными сходствами, с которыми наблюдается минимальный технологический разрыв;	трансфер в страны не зависимо от их географического расположения с кросскультурными сходствами и различиями, имеющие различный уровень технологического развития;
трансфер в различные отрасли при условии патентования ОИС на местном рынке и создание 100 % филиала в стране-реципиенте;	трансфер в основном в обрабатывающие отрасли и создание совместных предприятий в стране-реципиенте;	трансфер в различные отрасли за счет реализации инвакционерных форм участия в капитале и создание компаний различных организационно-правовых форм;
применение в ходе трансфера поглощающей и индивидуальной конкурентной стратегии на мировом рынке технологий;	применение в ходе трансфера наступательной и индивидуальной конкурентной стратегии на мировом рынке технологий;	применение в ходе трансфера наступательной и индивидуальной конкурентной стратегии на мировом рынке технологий;
использование принципов рыночного и внутрифирменного ценообразования технологического пакета;	использование преимущественно основ рыночного ценообразования технологического пакета;	использование основ рыночного ценообразования технологического пакета;
стратегическая цель – получение максимальной прибыли.	стратегическая цель – увеличение объемов экспорта.	стратегическая цель – включение компаний стран в глобальные производственно-сбытовые цепочки ТНК.



ევროკავშირის ფუნქციონირების წესის შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლში საუბარია აკრძალულ ქმედებებზე, რომლებიც „აბრკოლებენ ან ზღუდავენ კონკურენციას ბაზარზე“.1 შესაბამისად ამ სამართლებრივი ნორმით დაცულ სიკეთეს სწორედ ბაზარზე არსებული კონკურენცია წარმოადგენს. როცა ვსაუბრობთ სამართლის ამ დარგის ფუნქციაზე, უპირაჩი იქნებოდა, მოგვეხდინა მისით დაცული სიკეთის ანუ კონკურენციის ფუნქციების იდენტიფიცირება რაც ნათელ წარმოადგენას მოგვეცემს იმაზე, თუ რის დაცვას, რა მიზანს ემსახურება ანტიმონოპოლიური სამართალი.

2.2. კონკურენციის ცნება

კონკურენციის დეფინიციის საკითხს ღიად ტოვებს როგორც ევროპელი, ასევე გერმანელი კანონმდებელი. ისევე როგორც ევროკავშირის ფუნქციონირების წესის შესახებ ხელშეკრულების შესაბამის ნორმებში, ასევე გერმანიის კანონში „კონკურენციის შეზღუდვების წინააღმდეგ“ (Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen) საუბარია კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობაზე, ხოლო საკუთრივ კონკურენციის განმარტებას კანონმდებელი დოქტრინას ანდობს. თუმცა ქართული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის ბ) პუნქტი გვთავაზობს კონკურენციის განმარტებას: „მეტოქეობა შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“. ეს რა თქმა უნდა სიმართლეს არ ეწინააღმდეგება, კონკურენცია ნამდვილად არის მეტოქეობა ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად, თუმცა საინტერესოა ის, მოიცავს თუ არა ეს დეფინიცია ცნებას სრულად და რჩება თუ არა გარკვეული სიცარიელე.

ევროპული და განსაკუთრებით გერმანული არათუ კანონმდებლობა, არამედ დოქტრინაც კი სიფრთხილით ეკიდება კონკურენციის ცნების რომელიმე დეფინიციით შემოსაზღვრას და ხშირად მისი ძირითადი მახასიათებლების განხილვით შემოიფარგლება.[2] ამის მთავარი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ევროპული შეხედულება განასხვავებს კონკურენციის ზოგად და ანტიმონოპოლიურსამართლებრივ (კარტელურსამართლებრივ) გაგებას და მიუხედავად იმისა, რომ იგივე ამ სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი მეორე გერმანული კანონი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ“ (UWG) კონკურენტის დეფინიციას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ხშირად კონკურენციის დეფინიცია ხდება

ლიტერატურაში.[2] მეცნიერთა უმრავლესობა მაინც თვლის, რომ კონკურენციის კარტელურსამართლებრივ გაგებას UWG-ს შინაარსით გაგებული დეფინიცია ვერ ავსებს.[3] საქმე ისაა, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კონკურენციის კონკრეტული შემთხვევა, ანუ ერთი კონკრეტული პაექრობა ორ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს გინა სუბიექტს შორის და კონკურენცია, როგორც შესაძლებლობათა შეუზღუდაობა ბაზრის თითოეული სუბიექტისთვის. პირველ მათგანის მაგალითი შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი რეკლამა. ტიპური მაგალითი, როცა ერთი სუბიექტი რეკლამით ეუბნება მომხმარებელს, რომ მისი პროდუქტი ჯობია სხვა კონკრეტული სუბიექტის კონკრეტულ პროდუქტს. აქ, რა თქმა უნდა, სახეზეა კონკურენციის წესის დარღვევა, მაგრამ სახეზე არ არის კონკურენციის შეზღუდვა. ამ უკანასკნელს მაშინ ექნებოდა ადგილი, როცა სუბიექტის ქმედება დაემუქრებოდა იმ საბაზრო-ეკონომიკურ გარემოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები ბაზრის სუბიექტებს, ეკონომიკურ აგენტებს შორის. სხვებული მაგალითი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ კონკურენციის განმარტება ქართველი კანონმდებლს მხრიდან, როგორც მეტოქეობისა რამდენიმე სუბიექტს შორის, რბილად რომ ვთქვათ, კანონის ნორმისთვის ზედმეტი პასუხისმგებლობის მინიჭება იყო, ვინაიდან ფაქტობრივად შეუძლებელია ნორმამ ლაკონურად მოიცვას ის მახასიათებლები, რომლებიც კონკურენციის როგორც ცნების დეფინიციისათვისაა საჭირო. თუმცა ყველაზე ზოგადი განმარტების შემთხვევაში იგი აკმაყოფილებს იმ უზოგადეს მახასიათებლებს, რომლებიც კონკურენციას ახასიათებს: - ბაზრის არსებობა, - მინიმუმ ორი აკონომიკური აგენტი, - რომელთა ეკონომიკური ქცევა ანტიგონისტურია და ცდილობენ მოიგონ, დანარჩენთა წაგების ხარჯზე. თუმცა აქვე არ უნდა დაგვაიწყადეს, რომ კანონით დაცული სიკეთე ამ შემთხვევაში არა მხოლოდ კონკურენციის კონკრეტული გამოვლინებაა, არამედ თვითონ კონკურენტუნარიანი გარემო და მიზანი სწორედ ამ გარემოს შენარჩუნებაა. რათა დაცული იყოს არა მხოლოდ ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ აგენტთა ინტერესები, არამედ მათიც, ვისაც ამ ბაზარზე შემოსვლა მომავალში სურს.

III. სამართლებრივი რეგულაცია ევროპულ, გერმანულ და ქართულ სამართალში

- 3.1. სამართლებრივ რეგულაციათა შედარება
- 3.1.1. სამართლებრივი წყაროები
- ანტიმონოპოლიური სამართლის წყაროებით

განსახილველ სამ სამართლებრივ სისტემას შორის შედარებით მდიდარი გერმანულია. ძირითად წყაროებად გერმანიაში შეგვიძლია მოვისხენიოთ უკვე მრავალჯერ ნახსენები „კანონი კონკურენციის შეზღუდვების წინააღმდეგ“ (GWB), რომელსაც ზურგს უმაგრებს კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ (UWG). თუმცა არსებობს ასევე დამატებითი რეგულაციები და სპეციალური კანონებიც, მაგალითად, ისეთი, როგორიც იყო 2001 წლამდე მოქმედი კანონი ფასდაკლებების შესახებ (Rabbatgesetz). თუმცა ამ დროისთვის ის სამართლებრივი სიკეთე რაც ამ კანონით იყო დაცული, ექცევა UWG-ს რეგულირების სფეროში.* / * - აქ საუბარია ფასდაკლებების არაკეთილსინდისიერ გამოყენებაზე ეკონომიკური აგენტის მხრიდან, რომელიც მიმართულია კონკურენტი, როგორც წესი, შედარებით სუსტი კომპანიის ბაზრიდან განდევნისკენ/. გარდა ამისა, სამართლებრივ წყაროდაა ქვეყნული ანტიმონოპოლიური სამსახურის (Bundeskartellamt) საქმიანობის ანგარიშები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკა. [4]

ევროკავშირის დონეზე ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეგულირება ხდება ფუნქციონირების ხელშეკრულების 101-102 მუხლებითა და კონცენტრაციის შესახებ დადგენილებით (2004). რა თქმა უნდა, რელევანტურია და პრაქტიკაში ხშირად დიდი როლი აკისრია ევროკომისიის გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს. ხოლო ქართული კანონმდებლობის შედარებით მოკრძალებული წვლილი სამართლის ამ დარგში გამოიხატება ხსენებული კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლით.5

3.2. სტრუქტურა და სამართლებრივი მიდგომა გერმანული GWB მოიცავს ანტიმონოპოლიური სამართლის სამივე ძირითად მიმართულებას: კარტელური შეთანხმებები (§1.1ff), ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონტროლი (§19,20) და კონკურენციის შემზღუდველი კონცენტრაცია ეკონომიკურ აგენტებს შორის (§35ff). შეიძლება ითქვას, რომ მთელი ანტიმონოპოლიური სამართალი აგებულია ამ სამი მუხლის გარშემო. დანარჩენი ნორმები წარმოადგენს მათ კონკრეტიზაციას, ან აწესებს გამონაკლისებს კონკრეტულ შემთხვევებში.

უნდა აღინიშნოს ის, რომ გერმანული სამართალი ამ დარგში შედარებით მკაცრია, და საქართველოსგან განსხვავებით ევროკომისიას შენიშვნები არა კანონმდებლობის გამკაცრების, არამედ

შერბილებების კუთხით აქვს. საგულისხმოა ის, რომ ევროპელი და გერმანელი კანონმდებელი ცდილობს მუდამ შეინარჩუნოს დისტანცია კანონში დეფინიციათა შემოტანისგან. იგივე კარტელებთან მიმართებით GWB-ის პირველ პარაგრაფში საუბარია შეთანხმებებზე და არა ხელშეკრულებებზე. შესაბამისად ასეთი ჩანაწერები (იგივე კონკურენციის განმარტების არარსებობა კანონში) იძლევა ყველაზე ფართო განმარტების საფუძველს. რა თქმა უნდა, არცერთი კომპანია არ დებს მეორესთან ფასის შეთანხმების შესახებ ოფიციალურ ხელშეკრულებას, არამედ ეს უფრო მარტივად რესტორნის მაგიდასთან წყდება. სწორედ ამიტომ ნორმის სტრუქტურა საშუალებას იძლევა სიტყვა „შეთანხმების“ ქვეშ მოაზრებულ იქნას ე.წ. „Gentlemen's agreement“-იც. [6]

რაც შეეხება ქართულ კანონს, მისი უკანასკნელი ვერსია ნამდვილად უახლოვდება ევროპული სტანდარტების ძირითად პრინციპებს.[7] იგი ითვალისწინებს როგორც კარტელური ხელშეკრულებების, ასევე დომინირებული მდგომარეობისა და კონცენტრაციის აკრძალვას. გარდა ამისა კანონი აკონკრეტებს გამონაკლისებს აკრძალვებიდან და განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს შესაბამის ეკონომიკურ ურთიერთობებში (თავი III). კანონი სულ ექვსი თავისგან და 35 მუხლისგან შედგება. რაც დილეტანტი დამკვირვებელსაც კი გაუღვიძებს კითხვას - არის კი საკმარისი ამ მასშტაბის რეგულაცია იმ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად, რომლის მოწესრიგებასაც კანონი მიზნად ისახავს?

3.2.1. ძირითადი განსხვავებები განხილულ სამართლებრივ რეგულაციებს შორის როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებში ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის ევროპულ სტანდარტებთან. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელიც რადიკალურად ცვლის სურათს კანონის განხორციელების შედეგად მიღებული რეზულტატის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ კანონში წერია „აკრძალულია“ და „დაუშვებელია“, ისევე როგორც ევროპულ სამართლებრივ აქტებში, განსხვავება მეორე ეტაპზე გვაქვს - რა შესაძლებლობას იძლევა ეს რეგულაცია ამ აკრძალვის რეალურად განსახორციელებლად. ამის უკეთ დასანახად, უპირანი იქნება რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმის შედარება როგორც კანონმდებლობებიდან, ასევე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სტრუქტურების

მუშაობის წესიდან განხილულ სამართლებრივ სისტემებში.

3.2.1.1 „Hardcore cartels” [8]

უმათავრესი განსხვავება, რომელიც შეიძლება წყალგამყოფად იქნას აღქმული ქართულ და ევროპულ კარტელურ სამართალს შორის, არის დამოკიდებულება კლასიკური კარტელების მიმართ, რომელსაც ლიტერატურაში უხეშად „ არდცორე ცარტელს“ უწოდებენ. აქ იგულისხმება ფასების შეთანხმება და ბაზრების დანაწილება.

გერმანულ და ევროპულ კანონმდებლობაში ეს სფერო ფაქტობრივად ხელშეუხებელია გამონაკლისებისთვის. პირიქით, ევკოვაშირის ხელშეკრულების 101-ე მუხლი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სწორედ ფასების შეთანხმებასა და ბაზრის დანაწილებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ისაა, რომ კარტელური შეთანხმებების აკრძალვისას არც გერმანელი და არც ევროპელი კანონმდებელი საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკური აგენტის სიდიდეზე. ეს პარამეტრი მხედველობაში მიიღება მხოლოდ დომინირებული მდგომარეობისა და კონცენტრაციის დროს.9 და ეს მაშინ, როცა ქართული კანონის მე-8 მუხლი უმნიშვნელოდ შემზღულდავს უწოდებს და პასუხისმგებლობისგან თავისუფლებს ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც დებენ აკრძალულ ხელშეკრულებას, მაგრამ „ა) პორიზონტული ხელშეკრულების მხარეების ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25%-ს“ ან „ბ) ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40%-ს“. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართული კანონის, რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელ შემგუებლობას ანტიმონოპოლიური ქმედებებისადმი სხვადასხვა დონეზე.

3.2.1.2. მთავრობის მიერ დაშვებული გამონაკლისის საკითხი

ქართული კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით „ საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განსაზღვროს გამონაკლისები კონკურენციის შემზღულდელი ხელშეკრულებების აკრძალვებიდან.“ მსგავს დებულებას ითვალისწინებს გერმანული GWB-ის 42-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც გერმანიის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის მინისტრი უფლებამოსილია ეკონომიკური აგენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება კონკურენციის შემზღულდავი კონცენტრაციის დაშვების თაობაზე. აქაც საუბარი არ არის კარტელურ ხელშეკრულებაზე, თუმცა

თუნდაც რომ განვაზოგადოთ ეს შემთხვევა მთლიან ანტიმონოპოლიურსამართლებრივ ქმედებებზე, თუმცა ამავე კანონის 43-ე და შემდგომი ასევე მე-40 მუხლებით მინისტრმა ჯერ სპეციალური ანტიმონოპოლიური კომისიის დაკენა უნდა გამოითხოვოს და მხოლოდ შემდეგ, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის არსებობის შემთხვევაში შეუძლია ამ გამონაკლისის დაშვება და მეტიც, 64-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ ანტიმონოპოლიურ სამსახურს (Bundeskartellamt) შეუძლია ამ გადაწყვეტილების ისევე შეცვლა ან აკრძალვა. ამ აქტის შეცვლა კი მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი. აქედან იკვეთება ანტიმონოპოლიური სამსახურის მნიშვნელოვანად დიდი უფლებამოსილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს დამოუკიდებელი იყოს თუნდაც მთავრობისგან.[10] საწინააღმდეგოდ ამისა, ქართველი კანონმდებელი ასეთ დაშვებას არ იცნობს და მინისტრის გადაწყვეტილებას „ბრმად ენდობა“. სწორედ სააგენტოს არასაკმარისი უფლებამოსილებებია მიზეზი იმისა, რომ მას უჭირს ჩამოყალიბება ჭეშმარიტად დამოუკიდებელ, ქმედით ორგანოდ.

3.2.1.3. მომსახურების საფასურის საკითხი

მომსახურების საფასურის გადაუხდელობა ქართული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია. ეს ფაქტობრივად აბსურდული ნორმაა, ვინაიდან კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე - კონკურენტუნარიანი გარემო ეკუთვნის არა მხოლოდ განმცხადებელს, ან იმას, ვისაც ზიანი მიადგა კონკურენციის შეზრუდვით, არამედ მთელს საზოგადოებას, სახელმწიფოს. მისი დაცვა სახელმწიფო ინტერესია. შესაბამისად, უცნაურია, სახელმწიფომ მომჩივანს მოთხოვოს თანხა სახელმწიფო ინტერესების დაცვისთვის, უტრირებულად რომ ითქვას, ეს იგივეა, რომ პროკურატურამ დააწესოს გადასახადი დანაშაულზე საქმის აღძვრაზე.

სრულიად სხვა მიდგომას ამჟღავნებს გერმანიის ანტიმონოპოლიური სამსახური, ისევე როგორც ევროკომისია. გადასახადი დაწესებულია მხოლოდ კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის. რადგან საქმის წარმოება შედის არა ევროკომისიის ან ანტიმონოპოლიური სამსახურის, არამედ განმცხადებელი კომპანიის ინტერესებში. კარტელური შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული წარმოებისას კი ანტიმონოპოლიური სამსახური პირიქით, ყველა ღონეს ხმარობს დარღვევის აღმოსაჩენად და გამოსავლენად. რისთვის

სხალი მკონიში THE NEW ECONOMIST

ვისაც ხშირად მიმართავს მოულოდნელ პარალელურ შემოწმებებს რამდენიმე კომპანიაში ერთდროულად და ა.შ.[11]

ეს განსხვავება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელი ფეხს ითრევს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალური განხორციელებისგან. ასეთი დათქმები კანონში ხელს უშლის იმის განხორციელებას, რაც ზემო მუხლებშია დეკლარებული.

3.2.1.4. კონცენტრაცია გადახდიისუნარობის შესახებ საქმის წარმოების დროს

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „კონცენტრაციად არ განიხილება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები ხორციელდება „გადახდიისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ლიკვიდაციის პროცესში“. კიდევ ერთი, აქედან გამომდინარე განსხვავება ქართულ და გერმანულ რეგულაციას შორის ისაა, რომ ქართველი კანონმდებელი ისევ და ისევ ცდილობს ცნებათა კონკრეტიზებას, რამაც ხშირ შემთხვევაში არასახარბიელო შედეგი შეიძლება იქონიოს. განსაკუთრებით საინტერესოა ეს ნორმა მედიის კარტელურ სამართალთან მიმართებით. საქმე ისაა, რომ მედიაკომპანიების შემთხვევაში გვაქვს არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პუბლიცისტური, ასე ვთქვათ, სოციალური ბაზარიც. მედია ჰოლდინგი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მომხმარებელთა ფართო წრე, შეიძლება გარკვეული მიზეზების გამო გაკოტრდეს და შეისყიდოს მეორე მედიაჰოლდინგმა. ქართული კანონმდებლობის თანახმად ეს არ იქნება კონცენტრაცია, ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, თუმცა ბაზრის იმ ნაწილის შევსება რომელიც გაკოტრებულ კომპანიას ეკავა, მოხდება არა სხვა კონკურენტების, არამედ შემსყიდველი კომპანიის მიერ, რადგან გასათვალისწინებელია მედიაბიზნესისთვის დამახასიათებელი უამრავი ფაქტორი. 12 ამ დროს გერმანელმა კანონმდებელმა შემდეგ გამოსავალს მიაგნო: ჭ -ის 37-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად კონცენტრაციად ჩაითვლება ნებისმიერი ისეთი შეერთება, რომელიც შესაბამისი ეკონომიკური აგენტის დომინანტურ მდგომარეობას გააძლიერებს.

3.2.1.5. წერილობითი შეტყობინება კონცენტრაციის შესახებ

იმავე მე-11 მუხლის მე-6 ნაწილით „ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც კონცენტრაციის შედეგად მოიპოვებენ შესაბამის ბაზარზე დომინირე-

ბული მდგომარეობის განმსაზღვრელ საბაზრო წილს, შეუძლიათ სააგენტოს წარუდგინონ წერილობითი შეტყობინება დაგეგმილი ან არსებული კონცენტრაციის შესახებ.“ სიტყვა „შეუძლიათ“ ამ ნორმის საჭიროებას საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს, მაშინ როცა ისევე როგორც ევროკომისიის მიერ შემუშავებული Regulation on the control of concentrations between undertakings, ასევე გერმანული GWB აწესებენ პირდაპირ ვალდებულებას, ეკონომიკურ აგენტთა ასეთი შერწყმის შესახებ განაცხადის გაკეთებაზე.

IV. დასკვნა

ზემოთ აღწერილი განსხვავებები ქართულ და გერმანულ ანტიმონოპოლიურ სამართალს შორის, ასევე კონკურენციის სააგენტოსა და გერმანული ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის წესებს შორის წარმოადგენს მსჯელობის იმ საინტერესო საგანს, რომელიც მიგვანიშნებს ქართულ კანონში არსებულ ხვრელებზე რომელიც მარტივად შეიძლება გამოიყენონ ეკონომიკურმა აგენტებმა თავიანთ სასარგებლოდ და აკონომიკური გარემოს საზიანოდ, რაც გრძელვადიან პერიოდში მათსავე უმეტესობას შეუქმნის პრობლემებს, მოკლევადიან პერიოდში კი თითოეულ მომხმარებელამდე აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობით აკრძალულია როგორც კარტელები, ასევე მონოპოლია და კონკურენციის შემზღვეველი კონცენტრაცია, ღიად რჩება პასუხი იმაზე, თუ მინიმუმ რამდენად მტკიცედ გამოხატავს კანონი საკუთარ პოზიციას აღნიშნული დარღვევებისადმი. ოდნავი პუბლიცისტური გადახვევის უფლება რომ დავართოთ თავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკითხავია, კანონის რიტორიკა რომელ ფორმულირებას უფრო შეესაბამება: „მოდი, ნუ იზამთ, პატივცემულო ეკონომიკურ აგენტო“, თუ „დაუშვებელია“.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან და შედარებებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად აკრძალვისა, კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შემზღვევის შემთხვევების მიმართ მაინც რბილია. რიც შემთხვევებში დაშვებული გამონაკლისების, ასევე საქმის წარმოების წესის, სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიების და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით, ძნელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოში კონკურენციის შემზღვეველი ეკონომიკურ აგენტებისთვის გამოსავალი ვერ მოიძებნება ასეთი საქმიანობის გასაგრძელებლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში მოიძებნება მხოლოდ ორი გად-

აწვევტილება სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლის შესახებ (2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით) და ორივე მათგანის თანახმად ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ ყოფილა.

თუმცა ყველაზე მეტად რაც აკლია დღევანდელ კანონს, არის სულისკვეთების დონეზე გამოსატული ნამდვილი, ცალსახა სურვილი მონოპოლიური პრობლემების მოგვარებისა და

კანონმდებლის მტკიცე პოზიცია იმის შესახებ რომ საქართველოს, მიუხედავად მისი ბაზრის სიმცირისა, სჭირდება ქმედითი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება. თუმცა ეს უკვე იდეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობის საგანია და ცდება იურიდიული ანალიზის ფარგლებსა და სტატიის ფორმატს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Article 101 I, The Treaty on the functioning of the European Union;
2. Bunte, Hermann-Josef, Kartellrecht, S. 4;
3. ix. Müller-Henneberg, Die Begriffe Wettbewerb und Wettbewerbsbeschränkung im Kartellrecht, WuW 1968, S. 659; Bunte, Hermann-Josef, Kartellrecht, S. 4; საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. Herdzina, Wettbewerbspolitik, S. 7f.;
4. Wiedemann, Gerhard, Handbuch des Kartellrechts, C.H. Beck, München, 1999, S. 18 ff;
5. მუხლი 195, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
6. Bunte, Hermann-Josef, Kartellrecht, S. 177;
7. ლაფაჩი ქეთევან, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (2012) ანალიზი, თბილისი, 2012, გვ. 4 და შ.შ.;
8. Bunte, Hermann-Josef, Kartellrecht, S. 135;
9. §§ 1,2,3, 20, 36 Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen, Deutschland;
10. Wiedermann, Gerhard, Handbuch des Kartellrechts, C.H. Beck, München, 1999, S. 743 f. უფრო ვრცლად იხ. Schwalbe/Zimmer, Kartellrecht und Ökonomie, Frankfurt am Mein, 2011;
11. Emmerich, Volker, Kartellrecht, 10. Aufl., Verl. C.H.Beck, 2006, S.55 f.;
12. Trafkowski, Armin, Medienkartellrecht: Die Sicherung des Wettbewerbs auf der Märkten der elektronischer Medien, München 2002; aseve: Theilmann, Tim, Medienwirtschaft und Kartellrecht, Hamburg, 2007. (ufro vrclad ixileT am naSromSi).

Antimonopoly Law and Prospects of its Development in Georgia

Nika Sergia,

Tbilisi state university, Faculty of law

The article “Antimonopoly Law and Prospects of its Development in Georgia” presents general analysis of competition and antimonopoly law, and evaluates the present legal situation in the mentioned aspect. Comparative legal method which compares Georgian, German and European laws used by the author gives opportunity to identify advantages and disadvantages of Law on “Georgian Free Trade and Competition”.

Despite the fact that Georgian law prohibits both cartel agreements and dishonest use of the situation prevailing on market and concentrations of certain nature between economic agents, the question on the means which shall be utilized in case of the above mentioned action is still without an answer. To say with other words, it is the issue of political will.

On the basis of specific examples the article offers certain measures which may be effective to improve the quality of competition on market and set market free from mono- and oligopoly pressure. The hope of the above mentioned is strengthened by a new bill which shall be enforced by a legislator.

და ჯორჯიან ველნესი - ეროვნულ იდეაღ!

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



ინტერვიუ
„მეღბრუა ჯორჯიას“ დამფუძნებელთან,
ბატონ თამაზ მჭედლიძესთან

ბატონ თამაზ მჭედლიძეს ჩვენი „სტაჟიანი“ მკითხველი უკვე იცნობს. რამდენიმე წლის წინ ის ჩვენ მკითხველს წარვუდგინეთ როგორც ექიმი, მეცნიერი, ბიზნესმენი და მეცენატი. დღეისათვის მას დიდი საქმე აქვს წამოწეებული, ჩვენ ვიტყვით - გრანდიოზული, რომელიც ჩვენი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს მსოფლიოს ველნეს ინდუსტრიის სისტემაში. საქართველოს ამისათვის ყველანაირი პირობა აქვს. ბატონ თამაზს სწორედ იქ ვეწვიეთ, სადაც ეს დიდი პროექტი ხორციელდება. ერთი ჯგუფი გზას აკეთებს, მეორე - კოტეჯებს აშენებს. ორი უკვე აშენებულია. მიდის მადარმწვანე ხეების განაშენიანება და ასე შემდეგ. მოკლედ, მიდის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით, რაშიც ბატონი თამაზი უშუალოდ არის აქტიური მონაწილე, რათა ზედმიწევნით მაღალი გემოვნებით შესრულდეს თითოეული პროექტი. სანამ მე მივიდოდი მასაღების შესარჩევად იყო წასული. . .

დღეისათვის ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ბიზნესმენი და ზოგადად წარმატებული ადამიანი, როგორც ბიზნესში, ასევე, მედიცინასა და მეცნიერებაში. ჩვენი პირველი კითხვაა ამით დავიწყეთ. მას კი გაეცინა და მითხრა: „ხშირად მიწევს ინტერვიუების მიცემა და ზეპირად ვიცი რა აინტერესებს ჟურნალისტებსა და მკითხველსო“.

- ბატონო თამაზ, თქვენ ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი ბრძანდებით. წარმატებული აღამიანი კი შემოქმედია პირველ ყოვლისა. წარმატებისთვის ნებისმიერ სფეროში გვერი საქართო უნარ-ჩვევები სჭირდება აღამიანს. თუმცა სხვაღასხვა შემთხვევაში ის შეიძლება განსხვავებული იყოს. თქვენს შემთხვევაში რამ განაპირობა წარმატება? როგორ დაიწყეთ და როგორ აღმოჩნდით ამ მწვერვაღზე?

- როცა პატარა ბავშვი ვიყავი, ჩემი წინაპრები დედის მხრიდან, აკეთებდნენ მალამოს. ბებიანიჩემი მეუბნებოდა: „ნენა, ბინტი დამიჭირე“ . . . „ნენა, მალამო მომიტანე“ და ასე შემდეგ. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ექიმი უნდა გამოვსულიყავი, რადგან ვუყურებდი ჯერ ბებია, შემდეგ დედა როგორ მკურნალობდნენ ხაღსს. ამიტომ შემდეგ ჩემი და, ჩემი ძმა და მეც ექიმები გავეხდით.

გამოცდები ჩავაბარე ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში, პლასტიკურ ქირურგიაზე სწავლა მინდოდა. ძმამ მიჩნია, ჯერ სტომატოლოგიაზე ჩამეებარებინა, რადგან ყბა-სახის ქირურგიაიდან პლასტიკურ ქირურგიას იოღად დავეუფლებოდი. მეოთხე კურსამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ პლასტიკური ქირურგია ვიქნებოდი. მეოთხე კურსზე, სტომატოლოგიაში პრაქტიკების დროს, ერთი ლამაზი გოგონა მოვიდა. წინა კბილი გატეხილი ჰქონდა. მაშინდელი მასაღებით ვიწვადე და ისეთი ლამაზი კბილი გამოუვიდა, ძალიან გაუხარდა და გადამეხვია. მეც გამიხარდა და ვიფიქრე, რაღად მინდა პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგად დავრჩები-მეთქი. სტომატოლოგია ისეთი განხრავ, რომელიც მეწარმეობასთან ყველაზე ახლოსაა.

სახელმწიფო სტრუქტურაში რომ ვმუშაობდი მაშინ არა, მაგრამ პირველი შესაღლებლობები რომ

განდა და პატენტის აღება შესაძლებელი გახდა, ავიღე პატენტი და დავიწყე მუშაობა. სახელმწიფო პრაქტიკა მქონდა რუსეთში და კერძო პრაქტიკა – ხაშურში. 1989 წელს ჩამოვედი ხაშურში და ერთი წელიწადი ვიმუშავე იქ. მშობლებმა დამირეკეს, - უმცროსი შვილი ხარ შენ და უნდა მიხედო მშობლებსო. ჩამომიყვანეს აქ. ხაშურში გავხსენი სტომატოლოგიის კაბინეტი. ერთი წელი ვიყავი და კარგად ვიმუშავე ის ერთი წელი. ხაშურში ამბობდნენ, რომ იაპონური „ატვიორტკები“ აქვს და ისე იღებს კბილს, ვერც გაიგებო, კბილს აშენებსო და გრძელი რიგებიც იღება. ხალხს მანქანებში ეძინათ ხოლმე რიგში რომ ჩამდგარიყვნენ. ერთი სიტყვით, ეს სპეციალობა შემიყვარდა.

რომ მეუბნებიან ხოლმე, წარმატებას როგორ მიაღწიეო, წარმატებას მივაღწიე იმით, რომ ბავშვობიდანვე დავინახე და ვიცოდი - მედიცინაზე კარგი, უფრო კეთილშობილური საქმე არ არსებობს, ჩემი გავებით. ბებიასგან რომ ვისწავლე საკუთარი საქმის სიყვარული, მერე სტუდენტი რომ გავხდი და რომ მივხვდი სტომატოლოგი უნდა გავმხდარიყავი, მერე ჩემი კბილები მე თვითონ რომ ვიმკურნალე პირის ღრუში, მაშინ მივხვდი, რომ პაციენტებს როცა ვმკურნალობდი, იმათ პირის ღრუში ვგრძნობდი, რომ თითქოს ჩემს კბილებს ვმკურნალობდი. ამან განაპირობა ის, რომ პაციენტებს მოეწონათ მომსახურება და ისინი ძალიან ბევრი მყავდა, ამდენად, მოთხოვნადი ექიმი გავხდი. მოთხოვნადი ექიმი რომ გავხდი რუსეთშიც და საქართველოშიც, ხაშურში ამ მოთხოვნადობამ რიგები შემიქმნა, როგორც უკვე მოგახსენეთ. მაგრამ ერთი ის იყო, რომ პეტერბურგში ნაცხოვრები ხაშურში გაზრდილი ადამიანისთვის, ხაშური, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მცირე იყო თავისი მასშტაბებით და გავექცი მაინც მშობლებს (იციან) - დავბრუნდი პეტერბურგში, გავხსენი იქ კლინიკა და მერე წავიდა და წავიდა საქმე კარგად....

იცით, როცა ჩემი მეგობრები, ვინც ფულს აკეთებდა და მერსედესებს ყიდულობდა, მე ამ დროს ყველა კაპიკს ვდებდი ახალი ტექნოლოგია რომ შემეძინა, იმიტომ, რომ თავიდანვე მიყვარდა ჩემი საქმე. ჩემთვის მერსედესზე უფრო ძვირფასი იყო ახალი, გერმანული სტომატოლოგიური დანადგარი. აი, ამანაც განაპირობა ჩემი წარმატება. მერე, რა თქმა უნდა, გავხსენი მეორე, მესამე კლინიკა და წავიდა და წავიდა საქმე კარგად. ამჟამად 20-ზე მეტი კლინიკა მაქვს პეტერბურგში და ერთი მოსკოვში.

- მკითხველისთვის აღვილი აღსაქმელი რომ იყო, ზოგიერთი ციფრებიც ვუთხრაო,

რათა წარმოვბანა შევუძენათ, თუ რა მასშტაბებთან გვაქვს საქმე. ბიზნესის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი მოცულობა, ფინანსები. რამდენია ღირებულების თქვენი ბიზნესის წლიური ბრუნვა?

- დღეისათვის წლიური ბრუნვა 100 მილიონი დოლარის ფარგლებშია და აქედან 10 მილიონი მოგება მრჩება. ამ 10 მილიონიდან 5 მილიონი ახალი კლინიკის შექმნისთვის იხარჯება.

- ესე იგი, ერთი კლინიკის შექმნა 5 მილიონი დოლარი ჯდება?

- დიახ, ის რომ აღჭურვო თანამედროვე ტექნიკით, ასე ჯდება.

- მაგრამ თქვენ მარტო სტომატოლოგიური კლინიკებით არ შემოიფარგლებით. სხვა რა საქმიანობას ეწეებით?

- დიახ, დღევანდელ რუსეთში ჩემია ერთადერთი ინსტიტუტი, - დიპლომის შემდგომი სწავლების ინსტიტუტი. ძალიან ცნობილია რუსეთში. ჩვენ ასევე ვუშვებთ ჟურნალს, «Институт стоматологии» (სტომატოლოგიის ინსტიტუტი) ჰქვია, ისიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია რუსეთში და აი, ასე, ნულიდან შექმნილი ჩემი სისტემა გამოვიდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსეთში. სტომატოლოგიის მერე, უკვე გადავედით ესთეტიკურ მედიცინაზე, მერე სხვადასხვა განხრა და ახლა არის დიდი სისტემა.

- თქვენ ისაუბრეთ თქვენს მიღწევებზე, წარმატებებზე და რამ განაპირობა თქვენი ასეთი წარმატება?

- პრინციპში, კიდევ ერთხელ რომ ვაანალიზებ ჩემს ცხოვრებას, ოცდარი წლის წინ ჩემს ბიზნესს ვიწყებ მარტო - „ბორმაშინკით“. ამჟამად ჩემს კლინიკებში 1500-ზე მეტი პერსონალია დასაქმებული, ექიმები, პროფესორები და მენეჯერები, ბიზნეს ადმინისტრირების მენეჯმენტის სპეციალისტები და ასეთი დონის პერსონალი მყავს გუნდში, რომ ვიფიქრო, რატომ? ჩემამდე ათიათასმა დაამთავრა სამედიცინო და ჩემს მერე კიდევ ათიათასი დაამთავრებს. რატომ მომცა ღმერთმა მე ეს ყველაფერი და მე რატომ შეეძელი? აქ ტრაბახით შეიძლება გამომივიდეს, მაგრამ მე ანალიზს ვაკეთებ გვერდიდან, სხვისი თვალით, და აქ, რომ ვამბობთ, ყველა ერთნაირები ვართო, არა ვართ ერთნაირები. რომ ვიბადებით, ყველა ერთნაირები ვიბადებით, მაგრამ სხვადასხვა გენეტიკური წყობა გვაქვს. მაგალითად, ჩემს ოჯახში, ჩემი და, ჩემი ძმა და მე სულ სხვადასხვანაირები ვართ. ჩემი და ვერასოდეს ვერ გახდებოდა და ვერც გახდა ბიზნესმენი. ჩემს ძმას მე მივეცი ბიძგი და ძალზე წარმატებული ბიზნესმენი გახდა.

ის არის ექიმი, ქირურგი, სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი. მან თავდაპირველად პეტერბურგში, ჩემთან დაიწყო მუშაობა. შემდეგ თავად შექმნა თავისი კლინიკათა ქსელი. „მედი“ საქართველოში ჩემი ძმის არის. ამჟამად მას არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგსა და პრელაშიც აქვს კლინიკათა ქსელი სახელწოდებით „მედიკოსტეტიკი“. მაგრამ რისკიანობის, სიახლისადმი სწრაფვის და საერთოდ, სამეწარმეო უნარი მეტი მაინც ჩემში აღმოჩნდა. გამოდის, რომ იმის გარდა, რომ გიყვარდეს შენი საქმე, იმის გარდა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე, საჭიროა გქონდეს კიდევ რაღაც გენეტიკური თვისებები, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს შეერწყას.

ამიტომ, მე რისი თქმა მინდა მათთვის, ვინც კითხულობს თქვენს ჟურნალს, ვინც ცხოვრებაში ვერ შედგა, არ არის წარმატებული, არ არის ბიზნესმენი და არ არის შეძლებული. ყოველივე ეს ამ ადამიანების ბრალი არ არის. ეს არის ბუნების . . . შეიძლება ღმერთმა ერთს ერთი მისცა, მეორეს - მეორე და მესამეს - მესამე. . . ერთადერთი ის უნდა ვიცოდეთ, რომ ყველანი ღმერთის შვილები ვართ, რომ ყველანი თანაბარი ვართ ღმერთის წინაშე. კი ცხოვრების წინაშე სხვადასხვები ვართ, სხვადასხვა გენეტიკა გვაქვს, სხვადასხვა შესაძლებლობები, მაგრამ ღმერთის წინაშე ყველანი ერთნი ვართ და ყველანი ღმერთს დაუბრუნდებით, რომ წავალთ ამ ქვეყნიდან, ვერაფერს ვერ წავიღებთ, როგორც მოვედით ამ ქვეყანაზე, აბსოლუტურად ერთნაირად ებრუნდებით იქ. იერარქიებს კი აქვს რაღაც მნიშვნელობა ერთმანეთის წინაშე, ვივინებთ და რაღაც ამბიციებს ვაწყოთ ამ ცხოვრებაში, კი ვართ სხვადასხვანაირები, მაგრამ ყველას თავისი უნარი აქვს. . . მე რომ მწერლობა დავიწყო, არ არის ეს ჩემი, ღმერთმა არ მომცა ეს ნიჭი. ისე წიგნი კი დავწერე, მაგრამ უფრო სწორად ვკარანახობდი ჟურნალისტს და მერე ვასწორებდი ამ ყველაფერს. სიმღერა მიყვარს, აგერ „საქართველო ლამაზო“ ჩავწერეთ, ვიმღერეთ, მე და მირიანმა (ჩემი კომპანია „მედგორუპჯორჯიას“ გენერალური დირექტორი), და სხვა, მაგრამ ეს ყველაფერი როგორც ჰობი ისეა, თითოეულმა კი თავისი რაღაც საქმე უნდა აკეთოს. არის ერთი მწერალი - დანიილ გრანინი, ჩემი მეგობარი, ვლადპარაკობდით და მან მითხრა: «очень важно в этой жизни, папасть в себя» (ამ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია, მოხვდე საკუთარ თავში). ესე იგი, შენ შენს თავში თუ გაარტყი ასიანში, მაქსიმალური შესაძლებლობებით შეგიძლია იმუშაო და მაშინ უფრო აქტიური

ხარ, მაგრამ იმ ფარგლებში, რაც მაინც ღმერთმა მოგცა. ღმერთმა ყველას სხვადასხვა შესაძლებლობები მისცა და ეს ჩვენი დამსახურება არ არის. ეს ღმერთის დამსახურებაა და ვინც შეძლო ამ ცხოვრებაში ამ თამაშის წესებით გამდიდრება და შეიძლება რაღაცა შექმნა, იმათ ვეტყვი, რომ ეს მათი დამსახურება არ არის, ეს ღმერთის დამსახურებაა. ვინც კი ვერ შეძლო ეს ყველაფერი, ისიც იმედს ნუ კარგავს . . .

ფული და მატერიალური არ არის ყველაფერი. კი, მატერიალურის გარეშე ძნელია ბედნიერება, მაგრამ მარტო მატერიალურიც არ არის ბედნიერება. ხანდახან საშუალო დონის ადამიანს შეუძლია ნახოს უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე მილიარდერს და ვიდრე სხვა წარმატებულ ადამიანს. ამიტომ, რომ ვუკვირდები, ფილოსოფიური მომენტია, მაგრამ ამაშია სამყაროს მთელი ჭკუმატირება.

ახლა ისევ ეკონომიკას რომ დავუბრუნდეთ, პირდაპირ გეტყვით, ხომ შეეკმენი ეს ყველაფერი, ჩემს თავში ხომ მეც წარმატებული ადამიანი ვიყავი, მაგრამ რომ შევხედე ჩემს თავს, რამხელა ფსიქოლოგიური სტრესები გადავიტანე. წარმოიდგინეთ, წახვედი კაცი რუსეთში, პეტერბურგში, მარტო, კაციშვილი არ გყავს პატრონი და მარტო შენ ქმნი შენს თავს და გარემოს. თან ლიდერი ხდები რაღაც საქმეში. ეს სტრესების გარეშე არ არსებობს. «заедание стрессов» არსებობს მედიცინაში ასეთი ტერმინი. ამის ნეიტრალიზებას მე ვახდენდი კარგად ჭამაში. გემრიელად ჭამა მიყვარდა და 170 კილო ვაგხდი. მერე ღმერთმა იმის ძალაც მომცა, რომ ჩემს თავთან მებრძოლა და გამემარჯვებინა კიდევაც. ყველაზე დიდი გამარჯვებაა, შენს თავზე გამარჯვება რომ შეგიძლია. იმიტომ, რომ ეს თვისებები, ჩვევები ყველაფერი შესაცვლელი მქონდა. ყველაფერი მქონდა: ოჯახი, პატივისცემა, ქონება, მაგრამ რომ ვნახე ჭარბი წონა ჩემი საქმის მუხრუჭი გავხდა, გადავწყვიტე მებრძოლა ამის წინააღმდეგ. მედიცინა ეს ჩემი ცხოვრების აზრია, ჩემი თვითრეალიზაცია. ესაა ყველაფერი, ამითი ვცხოვრობ. აღმოჩნდა, რომ რაღაც ეტაპზე მე ჩემი თავის მუხრუჭი გავხდი, დავიწყე ბრძოლა ჩემს თავთან და გავიმარჯვე კიდევ. ერთ წელიწადში 74 კილოგრამი დავიკელი.

- რუსეთში წარმატებული საქმიანობის შემდეგ სისხლის ყივილმა საქართველოში დაბაბრუნათ. აქაც შემუშავით ბიზნესის მშენებლობას. თავეიდან ბახსენით დღეს უკვე ყველასთვის ცნობილი კლინიკათა სისტემა „მედი“, ხოლო შემდეგ ახალ საქართველოს პროექტზე - ველნეს ინდუსტრიის მშენებლობაზე



ბალანსით. რა ბუმბუბი ბაჰჰო ამასთან ღაკაკ-
შირპიტი?

- ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვი-
ან საქართველოში დავბრუნდებოდი. თან 2011-ში
ტყუბი ბიჭი მეყოლა და ისინი ქართულად მინდა
გავზარდო.

ვიფიქრე, რა შემიძლია რომ საქართველოში
შევექმნა? ჩემს ძმას უკვე აქვს აქ კლინიკები, მე
კიდევ რაღაც ახლის გაკეთება მინდოდა. ვი-
ფიქრე რა შეიძლება საქართველოში გავაკეთო
ორიგინალური? გამოკვლევების შედეგად აღმოჩ-
ნდა, რომ საქართველო არის უნიკალური ქვეყანა
ველნეს ინდუსტრის შესაქმნელად. ახლა ავსხნი
რას ითვალისწინებს ეს:

ველნესი – ეს არ არის მოდის ახალი ტენდენ-
ცია. ყველა დროსა და ეპოქაში ნებისმიერ ადამი-
ანს სურს თავს გრძნობდეს ჯანსაღად, გამოიყურე-
ბოდეს ახალგაზრდულად და არ ავადმყოფობდეს.

ადამიანის ეს სანუკვარი სურვილი ერთ ტერ-
მინში, სახელად ველნესი (ჰელენეს), პირველად
ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ დანმა, ჯერ კიდევ
1959 წელს გამოიყენა.

რა თქმა უნდა, მედიცინის შესაძლებლობები
დღეს ძალზე დიდია, მაგრამ იმისთვის, რომ ადა-
მიანმა თავი იგრძნოს ჯანსაღად და გამოიყურე-
ბოდეს ახალგაზრდულად, ეს საკმარისი არ არის.
ველნესისთვის აუცილებელია როგორც სხეულის,
ისე სულის სიჯანსაღე. ამისთვის კი საჭიროა
ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველა გავებით, სტრე-
სებთან და მისგან გამოწვეულ შედეგებთან ბრ-
ძოლა და მედიცინის დახმარება. ყველაფერს, რაც
უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესს, სტრე-
სებთან და მის შედეგებთან ბრძოლას და სამედი-
ცინო მხარდაჭერას, შეიძლება ეწოდოს ველნეს
ინდუსტრია.

ბოლო წლებში ველნესი, როგორც ინდუსტრია,
ძალიან სწრაფად ვითარდება. მხოლოდ შეერთე-
ბულ შტატებში მან უკვე ტრილიონამდე ბრუნვას
მიაღწია. ის არის მრავალმხრივ განვითარებული
ინდუსტრია და მოიცავს ფიტნესს, კოსმეტოლო-
გიას, დაბერების საწინააღმდეგო მედიცინას, დი-
ეტოლოგიას, ფიტოთერაპიას, სპა-ს და ა. შ.

თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემ-
პი ველნეს ინდუსტრიას კიდევ უფრო მეტად
მოთხოვნადს ხდის. ინფორმაციული გადატვირ-
თულობა, გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფე,
რასაკვირველია, ზრდის სტრესულ ფონს და ნერ-
ვულ დაძაბულობას. ადამიანების კეთილდღეობის
ზრდა მისგან ახალ სოციალურ სტანდარტებში
მოქცევას ითხოვს, რაც გულისხმობს, რომ ის, რო-
გორც პიროვნება, უნდა იყოს ჯანმრთელი და

პოზიტიური, მას უწევს ჩადოს ინვესტიცია საკუ-
თარ გარეგნობაში.

დღესდღეობით, იმის მიხედვით თუ რამდენად
მოვლილია ადამიანი, ხდება მისი სოციალური
იდენტიფიცირება და პოზიცირება, შესაბამისად
პროფესიული და პირადი წარმატებაც. ველნესი
ასევე იძლევა შესაძლებლობას თავიდან იქნეს
აცილებული ან მაქსიმალურად შემცირებული
„ცივილიზაციის საუკუნის“ მრავალი დაავადება:
გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-მამოძ-
რაველებელი აპარატის, შაქრიანი დიაბეტის და სხვა.

ბევრი ველნესს სამედიცინო ტურიზმთან
აიგივებს, მაგრამ რეალობაში ველნესი გულისხ-
მობს პირველად პროფილაქტიკასა და გაახალ-
გაზრდავებას, მაშინ როდესაც სამედიცინო ტუ-
რიზმის ძირითადი მიმართულება რეაბილიტაცია
და ჯანმრთელობის აღდგენაა. ამავე დროს, რა
თქმა, უნდა ველნესი მჭიდრო კავშირშია მასთან
და ხელს უწყობს მის განვითარებას.

ჩვენს საუკუნეში ერები ახალი გამოწვევების
წინაშე დადგნენ. გლობალიზაცია და ინტერ-
ნეტტექნოლოგიები არა მხოლოდ ტერიტორიულ,
არამედ კულტურულ საზღვრებსაც შლის. დადგა
მცირე ერების მრავალსაუკუნოვანი კულტურები-
სა და ტრადიციების გაქრობის საფრთხე, მაგრამ
ისინი, ვინც მოახერხებენ თანამედროვე ცივილი-
ზაციას რაღაც განსაკუთრებული, საიდენტიფიკა-
ციო ბრენდ-კოდი შესთავაზონ, ბუნებრივად აღ-
მოჩნდებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში.
ეს ტენდენციები უკვე შეიმჩნევა, მაგალითად:
ამერიკის შეერთებული შტატები – მსოფლიოს
სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი, ჩინეთი –
იაფი პროდუქციის მასობრივი მწარმოებელი,
იაპონია – ტექნოლოგიების მაღალხარისხიანი
მწარმოებელი, საფრანგეთი – ღვინის სამშობლო
და ასე შემდეგ.

რა საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდით შეიძლე-
ბა წარდგეს საქართველო მსოფლიოს წინაშე?

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში
არის უნიკალური ბუნება, ამ მცირე ტერიტორი-
აზე მრავალფეროვანი კლიმატური ზონები, ზღვა,
მთები, მდინარეები, ტყეები, სხვადასხვა სახეობის
მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახები, სამ-
კურნალო მცენარეები, მაგნიტური ქვიშები და
კიდევ მრავალი სხვა უნიკალური შესაძლებლო-
ბა, ეს ტერიტორია, ისე როგორც არცერთი სხვა,
თანამედროვე მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებ-
ის გამოყენებით მიესადაგება იმას, რომ გახდეს
მსოფლიოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრი. ამ კო-
დის გაძლიერებას, ასევე, ხელს უწყობს მრავალ-
საუკუნოვანი ქართული კულტურა და ტრადიცი-

იები - მრავალხმიანი სიმღერა, მრავალფეროვანი ცეკვები. მარტო ქართული ტრადიციული სუფრა რად ღირს! ეს ფსიქოთერაპიის უნიკალური ინსტრუმენტია, სადაც თითოეულ ადამიანსა და მის ცხოვრებისეულ ღირებულებებს პოზიტიურად წარმოაჩენენ, ხოლო ყველანი ერთად ცალკეულ თანამეგობარს დადებითი ენერჯით ავსებენ.

ამიტომ ჩვენი მოწოდებაა:

ვაძვიროთ საქართველო ბაზანსაღების მსოფლიო ცენტრად და ჯორჯიან ველნესი - ეროვნულ იდეალ!

- და როდისთვის ვიძრობთ ამ იდეის რეალიზებას? როდის დაიწყებს ფუნქციონირებას ჯორჯიან ველნესი?

- ადგილზე, სადაც თქვენ ახლა იმყოფებით, ხედავთ, როგორი დანქარებულნი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა. ეს იმიტომ, რომ როცა ჩვენ ეს მიწები, 27 კექტარი, შევიძინეთ, მთავრობასთან დავდეთ ხელშეკრულება, სადაც გარკვეული პირობები არის ჩადებული, რომლის მიხედვითაც 2014 წლის ბოლომდე მან უნდა დაიწყოს ფუნქციონირება. კონტრაქტის რომელიმე ნაწილი თუ არ შესრულდა ან დროში ვერ ჩავეტიეთ, ვკარგავთ მთელ ინვესტიციას. ამას მხოლოდ გიყი თუ გააკეთებდა ან ღიღი სიყვარულია საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცეები ცდილობენ ხელი შეგვიშალონ, ფული შეგვაწერონ. . . ჩვენ მაინც არ ვჩერდებით და ვაგრძელებთ მუშაობას. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, 2014 წელს კომპლექსმა უნდა დაიწყოს ფუნქციონირება.

- კერძოპროექტში ამ მიმართულებით რეპრონებშიც გეგმავთ ბათვალისწინებულ ველნესის განვითარებას.

- დიას, იცით, აქ აუცილებელი არ არის, რომ ველნეს ინდუსტრიაში მარტო მე ვიყო. მე რასაც აქ ვაკეთებ, ესაა მსოფლიოს ელიტარული სა-

ზოგადოებისათვის, შესაბამისად, აქ მომსახურება ძვირი იქნება. თან გვექნება ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ულამაზეს ადგილებში, მაგრამ ვინაიდან ასეთი ადგილები ხშირად ძნელად მისაღებია, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს კლიენტების ვერტმფრენით გადაადგილება. წარმოიდგინეთ, რომ კლიენტს შეეძლება ერთი დღე-ღამე ერთგან გაატაროს, მეორე - მეორეგან და ა.შ. თან შეეძლება ეს ყველაფერი შეარჩიოს ამინდის შესაბამისად. ასეთი კომპლექსური სისტემა მსოფლიოში არ არსებობს.

პარალელურად, ჩვენ ხელს შევეწყობთ დაბალფასიან ველნეს ინდუსტრიის განვითარებას. ვასწავლით დაინტერესებულ პირებს, თუ როგორ მოემსახურონ და უმკურნალონ ნაკლებშემოსავლიანი კლიენტებს და ასე შემდეგ. ასე რომ, აქ დიდ პერსპექტივებს ვხედავ, როგორც ბიზნესის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის. თანაც ეს არ მოითხოვს მარტო ისეთ მომსახურებას, როგორც ტურისტული ბიზნესია. აქ დაგვიკირდება მაღალ-ინტელექტუალური ადამიანური რესურსების, როგორიცაა კოსმეტოლოგიის, დაბერების საწინააღმდეგო მედიცინის, სპორტული მედიცინის, ფიტოთერაპიის და სხვა განხრების გამოყენება. ამას მიეზღობა სოფლის მეურნეობა, ნატურალური მაღალხარისხის ხილის საკვები პროდუქტების წარმოება და ა.შ.

- ბატონო თამაზ, მე მჯერა თქვენი და მინდა წარმატებები ბისუროში ამ საქმეშიც. ამასთან, თუ ბაზნაზე დამატებით, ღიღი სიამონებშიც ვაუწყებელი ჩვენი შურნალის მკითხველს პრეზენტაციის შესახებ.

- აუცილებლად, მაგრამ მანადე კიდევ ბევრჯერ დაგვატიუებთ. . .

- ღიღი მაღლობა ბატონო თამაზ, რომ ბამონახში ღრო ასეთი საინტერესო საუბრისათვის. კარბად ბრძანდებოდეთ.

- თქვენც მაღლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“
მთავარი რედაქტორი ლიდი ქარჩავა
06.10.2013.

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

ტოკიო – მილიონერების დედაქალაქი

ლონდონის კვლევითმა კომპანიამ Wealth Insight-მა იმ ქალაქთა რეიტინგი შეადგინა, სადაც ყველაზე მეტი მილიონერი ცხოვრობს. მილიონერთა სიაში ისინი შევიდნენ, ვისაც \$1 მლნ-ზე მეტი პირად ანგარიშზე აქვს. უძრავი ქონების ღირებულება აქ არ იგულისხმება. კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი მილიონერი ტოკიოში ცხოვრობს – 461 ათასი ადამიანი. მეორე ადგილზე 389 ათასით ნიუ-იორკი გავიდა. მესამე ლონდონია 281 ათასი მილიონერთ. პარიზში მათი რაოდენობა 219 ათასია, ფრანკფურტში – 217 ათასი. ასევე ათეულში შევიდნენ: პეკინი, ოსაკა, ჰონკონგი, შანხაი და სინგაპური. კვლევის შედეგების თანახმად 2020 წელს ყველაზე მეტი მილიონერი ჩინეთში იქნება, ხოლო მას იაპონია მოჰყვება.

ეკონომიკური ეფექტი ემიგრანტებისაბან

აშშ-ის ადმინისტრაციამ ქვეყანაში ემიგრანტების მასობრივი ლეგალიზაციისაგან მიღებული სარგებელი გამოთვალა. ის ქვეყნის მშპ-ს მომდევნო ათ წელიწადში \$1,4 ტრილიონით გაზრდის, მოსახლეობის შემოსავალი \$791 მილიარდით მოიმატებს, ხოლო საგადასახადო შემოსავლები - \$184 მილიარდით. ემიგრანტების ლეგალიზაციის პროექტს, რომელიც შემდგომში მოქალაქეობის მიღებას ითვალისწინებს, მხარს თეთრი სახლი და უკვე სენატიც უჭერს.

ევროზონის ეკონომიკამ მოიხედა

ბოლო წელიწადნახევარში პირველად, ევროზონის ეკონომიკა გაიზარდა. წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის II კვარტალში მშპ, წინა კვარტალთან შედარებით, 0,3%-ით გაიზარდა. ანალიტიკოსები 0,2%-იან ზრდას ვარაუდობდნენ. ამასთან, „ევროსტატმა“ დააზუსტა მაჩვენებლები I კვარტალისათვის – ევროზონის ქვეყნებში ეკონომიკა 0,3%-ით შემცირდა და არა 0,2%-ით, როგორც ეს წინასწარი მონაცემებით იყო ცნობილი.

15 ძველანა ცხოვრების ყველაზე მაღალი ღონე

ავსტრალია კვლავ ლიდერობს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც ცხოვრების დონე ყველაზე

მაღალია. ამ სახელმწიფო-კონტინენტს აქვს განვითარებული ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის შესანიშნავი სისტემა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება. რეიტინგის შედგენისას „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (OECD) 11 ძირითადი პარამეტრით ხელმძღვანელობდა, მათ შორის, გაითვალისწინეს მოსახლეობის საშუალო შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები, დასაქმების მაჩვენებელი, განათლება, ეკოლოგია და სიცოცხლის ხანგრძლივობა (ამიტომ ქვეყნის მიერ რეიტინგში დაკავებულ პოზიციას შინამეურნეობის შემოსავალი პირდაპირ არ განპირობებს). 15 ქვეყნიდან, სადაც ცხოვრების დონე ყველაზე მაღალია, 10 ევროპაში მდებარეობს. კერძოდ ესენია – შვედეთი (2), ნორვეგია (4), შვეიცარია (5), დანია (7), ნიდერლანდები (8), დიდი ბრიტანეთი (10), ფინეთი (12), ავსტრია (13), ლუქსემბურგი (14) და ირლანდია (15). ამ ევროპული სახელმწიფოების გარდა ცხოვრების დონით ყველაზე მაღალ ქვეყანათა თხუთმეტეულში შედიან – კანადა (3), აშშ (6), ისლანდია (9) და ახალი ზელანდია (11).

„ამაზონის“ დამფუძნებელი „ვაშინგტონ პოსტს“ ყიდულობს

ინტერნეტ მაღაზია „ამაზონის“ შემქმნელი და ხელმძღვანელი ჯეფ ბეზოსი „ვაშინგტონ პოსტს“ ყიდულობს. ბიზნესმენი მზად არის, ცნობილი გამოცემისათვის \$250 მლნ გადაიხადოს საკუთარი ანგარიშიდან, როგორც კერძო პირმა და გარიგებაში, რომელიც ორ თვეში დაიხურება, „ამაზონის“ ფული არ დახარჯოს. ბეზოსი გაზეთის ერთპიროვნული მფლობელი გახდება. „ვაშინგტონ პოსტი“ აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემაა, რომელიც 1877 წლიდან გამოდის. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი 474 ათასია, ხოლო საკვირაო გამოცემის – 838 ათასი. 49 წლის ჯეფ ბეზოსი „ფორბსი“-ს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მე-19 ადგილზეა \$25,2 მილიარდით.

ოფისი ერთი მილიარდ დოლარად

„გუგლი“ ლონდონში 2015 წლისთვის ახალ ოფისს ააშენებს. საერთო ფართობი 85,5 ათასი კვმ. აქ სამუშაოდ ამჟამად ლონდონში მოქმედი ორი ოფისიდან 5 ათასი თანამშრომელი გადავა.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

პროექტის მიხედვით, ოფისს ექნება ფიტნესს ცენტრი და აუზი, რომლის თავზე სარბენი ბილიკები განთავსდება, აგრეთვე ველოსიპედების სადგომი. გავრცელებული ცნობით, მშენებლობა „გუგლს“ დაახლოებით \$1 მილიარდი დაუჯდება. საოფისე კომპლექსის მშენებლობის დასრულება 2015 წლის ბოლოს იგეგმება.

საწვავის ფასი ქვეყნების მიხედვით

1 ლიტრი, ა95 საწვავის ფასი (ლარებში), ქვეყნების მიხედვით არის შემდეგი: ნორვეგია – 4.11; იტალია – 3.72; ნიდერლანდები – 3.65; შვედეთი – 3.61; საბერძნეთი – 3.61; დანია – 3.56; ფინეთი – 3.48; გერმანია – 3.41; ბელგია – 3.27; სლოვაკეთი – 3.16; მალტა – 3.09; ესპანეთი – 3.04; კვიპროსი – 2.97; ჩეხეთი – 2.95; უნგრეთი – 2.95; ავსტრია – 2.92; ლიტვა – 2.91; ლატვია – 2.86; ესტონეთი – 2.82; ლუქსემბურგი – 2.79; პოლონეთი – 2.79; ბულგარეთი – 2.77; რუმინეთი – 2.73; უკრაინა – 2.22; რუსეთი – 1.64; ყაზახეთი – 1.53 და ბელორუსია – 1.47.

ფულის ბეჭდვას შეწყვეტენ

აშშ-ში მასობრივად მიმდინარეობს ფულის ბეჭდვა და ამ ფულით სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვა. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ უზომოდ გაბერილი ბიუჯეტი ეკონომიკისათვის შეუქცე-

ვად, დმანგრეველ მოვლენებს გამოიწვევს. აგვისტოს ბოლოს ფედერალური სარეზერვო სისტემის სხდომაზე გადაწყდა, ამ წლის ბოლოდან ეტაპობრივად შეწყვიტონ ფულის ბეჭდვა და ყოველთვიურად \$85 მილიარდის ობლიგაციების შექენა. ბეჭდვის შეწყვეტის უფრო ზუსტი თარიღი არ დასახელებულა.

ევროს მონეტებს 15 ბეჭდი ჩაიტანს

ლატვია ევროების პირველ პარტიას ოქტომბერში მიიღებს. შტუტგარდში ლატვიური ევრო მოიჭრა. ქვეყანა დაახლოებით 40 მილიონ მონეტას მიიღებს, რომელთა მთლიანი ნომინალური ღირებულება 98 მილიონი ევროა. მათი წონა 1600 ტონაა. გერმანიიდან რიგაში მონეტების ჩასატანად 15 გემი გამოიყოფა. ლატვიაში ევრო მიმოქცევაში 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ჩაეშვება, თუმცა მანამდე იქ უკვე სპეციალური ჯიხურებიც გაჩნდა, სადაც შესაძლებელია დაათვალიერო და ხელში დაიკავო მონეტები.

„უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები“ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა შატალავამ

რედაქციისაბან

დღეიდან რედაქციამ შემოიღო ახალი რუბრიკა, სახელწოდებით „ამაზი“. რუბრიკის მიზანია, ახალგაზრდა თაობას ვაჩვენოთ ჩვენი რედაქციის წევრების განსაკუთრებული დამსახურება, ღვაწლი და ამაგი ქვეყნის წინაშე. ამჯერად წარმოგიდგინთ ფაჩისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ნუზარ ნაღარაიას.



ნუზარ ნაღარაია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ფაჩისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ერისა და ქვეყნის ჭეშმარიტი შვილებისათვის არ არსებობდა და არც დღეს არსებობს მეტ-ნაკლები სიმბიზის ეპოქები, საქართველოს ხშირად ჰქონია მიძიმე პერიოდები, მაგრამ მას ნამდვილი მამულიშვილები თავგანწირვით ემსახურებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ თავისი მამულის გადასარჩენად.

არც ნუზარ ნაღარაიას ჰქონია, რომ იტყვიან, ია-ვარდებით მოფენილი გზა ყმაწვილკაცობიდან, მაგრამ ცხოვრების ყველა ეტაპზე თავგანწირვით იომა და იმოღვაწა, რითაც ბევრი ღირსებით აღსავსე სამსახური გაუწია დედა საქართველოს.

ბატონ ნუზარს დედ-მამა ადრეულ ასაკში დაეღუპა. მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა არა მარტო ნაღარაიების ოჯახმა, არამედ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (მაშინ ბატონი ნუზარის მამა - ოთარ ნაღარაია სამეურნეო და სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ. იყო პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, სხვადასხვა პრიორიტეტული სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელი).

მიუხედავად მაშინდელი მატერიალური და მორალური სირთულეებისა ნ. ნაღარაია ხდება სტუდენტი, ასპირანტი, იცავს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს და მალე ინიშნება სოფლის მეურნეობის სამინისტროში პასუხისმგებელ სამუშაოზე, ხოლო შემდეგ ნჭიერ და უნარიან ახალგაზრდას მალევე აწინაურებენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს აპარატში. მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის ამ უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოშიც შეუწელებლად იზრდება და სრულყოფილი ხდება მისი ორგანიზატორული ნიჭი და მხარდი პოტენციური

შესაძლებლობები. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ საქართველოს იმდროინდელმა პირველმა კაცმა ბატონი ნუზარი თავად წარუდგინა და განამწესა საქართველოს ერთ-ერთი დიდი - ხობის რაიონის პარტიული ორგანიზაციის პირველ მდივნად, სადაც 12 წელი იმოღვაწა. ეს იყო ბატონ ნუზარ ნაღარაიას მოღვაწეობაში დიდი წარმატებების წარუშლელი პერიოდი.

მართალია, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დღეს კომუნისტური წყობილების გახსენებაც კი ალერგიას იწვევს, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, შენ ქვეყნის რომელ ეპოქაში დაიბადები, არამედ მთავარია იმ რეალურ ეპოქაში, სადაც ცხოვრება და მოღვაწეობა გიხდება, თუ რას შეძენ და შეჰმატებ შენს ერსა და მამულს. სწორედ ამის უბადლო მაგალითია ბატონ ნუზარ ნაღარაიას ცხოვრება და მოღვაწეობა იმ უსასტიკესი რეჟიმის პერიოდში, როცა ყოველ დიდ მოღვაწეს ცალი ფერი მუდამ განწირულ სივრცეში ჰქონდა ჩადგმული.

როგორც ცნობილია, საქართველოს რეალობაში, რაიონები წარმოდგენდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც გააჩნია საკუთარი საზღვრები და მცირედი, მაგრამ მაინც განსხვავებული ადათწესები. ამასთან ერთად, საბჭოთა პერიოდში ბევრი რაიონი ისე გამსხვილდა, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე წარმოების მოცულობით, რომ რაიონის პირველი პირები ლამის ძველი დროის ერისთავებს არ ჩამოუვარდებოდა ხოლმე.

ბატონი ნუზარ ნაღარაიას საკავშირო მნიშვნელობის წარმატებების საიდუმლოებები იმაში მდგომარეობდა, რომ ის უშუალოდ მონაწილე

ობდა რაიონის სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მემცენარეობისა და სხვათა დაგეგმარებაში არა მარტო როგორც რაიონის თავკაცი, არამედ როგორც პროფესიონალი ეკონომისტი, რომლის გათვლები მუდამ წარმატებული იყო. ამასთან ერთად, ბ-ნი ნუგზარი მკაცრ კონტროლს უწევდა საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობის ძირითად ეტაპებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბ-ნი ნუგზარი რაიონის ცენტრისა და სოფლების აღმშენებლობის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით გაღამაზდა და დამშვენდა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, აშენდა ახალი სკოლები, საავადმყოფოები, სასტუმროები, ფოსტა-ტელეგრაფი, ადმინისტრაციული შენობები, სპორტული მოედნები, კეთილმოწყობილი მაღაზიები და სხვ. ახლებური დაგეგმარებით გაშენდა რაიონის ცენტრის ბაღი, პარკები, სკვერები, გაზონები და სხვ. სოფლებისკენ გაყვანილიქნა ასფალტირებული გზები, გარემონტდა ძველი და აშენდა ახალი სკოლები, სოფ.საბჭოს შენობები, ხოლ-ბოსტნის დამამზადებელი პუნქტები და სხვ.

რაიონის ისტორიაში (რესპუბლიკური მნიშვნელობითაც) ოქროს ასოებით დაფიქსირდა ბ-ნი ნ. ნადარაიას უშუალო ინიციატივით გაშენებული საკავშირო მნიშვნელობის სპორტკომპლექსი, უნიკალური საცურაო აუზით, სადაც ტარდებოდა საკავშირო შეჯიბრებები სპორტულ ცურვაში. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა იგორ სალნიკოვმა.

როდესაც ვკითხეთ ბ-ნი ნუგზარს, თუ როგორ ახერხებდა რაიონის აღმშენებლობისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ასეთი დიდი ფინანსების მოზიდვას, მან გვიპასუხა - „როდესაც რაიონის ხუთწლიან სახელმწიფო გეგმებს ოთხ წელიწადში ვასრულებდი, მე ხელ-ფეხი მეხსნებოდა სახელმწიფოსათვის მომეთხოვა ფინანსები რაიონის აღმშენებლობისათვის“-ო, იყო პასუხი.

ასეთივე წარმატებული იყო ბატონი ნუგზარ ნადარაიას მოღვაწეობა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის პოსტზე და შემდეგ

კი ქალაქ ფოთის მერის თანამდებობაზე. იგი იყო საქართველოს ემაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატიც, ხოლო 1992-1995 წწ. - საქართველოს პარლამენტის პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი ხობის რაიონიდან.

ბატონი ნუგზარ ნადარაიას ინიციატივა გაზიარებულიქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მიერ და 1999 წლის 25 ოქტომბერს ცოტნე დადიანი, ერისა და ეკლესიის წინაშე თავდადებული მოღვაწეობისათვის, ვითარცა „დამდებელი სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისა“ შერაცხულიქნა წმინდანად და ეწოდა მას „საქართველოს თავდადებული აღმსარებელი“. მისი ხსენების დღედ დაწესდა 30 ივლისი (ძვ. სტილით)

დიდი სიამოვნებით გვინდა ავლნიშნოთ, რომ ბატონი ნუგზარის ოჯახში სამი დოქტორია: თავად ბატონი ნუგზარი, მეუღლე - მანანა ქორიძე - მედიცინის დოქტორი; ხოლო შვილი, - ოთარი - ფინანსების დოქტორი.

მისაბაძია ბ-ნი ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობა ფაზისის მეცნიერებათა აკადემიაში, ჯერ როგორც ვიცე-შემდეგ კი - მისი ღირსეული პრეზიდენტი. აკადემიაში თავმოყრილია საქართველოში ცნობილი მწერლები, პოეტები, მცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და სხვ. აკადემია ყოველწლიურად გამოსცემს 800 გვერდიან შრომების კრებულს, სადაც განთავსებულია ისტორიული ღირებულების სტატიები. თითოეული ტომების რედაქტორია ნ. ნადარაია. აკადემიის საპატიო პრეზიდენტია - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ჩვენს სახელგანთანამეამულეს, ჭეშმარიტ ქართველს, მისაბაძ მევობარსა და სანიმუშო ორგანიზატორს, ბ-ნი ნ. ნადარაიას ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს და კვლავაც დიდხანს ეღვაწოს ერისა და ქვეყნისათვის, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

სიმონ ზაქარაია
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი, ჟურნალისტი.

შემდეგ ნომერში ამავე რუბრიკით წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ ლეო ჩიქავას.
№3(30), 2013 წელი, year